საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · პარასკევი 8 სექტემბერი 2000 №173 (1195) · ფასი 50 თეთრი




ეს მოხდა 20 წლის წინ: თბილისის „დინამომ“ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში სალონიკის „კასტორია“ დაამარცხა და 13 მაისის ღამისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. იგონებენ თთარ გაბელია და რამაზ შენგელია.

ეს მოხდა ოთხჯერ, ოღონდ კარგია თუ ცუდი? ორიოდ სიტყვა „ოქროს გოლის“ წესზე.

ეს მოხდება 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. სიდნეის ოლიმპიადასა და ქართველ ოლიმპიელებზე.

ეს მოხდება შემოდგომაზე. ჩემპიონთა ლიგის ყველა ჯგუფის კალენდარი და ცხრილები, რომელთაც თქვენ შეავსებთ.

რა თქმა უნდა, პლაკატი
ლუიშ ფიგუ
და ძველებური ფასი — 2 ლარი.

ორშაბათიდან
შეიძინეთ ჟურნალი
სარბიელი

# ხალხი სტადიონზეა

## დერბელმა ქომაგებმა გიორგი ქინქლაძეც დააბრუნეს და თამაშიც გადაარჩინეს




გიორგი ქინქლაძემ და მალკოლმ კრისტიმ „დერბის“ წაგებული თამაში და ქულა გადაურჩინეს

ხალხი ბრძენიაო, უთქვამთ. სხვებზე რა გითხრათ, მაგრამ გუშინწინ დერბის „ბეისბოლ გრაუნდზე“ შეკრებილი ხალხი მართლაც ბრძნულად მოიქცა: „მიდლსბროსთან“ მატჩის 64-ე წუთზე მოედანზე ქინქლაძე და კრისტი შეუშვა და, როგორც იცით, ქულაც იხსნა. მაშ ჯიმ სმიტი რაღას აკეთებდა?

— თამაშის მერე მწვრთნელმა მითხრა, 0:3-ზე შენი მინდორზე შეყვანა საერთოდ გადავიფიქრე, მაგრამ ხალხმა დაიჟინა და ხათრი ველარ გავუტეხეო — გვითხრა გუშინ გიომ, როცა დერბიში დავურეკეთ.

**— ძირითად შემადგენლობაში რატომ არ იყავი?**

— ხომ იცით, გუშინდლამდე მხოლოდ 45 წუთი მქონდა ნათამაშევი, ისიც რეზერვთა მატჩში, ამიტომ სმიტი თავიდანვე ჩემს დაყენებას მოერიდა. შესვენებისას, როცა ანგარიში 0:1 იყო, მწვრთნელმა მითხრა, გახურდი, მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ-ათ წუთში დამჭირდებიო. ამასობაში კი 0:3 გახდა და როგორც მერე აღიარა, მთლად გადაიფიქრა ჩემი და კრისტის მოედანზე შეშვება.

**— ესე იგი, ხალხს გადაურჩენია ეგ თამაში...**

— ეგრე გამოდის. გასახურებლად გასულები რომ დაგვინახეს, ყიჟინა დასცხეს და მანამ არ მოისვენეს, სანამ მინდორზე არ გვიხილეს.

**— საზარდულმა ხომ არ შეგახსენა თავი?**

— თავიდან ეგრე იყო, მერე კი პირველი გოლი შევაგდეთ და ყველაფერი დამავიწყდა. თამაშიც წამივიდა, კრისტიმ და შტრუპარმაც იყოჩაღეს და ქულა ვიხსენით. უმადური არ ვარ, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, უნდა მოგვეგო კიდეც.

**— გაგიჟდებოდა ხალხი.**

— სტადიონი კინაღამ დაინგრა.

**— კვირას „ჩარლტონთან“ ალბათ უკვე ძირითადში იქნები.**

— მეც ასე ვფიქრობ. 60 წუთი რომ მაინც მათამაშა, ფორმაში ჩასადგომად ესაც მეყოფა.

**— თუ ეგრეა, 7 ოქტომბრისთვის ლიტვაში სათამაშოდ მზადყოფნაში იქნები.**

— ძალიან მინდა და, მგონი, ეგრეც იქნება. მანამდე სამ-ოთხი სრული მატჩის ჩატარებას მოვასწრებ და თუ არაფერი მოხდა, ჩვეულ ფორმაში ვიქნები.

...მაშ ასე, გიო დაბრუნდა. ჯერჯერობით „დერბი ქაუნთიში“, თუმცა მთავარია, ეროვნულ გუნდს დაუბრუნდეს. თან ისე, როგორც გუშინწინ. სწორედ ამ იმედით დავემშვიდობეთ.

**ბიბა კობახიძე**

# ჰინგის-დევენპორტის შეთქმულება უილიამსების წინააღმდეგ

## თეთრმა დევქალმა შავი დასცა

US OPEN

**წლეულს აშშ-ის პირველობაზე დებ უილიამსებს კორტზე ერთად წყვილების ტურნირზეღა ვიხილავთ. შავკანიანი კუნთა ფენომენების, ბევრის აზრით, გარდაუვალ საფინალო ჭიდილს წინ არანაკლებ ჯანიანი ლინდსი დევენპორტი აღუდგა. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა გუშინ მეოთხედფინალში მარტინა ჰინგისს დანაპირები აუსრულა და სერენა უილიამსი მართლაც გაამწარა.**

იხილეთ მეცხრე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

ლინდსი დევენპორტი

## ასპრილიამ მართლა გაისროლა

მთვრალ ფაუსტინოს სამი „კენჭი“ 450 დოლარი დაუჯდა



## პრეზიდენტი გააქციეს

ქართულ კალათბურთში გუნდური თამაში მარტო მოედანზე კი არა, კაბინეტშიც ჭირს



გია ბახლაშვილის ფოტო

სერგო კოტრიკაძე (მარცხნივ) უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა, „ლოკომოტივში“ რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწედ მივიდა

# ძოძუაშვილს დღეს გაათავისუფლებენ

## ლოკომოტივში კოტრიკაძე მივიდა

**თბილისის** „ლოკომოტივს“ უახლოეს დღეებში შესაძლოა ერთი ფეხბურთელითაც შეთხელდეს. როგორც გუნდის მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, მცველ ლევან მიქაძის გადაბირების სურვილი უკრაინის უმაღლესი ლიგის კიევის ცსკა-ს აქვს, რომელსაც ლანჩხუთის „გურიას“ ადრინდელი თავკაცი მიხეილ ფომენკო წვრთნის. ამავე გუნდის წევრია ვიტალი დარასელიაც, თუმც გაურკვეველი მიზეზების გამო მას კარგა ხანია, არ უთამაშია. ამჟამად „ლოკომოტივსა“ და ცსკა-ს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და თუ კიეველები ქართველების პირობებს დააკმაყოფილებენ, ლევან მიქაძეც კარიერას უკრაინაში გააგრძელებს.

ასევე უკრაინაში, ოღონდ ალჩევსკის „სტალში“, უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშობს „ლოკომოტივის“ მეკარე დავით ასლანაძეც. ჯერჯერობით გაურკვეველია, დაიტოვებენ თუ არა ალჩევსკელები ქართველ მეკარეს.

„ლოკომოტივის“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, თავდამსხმელ მერაბ ძოძუაშვილის თურქეთის „ერზურუმსფორში“ გადასვლა კი თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა. თურქებს რკინიგზელთათვის შესაბამისი სერტიფიკატი მოუთხოვიათ და ამის მისაღებად დიდხანს ლოდინიც არ მოუწევთ — „ლოკომოტივმა“ „ერზურუმსფორს“ დღეს უნდა გაუგზავნოს ფეხბურთელის კლუბიდან განთავისუფლების ფურცელი. კლუბებს ძოძუაშვილის ტრანსფერის თაობაზე, მართალია, საბოლოოდ ჯერ არ მოულაპარაკიათ, მაგრამ, ალბათ, ყველაფერზე უპრობლემოდ შეთანხმდებიან.

„ლოკომოტივში“ ერთი სიახლეცაა. რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწედ სერგო კოტრიკაძე დაინიშნა, რომელიც ბოლოს საქართველოს ვიცე-ჩემპიონ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ წვრთნიდა. იერუსალიმის „ბეითართან“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ 0:3 დამარცხების შემდეგ კი გუნდიდან წასვლა ისურვა.

**ძოზა ინასარიძე**

# არმია იფანტება

**საქართველოს** ჩემპიონატის დებულების თანახმად, სეზონის მიმდინარეობისას ფეხბურთელს ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა არ შეუძლია. ამის ნებართვას ფედერაცია მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდება, თუმცა არის გამონაკლისებიც.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ თბილისის ასკ-ს ყველა ფეხბურთელს უფლება მიეცეს, სხვა კლუბში ითამაშოს, ალბათ მოგეხსენებათ, ასკ ფედერაციამ საწევრო თანხის გადაუხდელობის გამო პირველი ლიგის ჩემპიონატიდან მოკვეთა და მის ნაცვლად გათამაშებაში ხაშურის „ივერია“ დაუშვა. ასკ-ის ფეხბურთელებს კი, მთლად უთამაშებლები რომ არ დარჩნენ, შეუძლიათ სხვა გუნდში გადავიდნენ, თუ, რაღა თქმა უნდა, მსურველები გამოუჩნდებიან. როგორც გვითხრეს, ასკ-ს ორი ფეხბურთელი „ზუგდიდს“ უკვე გადაუბირებია.

**ლუკა თალაკვაძე**


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56; 8 99 10 71 09


საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა პირველი წრე

# 2 ტური

# წითელი ბარათი რად უნდოდა!

ლანჩხუთი
6 სექტემბერი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
1000 (ტევადობა 22 000)

**გურია 1:0 ზუგდიდი**

ჯ ჯულელი (12)
გურია: გ. დოლიძე, მ. ლონლაძე, გაბრიჭიძე, ორბელაძე, ვოსკანოვი, დანელია, სულაკაძე, ჯღარკავა (დ. მინაშვილი 80), განევი (ფაცურია 76), ჯულელი (ძნელაძე 89), ენდელაძე
სათადარიგონი: მერკვილიშვილი, სამხარაძე, ჩხუტია, პატარაია
ზუგდიდი: მ. კვარაცხელია, ლურჯკაია, ქიითანავა, გედენიძე (ჩიქობავა 46), დიდიძე, რ. ონიანი, ცოლბაია (თოლორაია 66), კუტალია (გამსახურდია 80), ლ. ბუკია, თორია, ჯიქია
სათადარიგონი: ნაფოფია
გაფრთხილება: მინაშვილი (83)
გაძევება: თუთბერიძე, ბერიძე (ზუგდიდის მწვრთნელები 80)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრიკოვი

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**ვერ** გეტყვით, რა იქნება სეზონის ბოლოს, მაგრამ გუშინწინ ლანჩხუთში ამაღლებული განწყობა სუფევდა. ძველი დიდების დრო დაბრუნდაო, კაცი გაიფიქრებდა. იყო კიდეც ამის საფუძველი — განახლებული, გაიმერლებული და გარკინიგზებული „გურია“ შეძლებისდაგვარად გაკოხტავებულ „ევგრაფი შევარდნაძეზე“ არცთუ მცირერიცხოვანი მაყურებლის თვალწინ უმაღლესი ლიგისკენ სავალ გზას უნდა დასდგომოდა.

ჩვეული ცერემონიალის შემდეგ მატჩიც დაიწყო, რომელსაც ბევრი რამ უნდა გაერკვია. მინდორზე გამოცდილი ფეხბურთელების ნაკლებობა ნაღდად არ იგრძნობოდა. ეს ერთიორად ზრდიდა ინტრიგას და თამაშიც არცთუ უინტერესო გამოდგა.

მართალია, მასპინძლები თავიდან აქტიურობდნენ, მაგრამ ხიფათი პირველად სტუმრებმა შექმნეს. მერვე წუთი იყო, ლონლაძეს თორიამ ბურთი რომ დასტყუა და ზედ კარის წინ ჯიქიას დაუგორა, ამან კი ათიოდ მეტრიდან სასწაულებრივ ააცდინა კარს.

გურულთა პასუხი სწრაფი და შედეგიანი გამოდგა. განევის კუთხიდან ჩაწოდებული ბურთი ივანე ჯულელმა ორიოდ მეტრიდან თავურით კარში გადაგზავნა.

გოლს თამაშის გათანაბრება მოჰყვა და ბურთიც ხშირ შემთხვევაში მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ბრძოლა, იცოცხლე, ფიცხელი იყო, ხეირიანი საგოლე მომენტები კი — იშვიათი.

მასპინძელთაგან ზვიად ენდელაძე და ივანე ჯულელი არიან გამოსარჩევნი. პირველი ბევრს ილვწოდა, ფლანგიდან ფლანგზე დაუღალელად ირჯებოდა და პასებსაც ბლომად არიგებდა, განსაკუთრებით ჯულელის მისამართით. ივანე შერმადინ დანელიასთან ერთად ბოლო მომენტში შეუერთდა „გურიას“ და უმალ შეტევის ლიდერი შექნა. ოღონდ ეგ არის, რიცხვმრავალ [illegible] — [illegible] კარის ჩარჩოში.

[illegible] ვთვლით, მარტო მეორეში ჯულელს სულ მცირე სამჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ... საერთოდ, „გურია“ მატჩის განახლების შემდეგ გაცილებით უკეთ ათამაშდა და სტუმართა კართანაც ხიფათმა ერთი-ორად იმატა. ჯულელის უილბლობაზე უკვე ვთქვით, გურულთაგან სხვებსაც მართებდათ მეტოქის კარის დალაშქვრა, განსაკუთრებით შეცვლაზე შესულ დათო მინაშვილს, თუმცა მან ორჯერ ისეთი მომენტი გაუშვა ხელიდან, საკვირველი იყო.

ამასობაში საკმაოდ ასაკოვან გურულებს დაღლა დაეტყოთ და „ზუგდიდმაც“ თამაშის გადასარჩენად ბოლო ძალები მოიკრიბა. მიუხედავად მცდელობისა, სტუმართა ძალისხმევა ამაო გამოდგა. ამაში მსაჯებს მიუძღვით ბრალიო, გაიძახოდნენ მეგრელები და მეშკოვს ალალად ურჩევდნენ, ზუგდიდში არ ჩამოსულიყო.

რამ ალაშფოთა ისინი? სტუმართა აზრით, რამდენიმე სადავო ეპიზოდის გარდა, მეშკოვს თერთმეტმეტრიანი უნდა დაენიშნა „გურიას“ კარში, როცა გურულთა ერთ-ერთ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა (მხოლოდ მოხვდა). ეს მატჩის ბოლოს იყო, მაგრამ მანამდე ჯულელი ონიანის ფეხს წამოედო და ამ ეპიზოდს მეშკოვი დუმილით შეხვდა. არადა, პენალტი აშკარა იყო.

მეტჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე უსიამოვნო ამბავი მოხდა. სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მეშკოვმა ოდიშართა მწვრთნელებს — ბადრი თუთბერიძესა და რუსლან ბერიძეს კუთვნილი ადგილი დაატოვებინა. საკვირველი ერთი რამ იყო — მსაჯს ამისთვის წითელი ბარათი არ გამოუყენებია.

# მესამის მერე პირველი

**პირველ** ლიგაში 3 სექტემბერს დაწყებული მეორე ტური, როგორც იქნა, 6 სექტემბერს ჩამთავრდა. მოგეხსენებათ, სამი თამაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბების მიერ საწევრო თანხის დაგვიანების გამო სამი დღით გადაიტანა. ოთხშაბათს კი „მილანი“ — „ხობის“, „ივერია“ — „ოკეანესა“ და „გურია“ — „ზუგდიდის“ ჩატარებასაც მოება თავი.

ლანჩხუთური მატჩის მსგავსად, „მილანი“ — „ხობის“ შეხვედრაც ინტერესს იწვევდა. მიზეზი ნათელია, წნორელებიც და ხობელებიც წლევანდელ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში აღზევებას გეგმავენ.

ხობელებმა სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელის წასვლით გარკვეული დანაკლისი კი განიცადეს, მაგრამ გუნდის ახალ თავკაც ენუქი თევზაძეს ძირითადი ბირთვი მაინც შემორჩა. „ხობში“ 6-7 ისეთი ფეხბურთელია, რომელთაც უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება არ აკლიათ. „მილანშიც“ მოიძებნება რამდენიმე ასეთი მოთამაშე.

მილანელები ოთხშაბათს მეტოქეს წნორში, ახალაგებულ „შოთა იამანიძეზე“ დაუხვდნენ. მასპინძლები, ცხადია, მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ. მიზანსაც მიაღწიეს, თუმც ეს დიდი ჯაფისა და ნერვების წყვეტის ფასად მოახერხეს. 84-ე წუთზელა გაიტანა მედოევმა გადამწყვეტი გოლი.

წნორი
6 სექტემბერი
18 საათი
შოთა იამანიძე
1 500 (ტევადობა 6 000)

**მილანი 1:0 ხობი**

ჯ მედოევი (84)
მილანი: გ. სომხიშვილი, თელიაშვილი, ტარიელაშვილი, დ. კაპანაძე, კ. მელქაძე, ქუონია (კიკვიძე 55), სოსელია (კობაიძე 37), ჩიტაური, ინასარიძე, ტოკლიკიშვილი (ვარამაშვილი 55)
სათადარიგონი: შ. მაისურაძე, მ. სომხიშვილი, მეტონიძე, თვაური
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, ფიფია, ლ. ჯაბუა, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე (ქეჯია 46), ა. ჯიქია, ტიტინაძე (მ. ტყებუჩავა 55), აბაკელია, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ხორავა
გაფრთხილება: ფიფია (47), ჯაბუა (64), მედოევი (86)
გაძევება: ფიფია (86)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. თბილელი, ს. შალამბერიძე; მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

ხაშური
6 სექტემბერი
18 საათი
მიხეილ ჯოჯუაშვილი
500 (ტევადობა 8 000)

**ივერია 1:1 ოკეანე**

ჯ ულუმბელაშვილი (6), ჯ კრავეიშვილი (66)
ივერია: ხვედელიძე, ცაჩლავაშვილი, ვეშაპიძე, ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ჯობაძე (ბაგლიაშვილი 57), გოგალაძე, ჯღამაია, ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე
სათადარიგონი: ბალიანი, ბლიაძე, დ. ხაჩიძე, ხარაზიშვილი
ოკეანე: ქუუასელი, ი. ჯიქია, თოდაძე, ს. გოგია, ქიმაძე, ლორთქიფანიძე, გაბედავა, კიკაძე, კრავეიშვილი, ჯიქიძე, მესხიშვილი
სათადარიგონი: თავაძე, ჩიგოგიძე, მალალურიძე, ჯულაყიძე
გაფრთხილება: ვეშაპიძე (49), ცაჩლავაშვილი (38), კრავეიშვილი (66)
მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); ი. ადეიშვილი (რუსთავი), გ. მარლიშვილი (ქარელი); ო. ხეცაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ხაშურში „ივერია“ — „ოკეანე“ სულ არ შედგებოდა, თბილისის ასკ-ს რომ პატრონი ჰყოლოდა. არმიელებმა საწევრო 12 ათასი ლარი ვერ იშოვეს და ფედერაციამაც პირველ ლიგას ჩამოაშორა, სამაგიეროდ კი „ივერია“ დაუშვა. წლეულს ეს გუნდები ალბათ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უფრო იბრძოლებენ. ყოველ შემთხვევაში, მათი შემადგენლობისა და შესაძლებლობის შემხედვარე, არცა გვგონია, მეტი მოახერხონ.

ხაშურული მატჩიც ამაზე მეტყველებს. გუნდები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

პირველი ლიგის ჩემპიონატი, მოგეხსენებათ, ერთობ უცნაურად, პირდაპირ მეორე ტურიდან დაიწყო. მიზეზი, „სარბიელის“ მკითხველს ეცოდინება, საწევროს გადაუხდელობა იყო. ფეხბურთის ფედერაციამ, პირველ ტურს რომელიმე სარეზერვო დღეს გავმართავთო, განაცხადა. გუშინ კი ეს დღე შეარჩიეს. დაგვიანებული პირველი ტური მომავალ სამშაბათს, 12 სექტემბერს შედგება.

**ბომბარდირი**

2 - არუთინიანი ცხინვალი

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 1 | 3 |
| 2 მეტალურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 გურია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 ოკეანე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 ივერია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 თორი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 10 ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 11 სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 შუქურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხი ერთად და სამიც ცალ-ცალკე

## ქინქლაძე პასებს არიგებს, ჯანაშიას და ყაველაშვილს კი გააქვთ

ბუნდესლიგის წინა, მეორე ტურის მერე ვწერდით ქართული და გერმანული ფეხბურთის ისტორიაში და ევროპის ამ ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ერთბაშად ოთხი ქართველის პირველად თამაშის ამბავს.

სამშაბათს ოთხივე ქართველმა ბუნდესლიგელმა სულაც ერთ მატჩში, ერთ სტადიონზე ითამაშა, ოღონდ ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან სქიტიშვილი და არჩილ არველაძე ერთდროულად ცოტა ხნით იყვნენ მოედანზე. ეს სურდომოხდილი ლევან კობიაშვილისა და არჩილ არველაძის შეცვლებსშორისი დროის მონაკვეთი გახლდათ.

ლევანის შეცვლაზე შესვლიდან 7 წუთში არჩილი დაასვენეს.

ისე, ოთხი ქართველით ფრაიბურგის „დრაიზამშტადიონის“ პუბლიკას ვერ გააკვირვებ. მართალია, სამშაბათს ტრიბუნაზე მსხდომი 25 ათასი ქომაგის მხოლოდ მეათედმა, მაგრამ მაინც 2000-ზე მეტმა ფრაიბურგელმა, პარასკევს მშობლიურ სარბიელზე ერთბაშად 20 ქართველი იხილა.

მოგეხსენებათ, 1 სექტემბერს საქართველოს ნაკრები „ფრაიბურგს“ ეთამაშა და 3:2 მოუგო.

ჰო, ამ კვირაში კი ქართველთა გუნდები მშვიდობიანად, უგოლო ფრით დასცილდნენ ერთმანეთს. თუმც რაღა მშვიდობაა, როცა სამი ჩვენებურის გუნდმა ორი ქულა დაკარგა და კიდევ ერთი ქართველისამაც ამ ორის ოდენ ნახევარი, ერთი ქულა მოიპოვა.

ინგლისში ითამაშა გიორგი ქინქლაძე და თანაც როგორ!

საზარდულის ოპერაციის შემდეგ გიომ პირველივე პრემიერლიგურ მატჩში ორი საგოლე პასი გააკეთა და, რაც აუცილებლად სათქმელია, „მიდლსბროსთან“ 0:3 გაათანაბრებინა „დერბის“.

ჯიმ სმიტმა 64-ე წუთზე შეუშვა მოედანზე ქინქლაძე და მალკოლმ კრისტი, რომლებმაც 3:0-ით გულდამშვიდებულ „ბოროს“ დაცვას თავბედი აწყვეტინეს. ჯერ კრისტიმ გაიტანა გიოს ფლანგაური, მერე კი ბრანკო შტრუპარმა მისივე კუთხური ჩაწოდებისას. ანგარიში საბოლოოდ კრისტიმ გაათანაბრა და ქინქლაძის მხარდამხარ მატჩის თანაგმირიც შეიქნა.

თითქმის ყველა ინგლისური წყარო იმაზე ამახვილებსა ყურადებას, რომ ქინქლაძე ახალნაოპერაციევია.

საშინაო მატჩში 0:1 მარცხი გამოასწორა თემურ ქეცბაიას „ვულვზმა“, რომელმაც სტუმრად 3:1 გაიმარჯვა „ოქსფორდთან“. თემურმა ოდენ ბოლო 17 წუთი დაჰყო მინდორზე და „ვულვერჰემპტონს“ უკვე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაში დაეხმარა.

ნაყოფიერი ტური ჰქონდა შვეიცარიული „ციურიხის“ ქართველობასაც — გოჩა ჯამარაულის და მიხეილ ყაველაშვილის გუნდმა 3:0 მოუგო შინ „ქსამაქსს“ და შვეიცარიულ თავისდამამშვიდებელ 8-ეულში მოხვდა.

პირველი ორი გოლი ყაველაშვილმა გაიტანა. მიშას უკვე ბოლო მატჩებია, კლუბსა თუ ნაკრებში, ირანთან თუ „ფრაიბურგთან“ რეგულარულად გააქვს.

სამაგიეროდ, წინა ტურში დუბლის გამტანი ლევან ხომერიკი და მისი „არაუ“ ამჯერად მშრალზე დარჩნენ — შინ „ბაზელთან“ 0:1 დამარცხდნენ.

„ციურიხის“ მსგავსად, 3:0 მოიგო ბელგიაში გელა შეყილაძის „ლიერსმა“ და რუსეთში ნოვოროსისკის „ჩერნომორეცს“, მეორე გოლი ზაზამ გაუტანა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც ის აღიარეს. მოიგო ოთარ ხიზანიშვილის „სპარტაკმაც“, მაგრამ ოლეგ რომანცევს ტრავმამოუშუშებელი ქართველი თადარიგშიც არ ჰყავდა.

შოტლანდიის თასისთვის ბრძოლას გამოაკლდა გიორგი ნემსაძის „დანდი“.

შოტლანდიის პრემიერლიგის დებიუტანტი „სენტ მირენი“ ისევე გაუსწორდა ივანო ბონეტის გუნდს, როგორც წინა ეტაპზე იტალიელის შეგირდები ქვემოლიგელ „მონტროუზს“.

ნემსაძემ ბოლო 23 წუთს ითამაშა და მისი პასებით „დანდის“ თავდამსხმელებმა საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ „სენტ მირენის“ მეკარე ყოჩაღობდა და აღარც დანდელები ჩანდნენ სამი გოლის ამომქაჩავნი.

ჰოლანდიაში „ნაიმეგენს“ უგოლოდ დაშორდა შოთა არველაძის „აიაქსი“. შოთამ რამდენიმე საგოლე შანსი ვერ გამოიყენა.

პსვ-ს ძირითადი გუნდი კი ჯერჯერობით გოგა გახოკიძის გარეშე თამაშობს. თავად გახოკიძე სათადარიგო გუნდშია, რომელსაც ერვინ კუმანი წვრთნის და ორშაბათს სარეზერვოთა ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩიც ითამაშა. პსვ 2 „ფეიენოორდი 2“-ს 2:2 დაუზავდა. გოგამ 90 წუთს ითამაშა, მაგრამ გოლებში მონაწილეობა არ მიუღია.

უკრაინაში ტურის ძირითადი ნაწილი დღეს გაიმართება და იქაურთა თაობაზე იქით კვირაში იყოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



გიორგი ქინქლაძე

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 0:0 | 90 | | 3 | 0 | 8 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 0:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | 8 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | კიოლნი 0:0 | 90 | | 2 | 0 | 8 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ფრაიბურგი 0:0 | 75 | შეცვალეს | 3 | 0 | 9 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ზტ. პაული 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 8 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | მიდლსბრო 3:3 | 25 | შეცვლაზე ითამაშა, 2 პასი | 0 | 0 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | არსენალი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | პორტსმუთი 1:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 8 |
| ლიგის თასის პირველი ეტაპი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ოქსფორდი 3:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხილეს | 2 | 0 | |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| ქვეყნის თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | სენტ მირენი 0:3 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ნაიმეგენი 0:0 | 90 | | 3 | 2 | 9 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ტილბურგი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ბევერენი 3:0 | 86 | შეცვალეს | 3 | 0 | 4 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | მუსკრონი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდში ითამაშა | 0 | 0 | 18 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ქსამაქსი 3:0 | 90 | | 8 | 2 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ქსამაქსი 3:0 | 90 | 2 გოლი | 7 | 4 | 8 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | ბაზელი 0:1 | 90 | | 9 | 2 | 9 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ჩერნომორეცი 3:0 | 90 | 1 გოლი | 16 | 3 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | დინამო 4:2 | 0 | ტრავმირებული იყო | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ზენიტი 0:1 | 62 | შეცვალეს | 16 | 4 | 10 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ზენიტი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 15 | 0 | 10 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 6 | -11 | 13 |
| ზურაბ ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | შ | ფაკელი 1:0 | 90 | | 5 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ცსკა 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| გიორგი დავითნიძე | ურალანი | ს | ტორპედო 2:2 | 0 | | 1 | 0 | 16 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | ს | რუბინი 0:2 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 2 |
| | ტორპედო ზილი | ს | სპარტაკ ჩუკოტკა | | ჩაეთვალა მოგება | 6 | 0 | 2 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ნოსტა 3:0 | 90 | გააფრთხილეს | 18 | ,0 | 6 |
| | კრისტალი | შ | ლადა 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 19 | 0 | 6 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | მ.ლიპეცკი 1:2 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 17 | 0 | 8 |
| | ბალტიკა | ს | არსენალი 0:3 | 90 | | 18 | 0 | 10 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | გაზოვიკი 0:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 12 |
| | ვოლგარი | შ | ამკარი 0:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 12 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | ლ.ჩიტა 0:1 | 90 | | 23 | 0 | 15 |
| | ჟემჩუჟინა | ს | მ.კრასნოიარსკი 1:4 | 24 | შეცვალეს | 24 | 0 | 15 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | სტალი | | დღეს გაიმართება | 2 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | სტალი | | დღეს გაიმართება | 7 | 5 | 3 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | ტავრია | | ხვალ გაიმართება | 2 | 0 | 10 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | კარპატი | | ხვალ გაიმართება | 1 | 0 | 5 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | კრივბასი | | ხვალ გაიმართება | 4 | 0 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | კრივბასი | | ხვალ გაიმართება | 1 | 0 | 9 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | შ | შახტარი 1:4 | 45 | შეცვალეს | 6 | 0 | 2 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 6 | 2 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 6 | 0 | 12 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 8 | 2 | 12 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 3 | 0 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 4 | 1 | 12 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | მ.ზაპოროჟიე | | ხვალ გაიმართება | 1 | 1 | 12 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი.რიშონი | ს | ბ.ბეერ შევა 2:0 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | ს | ცაფრირიმი 4:3 | 70 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ბეით შანი | შ | ჰ.რამათ განი 1:1 | 90 | | 2 | 0 | |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| ლიგის თასი | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ზაგლებე 2:4 | ? | გააფრთხილეს | 1 | 0 | |
| | რუხი | ს | ზაგლებე 0:1 | ? | გააფრთხილეს | 2 | 0 | |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 4 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 90 | 1 გოლი | 13 | 2 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 0 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 4 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დაუგავა 5:0 | 34 | ტრავმირებულია | 13 | 3 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | რიგა | | დღეს გაიმართება | 13 | 1 | 8 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ზიმბრუ | შ | ჰაიდუკი 1:0 | ? | | ? | 1 | 1 |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | ჰაიდუკი 1:0 | ? | | ? | 0 | 1 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
3 ტური

# ტორპედოს თასი, ყიფიანს რა?

**სამი** ტურის შემდეგ ერთი რამ ნათელია, მეთორმეტე ეროვნული მეთერთმეტესაგან თავისებური სიახლეებით გამოირჩევა, უწინდელს სანახაობრივადაც ჩამოუვარდება და დონეზე ხომ ზედმეტია საუბარი.

ჯერჯერობით ვერ ამართლებს სექვესტრი და ვინმეს ჩემი აზრი თუ აინტერესებთ, ვერც ვერასდროს გაამართლებს. ფაქტი ისაა, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონემ კიდევ უფრო დაიწია, ხოლო ის თამაში, რასაც ქომაგები, სპეციალისტები და ჟურნალისტები ოცდამეერთე საუკუნის ზღვარზე ვუცქერთ, მეოცე ასწლეულის დასაწყისის ფეხბურთს ჰგავს.

რეგრესი რომ აშკრაა, ამას ჩვენი ნაკრებებისა და კლუბების მიერ ევროპულ სარბიელზე ნაჩვენები შედეგი ადასტურებს. წარუმატებლობას ბოლო არ უჩანს და როდის დაიწყება ფეხბურთის დიდმოხელეთა შეპირებული ალმავლობა (ანაც დაიწყება თუ არა საერთოდ) დღეისთვის უცნობია.

ახლა მესამე ტურს მივხედოთ და გუშინწინდელ ავ-კარგზე ვთქვათ. ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში ჩატარდებაო, თურმე ტყუილად გავიძახოდით. თბილისში, „სინათლეზე“ კარგი სანახაობა მოეწყო და ვინც ის მატჩი ვერ იხილა, ბევრიც დაკარგა.

ავჭალას ნასტუმრებმა „ვიტ ჯორჯიამ“ თავიდან ყველაფერი სათავისოდ მოიწყო, ორი ბურთითაც დაწინაურდა და მეტოქეს კიდევ არაერთს ჰპირდებოდა, მაგრამ „მერანის“ თავკაცმა სერგო გაბელაიამ მეორე ტაიმში გაჭირვებისთვის შემონახული საიდუმლო იარაღი, უკრაინელი ანდრეი მუხინი შემოუშვა და ვიტელთა ორბურთიანი უპირატესობაც საბოლოოდ თვალსა და ხელს შუა გაქრა.

და მაინც, „მერანს“ მუხინი ვერას უშველიდა, რომ არა თანაგუნდელთა ყველა შეცდომის გამომსწორებელი აკაკი დევაძე. გუშინწინ კაკომ ყველა საუკეთესო თვისება ერთბაშად გაიხსენა. „სინათლეზე“ მისული ქომაგი სასიამოვნოდ გააოცა, ხოლო მეტოქეს გაოგნებისგან სულ ხელები აშლევინა.

დევაძემ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერაც ნაადრევია. მერანელს არც მისი ახალგაზრდა მოწინაალდმეგე-კოლეგა მირზა მერლანი ჩამორჩა და სულ აულებელი ბურთები მოიგერია. თუ არ დაიზარებთ და მესამე ტურის სარბიელისეულ სიმბოლურ ნაკრებს თვალს გადაავლებთ, არ გაგიკვირდეთ ნაკრებში მოხვედრილი ორი მეკარე, მათ ეს დაიმსახურეს.

საბოლოო 2:2-მა „ვიტ ჯორჯიას“ გული დასწყვიტა, „მერანი“ პირიქით, გაახარა. გუშინწინდელი მეტოქეები გათამაშების ცხრილში მეზობლები არიან, ოღონდ „ვიტ ჯორჯია“ ბურთების უკეთესი სხვაობით ჯაბნის „მერანს“.

დროებით ლიხს იქით გადავინაცვლოთ და იმ თამაშზე ვთქვათ, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა. „ტორპედომ“ „ბათუმი“ ისე დაამარცხა ხეირიანად ოფლიც არ გამოუდენია.

სტადიონზე მისული ქომაგი უკმაყოფილო გაბრუნდა უკან. ისინი სულ სხვა თამაშს ელოდნენ, მაგრამ...

ასეთი სუსტი „ბათუმი“ მე არ მახსოვს. შეცდომებით მოთამაშე დაცვა, უმაქნისი ნახევარდაცვა და თავდასხმაში ეულად დამაშვრალი შალვა აფხაზავა.

საკუთარი გუნდის სისუსტეები, ალბათ, ყველაზე უკეთ ჯანი კარნევალის მოეხსენება, მაგრამ ჩვენ ერთს მაინც შევკადრებთ, იტალიელმა რამდენიმე ვეტერანი დამსახურებულ პენსიაზე მიაბრძანა, თუმც შემცვლელებიც ვერ უპოვია ხეირიანი და არის ახლა „ბათუმი“ ბოლოდან მესამე.

„ტორპედომ“, კერძოდ ზურაბ იონანიძემ და გიორგი იმედაძემ, შესვენებამდე გაიტანეს ორი გოლი, მეორე ტაიმში იონანიძემ მონაგარს ერთიც მიუმატა, მაგრამ მალალურაძემ სამართლიანად დააფიქსირა წესების დარღვევა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა მეტის გატანა არ ისურვეს, ხოლო სტუმრებს ზოიძის კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ. ჯანი კარნევალიც ნაადრევად შეეგუა დამარცხებას, თითქმის უემოციო და უპრეტენზიო ჩანდა იტალიელი. თამაშის შემდეგ დავით ყიფიანთან გულთბილად ისაუბრა და კვლავ გაწბილებული გაემგზავრა ქუთაისიდან.

„ტორპედომ“ იმერეთის ფეხბურთის ფედერაციისგან საჩუქრად თასი მიიღო. იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა რიონისპირელები მეთერთმეტე ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან გუნდად აღიარა.

დააჯილდოვეს დავით ყიფიანიც. „ტორპედოს“ თავკაცს რეგიონის საუკეთესო მწვრთნელისთვის დაწესებული პრიზი იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ ფილიპაშვილმა გადასცა. მართალია, პრიზის ფორმა, მოყვანილობა, ღირებულება და დასახელება, ტრიბუნებზე მოკალათებული ქომაგების, ჟურნალისტებისა თუ სტუმრებისთვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ ბატონი დავითი უკმაყოფილო ნამდვილად არ ჩანდა.

რუსთავის „გორდა“ ზღვისპირელთა რისხვად იქცა. ფერგიასონის ბიჭებმა „კოლხეთი“ დატოვეს უქულოდ და ახლა ხუთეულში იწონებენ თავს, ამ ბოლო ხანებში ასეთი რამ არავის ახსოვს.

მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპის „კოლხეთი“ ბევრს ემახსოვრება. ფოთელებმა „ფაზისზე“ თითქმის ყველა მეტოქეს, სახელიანს და უსახელოსაც, შავები ჩააცვეს, ლაღად და კარგად თამაშობდა გუნდი.

ახლა მინდორზე იმ გუნდის აჩრდილი დადის. მიზეზი კი თურმე ასეთია. კოლხთა თავკაცმა თქვა, შეთამაშება გვაკლია, ძირითადი მეკარე ტრავმირებულია და გუნდიდანაც ექვსი ჩინებული ფეხბურთელი გავუშვითო.

ვითომ მხოლოდ ეს არის „კოლხეთის“ გასაჭირი? რაზან მწვრთნელი ამბობს, მოდით, ჩვენც ვერწმუნოთ, თუმც არა მგონია, ამან ფოთელებს უშველოს.

ბოლნისში, „სიონ“ — „დინამოს“ დაპირისპირებას მორიგი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მსაჯები პოლიციის დასაცავნი შეიქნენ, მრისხანებას ვერ მალავდნენ „ალა და ფანები“.

იყო თუ არა პენალტი, მოხვდა თუ არა ბურთი ხელზე სოლოღაშვილს, შეცდა თუ ცამდე მართალი იყო მატჩის არბიტრი დავით სანაია? აი, კითხვები, რომელსაც პასუხი ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა უნდა გასცეს, თანაც რაც შეიძლება მალე.

ბოლნისში კი მორიგად და სამადლოდ მოიგო „დინამომ“ გაიხარა კლუბის ახალგაზრდა თავკაცმა, მერე იკითხა, პრესკონფერენცია თუ იქნებაო. ასეთი რამ აქამდე არც ერთ მწვრთნელს უკითხავს. კარგი იქნება, დინამოელთა დამრიგებელი მსგავს კითხვას წაგებული მატჩის შემდეგაც თუ გაიმეორებს.

„იბერიას“ სამტრედიაში დაბრუნება ჯერ გორის „დილამ“ ჩაუშხამა, მერე ადგილობრივმა ქომაგებმა.

თავად თამაში ისეთი იყო, რომ ყველა ფრეს ელოდა, მაგრამ გორელმა ეჯოშვილმა მასპინძელთა საჯარიმოში ისეთი ჩააწოდა, თავადაც გაკვირვებული დარჩა და ვარდანიძე სულაც რას გაუგებდა.

სამტრედიელი ქომაგი კი სულ სხვას ითხოვს და ამისთვის ყველაზე ცუდ ხერხს ირჩევს-ხოლმე. მსგავსი შეხლა-შემოხლა პირველი როდია და ვერ გაგვიგია, თუ „იბერია“ საკუთარმა ქომაგმა შეიძულა, სხვა ვინ მოეფერება, ნეტავი?

სოსო ფრუიძის სამწყსომ კი გულდაწყვეტილმა დანანებით აღნიშნა, აქ...
რაღამ მოგვაბრუნაო.

თბილისური „ლოკომოტივის“ მო...
რიგი მსხვერპლი ახალგაზრდული თსუ...
შეიქნა. მცხეთაში, „არმაზზე“ შეკრე...
ბილი ქომაგი თავიდანვე დაძაბული...
საინტერესო პაექრობის სანახავად გა...
ნაწყო სტუმარ-მასპინძელმა, მაგრამ მა...
ლე მინდორზე ერთი გუნდი, „ლოკო...
მოტივილა“ თამაშობდა და შედეგი...
ლოგიკური დაფიქსირდა.

რევაზ ძოძუაშვილმა ვეტერანი გო...
გიჩაიშვილი ახალ ამპლუაში, ცენტ...
რალურ ნახევარმცველად გამოსცადა...
და კახამაც გაამართლა.

სტუმართა თავდამსხმელი გიორგი...
შენგელია ჰეთ თრიქის ავტორი ის...
შეიქნა, რომ ბურთს სულ სამჯერ გა...
ეკარა და ასე შემდეგ.

თსუ კი ჯერჯერობით მყარი აუტ...
საიდერია და გათამაშების ცხრილში...
წინ წამოწევა გაუჭირდება.

მესამე ტურში 17 გოლი იხილა მა...
ყურებელმა. აქედან 7 მასპინძლებმა გა...
იტანეს, 10 — სტუმრებმა. სამჯერ სტუ...
მრებმა იმარჯვეს, ორჯერ მასპინძლე...
ბმა, ერთ მატჩში ფრე დაფიქსირდა.

წინ კიდევ არაერთი ტურია. იქნებ...
რამე გამოსწორდეს, სანამ მეთორმე...
ტე ეროვნული ფინიშს უსწორდება.

**მამუკა ძვანტალიანი**


სტუდენტთა ნგრევა ლოკომოტიველმა სულიკო დავითაშვილმა (№11) ამ გოლით დაიწყო


კოლხი ლევან შავგულიძე (№9) და „გორდას“ ზურაბ ლაბაძე


ჰეთ თრიქის ავტორ ლოკომოტიველ გიორგი შენგელიას მეორე გოლი გააქვს

საქართველოს უმაღლესი ლიგა — ჩემპიონატი 12 — პირველი წრე — სტატისტიკა

# 3 ტური

## ტურის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 3 |
| მატჩი | 18 |
| გოლი | 47 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,6 |
| მასპინძელთა მოგება | 9 (50%) |
| ფრეები | 1 (6%) |
| სტუმართა მოგება | 8 (44%) |
| საერთო დასწრება | 32 600 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 811 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | III: 300 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 98 | 16,35 |
| სტუმარი | 118 | 19,65 |
| სულ | 216 | 36,00 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 4,35 |
| სტუმარი | 20 | 3,35 |
| სულ | 46 | 7,70 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 27 | 4,50 |
| სტუმარი | 38 | 6,35 |
| სულ | 65 | 10,85 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 22 | 3,65 |
| სტუმარი | 23 | 3,85 |
| სულ | 45 | 7,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 23 | 3,85 |
| სტუმარი | 24 | 4,00 |
| სულ | 47 | 7,85 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### მერანი 2:2 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 12 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 7 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### ტორპედო 2:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 18 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 6 | კარში დარტყმა | 0 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

### თსუ 1:5 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 15 |
| 1 | კუთხური | 5 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 3 | კარში დარტყმა | 7 |
| 5 | თამაშგარე | 9 |

### იბერია 0:1 დილა

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 19 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 11 |

### გორდა 1:0 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 11 |
| 1 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 1 | კარში დარტყმა | 7 |
| 9 | თამაშგარე | 3 |

### სიონი 1:2 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 25 | დაჯარიმდა | 43 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 7 | კარში დარტყმა | 8 |
| 0 | თამაშგარე | 6 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| 2 - ქიტეიშვილი | გორდა |
| დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| რუსია | ლოკომოტივი |
| დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| იმედაძე | ტორპედო |



ორშაბათს ქუთაისში: „ტორპედო“ — „ბათუმი“ 2:0. მასპინძლები იმედაძე (№23) და ახვლედიანი (21) სტუმართა კარს უტევენ

### მერანი 2:2 ვიტ ჯორჯია

თბილისი
6 სექტემბერი
18 საათი
სინათლე
3 000 (ტევადობა 3 000)

0:1, 0:2 მელქაძე (4პ, 35), 1:2 ბოლქვაძე (80), 2:2 მინაშვილი (90)
გოდერძიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (70, მეკარე)
მერანი: დევაძე, ოდიშარია (ივანიშვილი 46), გუჯაბიძე, ცქიტიშვილი, დევიძე, გ. კვიტინაძე (ბოლქვაძე 56), დ. გოდერძიშვილი, ა. ხორხელი, კაკუბავა, ქინქარაული (მუხინი 46), მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; ილურიძე, კობიაშვილი, ბაჯელიძე
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (ინწკირველი 86), კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, დ. ნოზაძე, დოლმელაშვილი (ხაჭაპურიძე 46), დეკანოსიძე, გოჩაშვილი (დოლიძე 46), სულთანიშვილი, ლ. მელქაძე
სათადარიგო: სტურუა;
გაფრთხილება: ცქიტიშვილი (4), ნოზაძე (81)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

### ტორპედო 2:0 ბათუმი

ქუთაისი
6 სექტემბერი
18 საათი
ტორპედო
6 000 (ტევადობა 19 432)

1:0 იონანიძე (20), 2:0 იმედაძე (42)
ტორპედო: ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, კ. კვიტინაძე, გ. ჩხაიძე (ჩხეტიანი 60), დ. ჯანაშია, თურმანიძე, გუჩუა, ახვლედიანი, იმედაძე (ასათიანი 71), ხვადაგიანი
სათადარიგონი: ქანთურია; შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, თავბერიძე, შალამბერიძე
ბათუმი: ქვაჩახია, პაპიძე, მინდაძე, მ. ქობულაძე (ბ. შენგელია 57), სიდამონიძე, ჩოხელი, გელა ქორიძე, აფხაზავა, ა. მუჯირი (ლლონტი 66), მეგვინაძე (გაბისონია 46)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ქრაშვილი, კ. ქაცარავა, სიხარულიძე
გაფრთხილება: მინდაძე (8), აფხაზავა (27)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

### თსუ 1:5 ლოკომოტივი

მცხეთა
6 სექტემბერი
18 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

0:1 დავითაშვილი (6), 1:1 ახალაძე (8პ), 1:2 რუსია (35), 1:3, 1:4, 1:5 შენგელია (43, 54, 87)
თსუ: გუგუნავა, ხარებავა (მორჩილაძე 46), ებრალიძე, ე. ალადაშვილი, არეშიძე, სვანაძე (ზვ. ლაბაძე 56), რ. გოცირიძე, ადამია (ვადაჭკორია 78), ახალაძე, მესხი, ერაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ბ. ნოზაძე, კვიციანი, ა. ბოკერია
ლოკომოტივი: ლომაია, ხიზანიშვილი, აბრამიძე, თოდუა, ლ. მიქაძე (ადეკაიური 65), გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, დავითაშვილი (გოწირიძე 59), გ. შენგელია, რუსია (ბალაშვილი 56), ლევან სილაგაძე
სათადარიგონი: ივარდავა; სალუქვაძე, გილაური, ბარამიძე
გაფრთხილება: ერაძე (9), ხარებავა (27), მესხი (62), თოდუა (65)
მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

### იბერია 0:1 დილა

სამტრედია
6 სექტემბერი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
800 (ტევადობა 15 000)

0:1 ეჯოშვილი (80)
იბერია: ვარდანიძე, ქვანია (მუმლაძე 31), გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, გიგიაძე, ოდიკაძე (ბიწაძე 65), ზ. მეტრეველი, ჩომაკაძე (ყურაშვილი 78)
სათადარიგონი: ჩომახიძე; ლ. ვაშაკიძე, შ. ონიანი
დილა: მდივანი, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ციცქიშვილი (ხოხობაშვილი 46), ფეხუაშვილი, კოტორაშვილი (მ. ბურნაძე 90), ა. ხმალაძე (საყვარელიძე 90), ეჯოშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; გ. ტულუში, დ. მანსურაძე, ოლიგქაშვილი
გაფრთხილება: აკოფიანი (61), ფეხუაშვილი (70)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქიათურა), კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

### გორდა 1:0 კოლხეთი

რუსთავი
6 სექტემბერი
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

1:0 მიშველიძე (82)
გორდა: ნიკურაძე, მჭედლიძე, ბექაური, გაბელაია, ლაშა სილაგაძე, ბუკია (მიშველიძე 55), მელაძე, ზ. ლაბაძე (ბაჩილავა 74), კ. ალადაშვილი, ქიტეიშვილი (ბერიძე 80), ივეჩიანი
სათადარიგონი: გონგაძე; კაპანაძე, მ. სახვაძე, ფოჩხუა
კოლხეთი: ჩემია, გოროზია, ტორჩინავა, მალაკელიძე, კუკლიაშვილი, ხუჭუა, ფამჩულიძე, ე. გვასალია (ბ. ჩიტაია 77), შავგულიძე (კრასოვსკი 70), კედელაშვილი (ქუთელია 46), ლაღანიძე
სათადარიგონი: გ. ზ. მიქაძე, ფრანგიშვილი, პაპავა, თედევე
გაფრთხილება: ლაღანიძე (25), კედელაშვილი (32), სილაგაძე (35), მელაძე (41), ალადაშვილი (76), ტორჩინავა (77), ფამჩულიძე (78)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)
სფფ-ს ინსპექტორი: კ. ჭრუაშვილი

### სიონი 1:2 დინამო

ბოლნისი
6 სექტემბერი
18.06 საათი
თემურ სტეფანია
3 000 (ტევადობა 3 000)

0:1 დათუაძე (33პ), 1:1 ისიანი (58), 1:2 გადელია (66)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (მოსეშვილი 7, კ. მეტრეველი 46), ირემაშვილი, ძაპინძულაშვილი, დიმიტრიშვილი, ბარნოვი, სოლოღაშვილი, პეტრიაშვილი, ვ. მაისურაძე (გამცემლიძე 70), ისიანი, წიფწივაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი; მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
დინამო: ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, ზამთარაძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 88), შაშიაშვილი, დათუაძე, გადელია, სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, კ. გოგოლაძე (ზირაქიშვილი 63)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ.ვ. მიქაძე, რუხაძე, მაზიაშვილი, ბურდული
გაფრთხილება: გადელია (67), ვაშაკიძე (71), მეტრეველი (72), ისიანი (76)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე



ტორპედოელი გიორგი იმედაძე (ბურთით) და ბათუმელი ზვიად პაპიძე

## სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი შენგელია — ლოკომოტივი
შალვა ისიანი — სიონი
ვალტერ გუგავა — ტორპედო
ანდრია მუხინი — მერანი
კახა გოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
პაატა ჯინჭარაძე — დინამო
პაოლო ბიძაური — გორდა
ემიკ სამხაია — ვიტ ჯორჯია
ბადრი ახვლედიანი — ტორპედო
აკაკი დევაძე — მერანი
მირზა მირლანი — ვიტ ჯორჯია

გუნდი: მერანი

მწვრთნელი: სერგო გაბელაია მერანი

## «ა» ზონა

| № | გუნდები | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 11 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 |
| 2 | ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 | დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 |
| 3 | დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 | გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:7 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 7 | მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 | კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 9 | სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 10 | ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 11 | იბერია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 12 | თსუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |

# უკანასკნელ ამოსუნთქვამდე

## ინგლისი

### IV ტური

**ჩარლტონი 1:1 საუთჰემპტონი**

0:1 პახარსი (79), 1:1 იოჰანსონი (82)

ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პაუელი, სტიუარტი, რუფუსი, კინსელა, პარკი, რობინსონი (ტოდი 62), ბრაუნი, იენსენი (იოჰანსონი 72), ლისბი (ნიუტონი 72)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

საუთჰემპტონი: მოსი, მარსდენი (კაჩლოული 69), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოუკლი, დრეიპერი, როსლერი (ბიტი 69), პახარსი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, ტესემი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: როსლერი, დრეიპერი, მარსდენი, ბრაუნი, რუფუსი, კიშიშევი

გაძევება: ბრაუნი (59)

20 043 მაყურებელი

**ჩელსი 2:2 არსენალი**

1:0 ჰასელბაინკი (31), 2:0 ძოლა (58), 2:1 ანრი (76), 2:2 სილვინიო (86)

ჩელსი: კუდიჩინი, პანუჩი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი (მელხიოტი 71), ჰასელბაინკი, უაიზი, ლე სო (მორისი 80), დი მატეო, ძოლა (ფლო 77)

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

არსენალი: სიმენი, დიქსონი (ბეხკამპი 70), კიოუნი, პირესი (ლიუნგბერგი 77), ლორენი, ანრი, პარლოუ (ვილტორდი 70), სილვინიო, გრიმანდი, ლუძნი, კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: პანუჩი, ლე სო, ლებეფი, სილვინიო

34 923 მაყურებელი

**ქოვენთრი 0:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (30პ), 0:2 გალაჰერი (58)

ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, ჰოლი, შოუ, უილიამსი, ტელფერი, ჩიპო, პალმერი, ოსტიჩი (ჰაჯი 61), ბელამი (ალოიზი 70), რუსელი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

ნიუკასლი: გივენი, შარვე, გომა, ა. ჰიუზი, დომი (გრიფინი 21), დაიერი, ლი, სპიდი, გლასი (გალაჰერი 47), შირერი, კორდონე (კერი 89)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: ჩიპო, გლასი

22 109 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 3:3 მიდლსბრო**

0:1 ბოკშიჩი (12პ), 0:2 ჟობი (51), 0:3 დინი (59), 1:3 კრისტი (68), 2:3 შტრუპარი (83), 3:3 კრისტი (88)

დერბი ქაუნთი: პოომი, შნური, დელაპი, ჯონსონი, სტარიჯი, დ. ბარტონი, ს. ელიოტი, ერანიო (კრისტი 65), ბრაგსტადი, შტრუპარი (მიურეი 90), ვალაკარი (ძინძლაძე 65)

მწვრთნელი: ჯიმ სმიტი

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, ფესტა, პალისტერი (გევინი 58), კარამბეუ, ინსი, დინი, ბოკშიჩი (ველანი 60), ჟობი (სამერბელი 71), სტამპი

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: შნური, ვალაკარი, ჯონსონი, ფესტა, სამერბელი

24 290 მაყურებელი

**ლესტერი 2:1 იფსვიჩი**

1:0 აკინბი (67), 2:0 ელიოტი (73), 2:1 მეკგილტონი (89პ)

ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, გაპი, იმპი, სევიჯი, ოუქსი, იზეტი (კოლიმორი 46), აკინბი, იდი

მწვრთნელი: პიტერ ტეილორი

იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, ბრემნერი, სკაილზი, ჰრეიდარსონი, მეკგილტონი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი (მოუკრონფტი 66), იონსონი, სტიუარტი

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

გაფრთხილება: ტაგარტი, ბრემნერი

19 598 მაყურებელი

**ლივერპული 3:1 ასტონ ვილა**

1:0, 2:0, 3:0 ოუენი (5, 14, 33), 3:1 სტოუნი (83)

ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰიპია, ჰენჩოსი, ტრაორე, ჯერარდი, ჰამანი, კარაგერი, შმიცერი (ბარმბი 18), ოუენი, ჰესკი (მეიერი 63)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ასტონ ვილა: ჯეიმსი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ალფაი (ჟინოლა 70), სტოუნი, ბოატენგი (ლ. ჰენდრი 64), ტეილორი, ბერი, მერსონი, დაბლინი, ნილისი

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

გაფრთხილება: ჯერარდი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი

43 360 მაყურებელი







ლონდონური დერბის 86-ე წუთი: სილვინიოს (№16) ულამაზესმა გოლმა ჰასელბაინკი (№9) და „ჩელსი" გააოგნა

**„ნიუკასლ იუნაიტედი"** პრემიერლიგის ლიდერი უკანასკნელად 1996 წლის 29 ნოემბერს იყო. მაშინ გუნდს კევინ კიგანი წვრთნიდა და მის ხელში ტინსაიდს მშვენიერი გუნდი ჰყავდა, რომელიც დრამატულ ბრძოლებში უთმობდა პირველობას „მანჩესტერ იუნაიტედს".

ოთხმაბათს „ნიუკასლმა" სტუმრად სძლია „ქოვენთრის" და სამი წლისა და ათი თვის თავზე კვლავ სათავეში მოექცა ლიგას. ლიდერის მენეჯერი ბობი რობსონი რა გაქანების საფეხბურთო მოღვაწეცაა, ცნობილია, მისი აზრი კი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს:

„რაღაც ძალიან ადრე მოვექცით სათავეში ცხრილს. ეს არასწორი დროა. უბრალოდ, ჩემმა ჩანაფიქრმა საოცარი შედეგი გამოიღო. წუხელ ვკითხე ბიჭებს, ჩემპიონობა თუ შეგიძლიათ-მეთქი. მათ ერთხმად მომიგეს, კიო. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ჩემპიონობის ბედი ქოვენთრიში წყდება-მეთქი. ჰოდა წარმოიდგინეს. ამ ფილოსოფიას მომავალშიც მოხერხებულად მოვიმარჯვებ".

ქოვენთრიში კი მართლაც თვალსასეირო მატჩი იყო. სტუმართა სული და გული ალან შირერი შეიქნა, რომელმაც ძველებურად ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ალანი თამაშის ღერძი იყო. ამ კვირაში რომ ვაჟი შეეძინა, შირერისთვის კარგი ხელშემწყობი გამოდგა. მისი მეცადინეობით მოპოვებული პენალტი თავადვე გაიტანა და ერთი სტატისტიკური მონაცემიც დაამრგვალა: 375 ლიგურ მატჩში 200 გოლი მოუგროვდა. მეორე გოლი შეცვლაზე შემოსულმა კევინ გალაჰერმა გაუტანა თავის ყოფილ თანაკლუბელებს, კირონ დაიერი და დანიელ კორდონე კი საუცხოოდ ირჯებოდნენ და მასპინძელთა ისედაც მღელვარე დაცვას ტანჯავდნენ.

სტუმრად ზედიზედ ორი თამაშის მომგებმა „ქოვენთრიმ" თავდასხმაშიც ვერაფერი გააწყო. მენეჯერმა გორდონ სტრაჩანმა კი ფსიქოლოგიური პორტრეტი შემოგვთავაზა: „ჩვენები გულით ირჯებოდნენ და არა თავით. დაცვა ცდებოდა. ისე კი ჯობს, თავი და გული ერთმანეთს მიაშველო".

პრემიერლიგის მთავარმეგოლეთა სიას კი ის ჩაუდგა სათავეში, ვინც უნდა ჩადგომოდა. მაიკლ ოუენმა შეხვედრის პირველ ნახევარ საათში სამი გოლი გაუტანა „ასტონ ვილას" და „ლივერპულმაც" მშვიდად მოამთავრა თამაში. მერსისაიდელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ თქვა, რაც აქ ვარ, მაიკლს ასეთ მაღალ დონეზე არ უთამაშიაო. თავად საღამოს გმირმა კი აღნიშნა, გაათკეცებული მონდომებით ვვარჯიშობ და ყველა თამაშში ძირითადში მინდა მოხვედრაო. მართალიცაა — როგორც კი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდება, მაიკლს აუცილებლად გააქვს.

ვილელთა მენეჯერი ჯონ გრეგორი შემცბარი იყო: „ჩვენ ასეთი რამ არ გვჩვევია. ოუენი ბრწყინვალე იყო, მაგრამ ნახევარ საათში სამი გოლი?"

ერთი კოხტა საოცრება მოხდა დერბის „ბეისბოლ გრაუნდზეც", სადაც ჯიმ სმიტის ცხვრები 70 წუთის განმავლობაში უიმედო 0:3-ს აგებდნენ „მიდლსბროსთან". საოცრება კი მაშინ იქცა სინამდვილედ, როცა მრავალნაცად ძია ჯიმს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, ორმაგ შეცვლაზე წავიდა და 64-ე წუთზე მოედანზე გიო ქინქლაძე და მალკოლმ კრისტი შეუშვა. ყმაწვილი კრისტის საგოლე ალღო და ქინქის პასები და საგოლე კუთხური სწორედ ის იყო, რამაც „დერბის" უძნელესი ქულა მოუპოვა — 3:3 და საუცხოო განწყობა. ისე კი, ქინქლაძეს „ბორო" დაბრიყვებული ჰყავს, ჯერ კიდევ „სიტის" დროიდან.

საღამოს მთავარი წარმოდგენა კი, რა თქმა უნდა, იყო ლონდონური დერბი — ჩრდილოეთი-სამხრეთი. „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსი" „არსენალს" ხვდებოდა და თავდადებით ცდილობდა შარშანდელი ამბავი წაეშალა ისტორიიდან. შარშან ხომ ამავე მინდორზე ვიალის გუნდი 2:0-ს უგებდა მეთოფეებს, ნვანკვო კანუს ჰეთ თრიქით კი წააგო.

ამ ჯერზეც რაღაც ასეთი იყო: ხისტ და უმაღლეს ტემპში მიმდინარე თამაშში „ჩელსის" ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ერთი გაუტანა დევიდ სიმენს, ერთი ძელს მოურტყა, ერთი მკვდარიც კი კიკინამოზრდილმა მეკარემ გამოუძრო კარის ხაზიდან. ამას მოჰყვა ჯანფრანკო ძოლას ბრწყინვალე გოლი, არანაკლებ ბრწყინვალე გათამაშების შედეგი: ფრანკ ლებეფის ჩაწოდებული ბურთი გუსტავო პოიეტმა მკერდით დაუგდო ძოლას, ამ უკანასკნელმა კი არანორმალური სიზუსტით ჩასვა ბურთი კუთხეში. ამას კი მოჰყვა... რაც მოჰყვებოდა, გასაგებია. „ჩელსი" ბურთს ვერ გაუფრთხილდა" — იტყვის თამაშის შემდეგ არსენ ვენგერი. „არსენალმა" შტურმი წამოიწყო. მწყობრში დაბრუნებულმა გრემ ლე სომ ლი დიქსონი გაატანინა საკაცით. ვენგერმა დენის ბერხკამპი და ახალნაყიდი სილვიან ვილტორდი დაახმარა ანრის, კანუს და პირესს.

მთავარი ამბები კი მარცხენა ფლანგზე დატრიალდა, სადაც ბრაზილიელი მეთოფე სილვინიო მეფობდა. ბრაზილიელმა ბერხკამპს აუგდო, იმან მკერდით დაუბრუნა, სილვინიომ საჯარიმოში გაუგრძელა ანრის, ანრიმ კი... „ამ დროს მივხვდი, რომ ჩემები შარშანდელის გამეორებას აპირებენ" — კვლავ ვენგერმა თქვა სასტვენის შემდეგ. დესაისა და გრიმანდის ძიძგილაობა, კიოუნის და ჯიმი ფლოიდის მტრობა და საჯარიმოსკენ კანუ დაიძრა. ლებეფი დროზე ჩაუხტა და ბურთი მარცხენა ფრთისკენ გატარდა. იქედან სილვინიო მორბოდა. არ უფიქრია, ცაციათი აჭრილი, არაადამიანური ძალით დარტყმული ახლო ცხრიანში ჩააჭედა.

2:2. ისტორია არ განმეორდა. თუმცა, ასე უფრო ლამაზი იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ლიგის თასი

**II ეტაპის წილისყრა**

პრესტონი — ქოვენთრი; ბარნსლი — ქრიუ; მანჩესტერ სიტი — ჯილინგემი; სტოკი — ჩარლტონი; ბლეკბერნი — პორტსმუთი; უიკომბი — ბირმინგემი; ტრანმერი — საუთენდი; ევერტონი — ბრისტოლი, როთსი — უოტფორდი; ბრენტფორდი — ტოტენჰემი; მიდლსბრო — მაკლსფილდი; დარლინგტონი — ბრედფორდი; უოლსოლი — ვესტ ჰემი; სანდერლენდი — ლუტონი; ჩესტერფილდი — ფულემი; უიმბლდონი — უიგანი; დერბი ქაუნთი — ვესტ ბრომვიჩი; ოლდემი — შეფილდ უენსდეი; მილუოლი — იფსვიჩი; შეფილდ იუნაიტედი — კოლჩესტერი; გრიმსბი — ვულვერჰემპტონი; საუთჰემპტონი — მენსფილდი; ბარნლი — კრისტალ პალასი; ნიუკასლი — ლეიტონი; ნორვიჩი — ბლეკპული.

მატჩები გაიმართება 18 და 25 სექტემბერს.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 5 |
| ანრი (არსენალი) | 4 |
| შტრუპარი (დერბი) | 4 |

**V ტური**

9 სექტემბერი

ბრედფორდი — არსენალი
ქოვენთრი — ლიდსი
იფსვიჩი — ასტონ ვილა
ლესტერი — საუთჰემპტონი
ლივერპული — სიტი
მანჩესტერი — სანდერლენდი
მიდლსბრო — ევერტონი
ნიუკასლი — ჩელსი

10 სექტემბერი

დერბი — ჩარლტონი

11 სექტემბერი

ტოტენჰემი — ვესტ ჰემი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ნიუკასლი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 2 | მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 3 | ლესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 4 | არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 5 | ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 6 | ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 7 | ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 | სიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:9 | -2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 3 |
| 9 | ქოვენთრი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 10 | მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 4 |
| 11 | ჩელსი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 12 | ევერტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 13 | ჩარლტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 0 |
| 14 | იფსვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 15 | სანდერლენდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 | ბრედფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | -7 | 0 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 4 | 0 | 3 | 1 | 9:10 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 5:5 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 |
| 18 | საუთჰემპტონი | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 19 | ასტონ ვილა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 20 | ვესტ ჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |

## ჰოლანდია

### III ტური

**გრონინგენი 1:0 გრააფსხაპი**

1:0 ვან დე [illegible] (60)

**ვიტესი 5:1 სპარტა**

1:0, 2:0 ამოა (42, 45), 3:0 მარტელი (60), 4:0 პეტერსი (57), 5:0 მარილია (64 ს.კ.), 5:1 ელ ხატაბი (79)

**ტვენტე 2:2 ჰერენვენი**

1:0 ვენეგოორი (42), 1:1 რადომსკი (47), 1:2 ლურლინგი (50), 2:2 ჰუვინგი (90)

**ვალვაიკი 3:0 ალკმაარი**

1:0 ვან ვანროი (12), 2:0 ჰუგენდორპი (80), 3:0 ჰუმანი (86)

**ბრედა 1:1 როდა**

1:0 სერხიო (38), 1:1 სუტერსი (52)

გაძევება: ვრედე (87, როდა)

**აიაქსი 0:0 ნაიმეგენი**

აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ (ბოსე 76), კუუ, ბერგდოლმო, გალაშეკი, ვინტერი, ვიჩიგე, კნობერი (ვან დერ გუნი 81), ვან დერ მეიდე, ბოსვინი (გრონკიაერი 64), შ. არველაძე

მწვრთნელი: კო ადრიანსე

32 500 მაყურებელი

**პსვ 2:2 ტილბურგი**

1:0 ბრუგინკი (45), 1:1 ბომბარდა (62), 1:2 კალვეი (66), 2:2 კლაუდიო (85)

**„ვალვაიკი"**, „ნაიმეგენი"– უცნაური რაღაც გამოდის — „აიაქსი" და „პსვ ეინდჰოვენი" სადღაც ცხრილის შუაგულში გაჩხერილან, ამათ კი ლიდერობა უგდიათ ხელთ. თუმცა ალბათ კიდევ რამდენიმე ტური გაივლის და გათამაშების ცხრილის სათავეში ისინი მოექცევიან, ვის მუდმივ ფავორიტობასაც კარგა ხანია, შევეჩვიეთ. ერთიცაა, „ვალვაიკსა" და „ნაიმეგენს" სხვებზე ერთი მატჩით მეტი ჩაუტარებიათ, ხოლო „ფეიენოორდმა" ამ დროისთვის სულაც ორი იკმარა და უდანაკარგოდ მიდის.

ჩვენ უფრო „აიაქსის" ამბები გვაინტერესებს. თერთმეტი დღის წინ როტერდამის „სპარტასთან" 0:3 წამგებმა შოთა არველაძის გუნდმა მშობლიურ „ამსტერდამ არენაზე" „ნაიმეგენს" ვერაფერი მოუხერხა.

„აიაქსი" თითქმის გამუდმებით უტევდა, „ნაიმეგენი" თავს იცავდა. მატჩის შედეგი კი გვაფიქრებინებს, რომ სტუმართა მცველებმა მასპინძელ თავდამსხმელებს აჯობეს.

ერთი საინტერესო ფაქტიც. 24 წლის მანძილზე „ნაიმეგენს" ამსტერდამიდან ერთი ქულაც ვერ წაიღო და მეოთხედი საუკუნის მერე ეს პირველად შეძლო.

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი „ჰერენვენი" სტუმრად „ტვენტეს" დაუზავდა, ისიც ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალვაიკი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ნაიმეგენი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:7 | 8 |
| ვიტესი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| ფეიენოორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| როდა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ტილბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| გრონინგენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:10 | 5 |
| ბრედა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| უტრეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გრააფსხაპი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ალკმარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ტვენტე | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| როზენდალი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |
| სიტარდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## შვედეთი

მე-18 ტური: ელფსბორგი — სუნდსვალი 2:0; ჰამარბი — იორებრო 2:1; ფრიოლუნდა — აიკ 1:2; ჰელსინგბორგი — ტრელებორგი 4:0; იორგრიტე — გაის 1:1; ჰალმსტადი — გიოტებორგი 2:2; ნორჩიოპინგი — ჰაკენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:17 | 34 |
| აიკ | 18 | 10 | 4 | 4 | 27:21 | 34 |
| ელფსბორგი | 18 | 10 | 1 | 7 | 30:25 | 31 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 9 | 2 | 7 | 30:21 | 29 |
| იორგრიტე | 18 | 9 | 2 | 7 | 24:20 | 29 |
| გიოტებორგი | 18 | 7 | 7 | 4 | 27:21 | 28 |
| ჰამარბი | 18 | 7 | 5 | 6 | 22:22 | 26 |
| იორებრო | 18 | 7 | 4 | 7 | 30:26 | 25 |
| ნორჩიოპინგი | 18 | 5 | 9 | 4 | 25:20 | 24 |
| ტრელებორგი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:20 | 23 |
| სუნდსვალი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:27 | 20 |
| ჰაკენი | 18 | 3 | 8 | 7 | 24:31 | 17 |
| გაის | 18 | 2 | 8 | 8 | 15:25 | 14 |
| ფრიოლუნდა | 18 | 2 | 4 | 12 | 9:37 | 10 |

## გერმანია

III ტური

### ჰამბურგი 2:1 ვერდერი

1:0 ბარბარესი (26), 1:1 ბოდე (47), 2:1 ჰერჩი (82)
ჰამბურგი: მ. ბუტი, ფუკალი, ჰოოგმა, ჰერჩი, ნ. კოვაჩი, გრავი (ფიშერი 87), ჰოლერბახი, ბარბარესი, პრეგერი (მაჰდავიკია 67), კეტელაერი, იეპსო (ბენტერი 67)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, ვერლატი, სკრიპნიკი, აილტონი (აილტონი 84), ვიკი, შტალტერი (პიზარო 67), შ. ბოდე, ჰერცოგი, ბოგდანოვიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ბარბარესი, ფუკალი, ბოგდანოვიჩი, ფრინგსი
37 382 მაყურებელი

### ბაიერნი 3:1 ვოლფსბურგი

1:0 შოლი (19), 2:0 იანკერი (36), 2:1 აკონორი (59), 3:1 ფინკი (87)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ანდერსონი, კუფური (ლინკე 46), ტარნატი, ფინკი, სფორცა, ჟესინგერი, შოლი, სანტა კრუზი (ციკლერი 60, სანიოლი 67), იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ბილიშკოვი (კრიგერი 70), ჰენგენი (დ. მუნტიანუ 73), ნოვაკი, აკონორი, სებესკენი, ვაისერი, კუშბაუერი, ტ. მარიჩი (რიშე 80), იუსკოვიაკი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: კრიგერი, კუშბაუერი, ონილი
41 000 მაყურებელი

### აინტრახტი 4:0 ჰანზა

1:0 რაიხენბერგერი (60), 2:0, 3:0 ჰელდტი (65პ, 79პ), 4:0 რაიხენბერგერი (81)
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, კრახტი, კუჩერა, ვიმერი, შური, როსენი (პროისლი 72), გუიე მინი, ჰელდტი, რაიხენბერგერი (სალუ 84), ჩიჩიჩი (მუტცელი 70)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, იაკობსენი, შრიოდერი (რ. შნაიდერი 46), იასერი, ვიბრანი, ლანცი, ლანგე (არვიდსონი 63), ემარა (ბრანდი 72), კოვაჩიჩი, აგალი
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
გაფრთხილება: კრახტი, რაიხენბერგერი, შური, იაკობსენი, კოვაჩიჩი, შრიოდერი
გაძევება: გუიე მიენი (43), ბენკენი (74)
20 500 მაყურებელი

### დორტმუნდი 2:3 მიუნხენი

0:1 აგოსტინო (34), 1:1 იკპება (37), 1:2 შტრანცლი (49), 2:2 ჰერლიხი (54), 2:3 აგოსტინო (86)
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ჰაინრიხი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი (ნოიჰაუსი 90), ოლისე (რიკენი 72), დედე, ადდო (რეინა 63), იკპება, ჰერლიხი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი (იენჩი 28), ზელიჩი, ტაპალოვიჩი, კურცი, შრტანცლი, ჩერნი, მიუკლაინი, ბაიროფგა (ბორიმიროვი 46), ჰესლერი (მიურკი 86), მაქსი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: ჰაინრიხი, ოლისე, ევანილსონი, ბაიროფგა, ბორიმიროვი
69 000 მაყურებელი

### ჰერტა 4:0 ბოხუმი

1:0 პრეეცი (20), 2:0 ალვეში (35), 3:0 ჰარტმანი (43), 4:0 პრეეცი (60)
ჰერტა: კირალი, რემერი (სვერისონი 35), ტრეტროკი, ვან ბურიკი, დაისლერი (მიხალკე 61), შმიდტი, ბაინლიხი, ჰარტმანი, ვოში, პრეეცი, ალვეში (რაისი 71)
მწვრთნელი: იურგენ რიოხბერი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, ბემბენი (მილინოვიჩი 46), შტიკროტი, მამიჩი, მაიხელბეკი (მანდრეკო 64), შინდცილორცი, დიკჰაუტი, ჰეშელი, ბასტურკი, ბაკლა, ვებერი (კოვიჩი 60)
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: ჰეშელი, დიკჰაუტი
30 944 მაყურებელი

# ცახჰუბერს უგრძვნია

**მათიას ზამერმა**, როგორც მწვრთნელმა, ოთხშაბათს პირველად გამოსცადა მარცხის სიმწარე. დორტმუნდის „ბორუსიის" ახალდანიშნული თავკაცი წარმატებით შეუდგა საქმიანობას. დორტმუნდელებმა, რომლებმაც შარშანდელი ჩემპიონატი სამარცხვინოდ ჩაამთავრეს და გავარდნას ბეწვზე გადაურჩნენ, ახალი სეზონი შთამბეჭდავად დაიწყეს. პირველ ორ ტურში ექვსი ქულა — ასეთი იყო ზამერის გუნდის შედეგი. „დორტმუნდი" შინ „მიუნხენ 1860"-თან მოგებასაც გეგმავდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

გუშინწინ ზამერის შეგირდებს ცუდად სულაც არ უთამაშიათ, უბრალოდ მიუნხენელები გაისარჯნენ მათზე უკეთ. მატჩი საამო საცქერი გამოდგა. სწრაფი ტემპი, ხუთი გოლი და საკმარისზე მეტი სახიფათო მომენტი — „ვესტფალენშტადიონზე" შეკრებილ 59 ათას ქომაგს წუთითაც არ მოუწყენია. მასპინძლებმა ორჯერ მოახერხეს ანგარიშის გაქვითვა. მიუნხენელები მაშინ დაწინაურდნენ მესამედ და საბოლოოდ, როცა თამაშის დასრულებას 4 წუთი უკლდა. თავი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხულმა აგოსტინომ გამოიჩინა, რომელმაც 6 მეტრიდან დუბლი შეასრულა.

„შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, თუმცა ბიჭების მიმართ კომპლიმენტებს არ დავიშურებ. ისინი ორჯერ წამოეწივნენ მეტოქეს. ისე, ბოლოს, მესამე ბურთი რომ გაუშვეს, ცოტა კი გამაბრაზეს" — მათიას ზამერს, რომელიც მატჩისწინა დღეს 33 წლისა ხდება, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სიმშვიდე არ დაუკარგავს.

„მიუნხენ 1860"-ს არც თანაქალაქელი „ბაიერნი" ჩამორჩა, რომელმაც ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა შინ დიდი ოფლისღვრით მოიგო. მასპინძლებს მეორე ტაიმში ძალიან გაუჭირდათ და პირველ ნახევარში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა რომ არა, არავინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა. ანგარიში კი ბოლო დროს ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა მეჰმეთ შოლმა გახსნა, რომელმაც ონილის მიერ იანკერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. მერე იანკერმა მეორეც გაიტანა და ტაიმიც 2:0 დამთავრდა.

თამაში ახალგანახლებული იყო, აკონორმა ერთი ბურთი რომ გაქვითა. მანამდე კანმა იუსკოვიაკს და ონილს აუღო. „ბაიერნის" მეკარემ ამის შემდეგაც ჩვეულად ივაჟკაცა. ბოლოს კი მასპინძლებმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ფინკმა მატჩს წერტილი დაუსვა — 3:1.

„ნერვები დამაწყდა. კიდევ კარგი, სამი ქულა ავიღეთ. მეორე ნახევარში ყურადღება გაგვეფანტა, ეს კი არ გვეპატიება" — უკმაყოფილო იყო ნამატჩევს ჰიცფელდი.

ბერლინის „ჰერტამ" თავის „ოლიმპიურზე" ბუნდესლიგაში წლეულს დაბრუნებული „ბოხუმი" იწვია და 4:0 გაანადგურა. ბოხუმელებს პირველივე ტაიმში მოეღოთ ბოლო, როცა სამი უპასუხო ბურთი გაუშვეს. სტუმართა რბევა მე-20 წუთზე პრეეცმა დაიწყო და 40 წუთში მანვე დაასრულა, შუალედში კი ალვეშმა და ჰარტმანმაც გამოიჩინეს თავი. პრეეცმა, მართალია, დუბლი შეასრულა, მასპინძელთა შორის საუკეთესო მაინც ბრაზილიელი ალექს ალვეში იყო. მან მეორე ბურთი შეაგდო და პირველ და მესამე გოლებშიც ლომის წილი დაიდო.

ინგო ჰერჩმა კი „ჰამბურგი" — „ვერდერის" მატჩის ბედი გადაწყვიტა. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ჰერჩმა ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი იზეიმა და მასპინძლებს 2:1 გაამარჯვებინა.

ანდრეას ცახჰუბერმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, თუ არა და, მისი „ჰანზა" შეიძლება ბუნდესლიგასაც გამოეთხოვოს. სამი თამაში, სამი მარცხი, ბურთების შეფარდება 0:9 — ცხრილში თუ ჩაიხედავთ, ბოლო ადგილზე მყოფი „ჰანზას" გასწვრივ სწორედ ამას წაიკითხავთ. 270 წუთში როსტოკელებმა ერთი გოლიც ვერ გაიტანეს, გამარჯვებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ოთხშაბათს „ჰანზა" ფრანკფურტში „აინტრახტთან" განადგურდა. მე-60 წუთიდან მოყოლებული 22 წუთში ოთხი ბურთი გაუშვა.

„პირველ ტაიმში საოცრად ვითამაშეთ, 1:0 ან 2:0 უნდა მოგვეგო. მეორე ნახევარში კი რა მოხდა, ვერ გამიგია. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ასეთი თამაშით ბუნდესლიგაში არაფერი გვესაქმება" — უგრძვნია ცახჰუბერს.

„ფრაიბურგი" — „კიოლნის" მატჩის შესახებ გუშინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით, დღეს კი ქართველი ფეხბურთელების „კიკერისეულ" შეფასებებს გაგაცნობთ, თუმც კარგი არაფერია. იაშვილმა და ცქიტიშვილმა „4"-იანები მიიღეს, რაც მათი ცუდი თამაშის მაუწყებელია. „ფრაიბურგის" მესამე ქართველი, ლევან კობიაშვილი, რომელიც 68-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, სულაც შეფასების გარეშე დარჩა. კიოლნელმა არჩილ არველაძემ „4,5" დაიმსახურა, რაც ძალიან ცუდის ტოლფასია. „კიკერი" არველაძის ასეთ გარჯას „კიოლნის" ტაქტიკას აბრალებს — კაცი წინ მარტოა და სამ მცველთან, აბა, რას გახდებოდაო, —ასე წერს.

**ვანო ოქროპირიძე**



ბაიერნი — ვოლფსბურგი 3:1. დიტმარ კუჰბაუერი და მისი „ვოლფსბურგი" მიუნხენელი ტორსტენ ფინკის (ბურთით) მესამე გოლმა გატეხა

REUTERS მოწოდებით

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 | შალკე | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 3 | მიუნხენი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 4 | ჰერტა | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 5 | აინტრახტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 6 | დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 7 | ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 8 | ფრაიბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 | კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 10 | ჰამბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 11 | ვოლფსბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 12 | ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 13 | შტუტგარტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 14 | ლაუტერნი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 15 | ბოხუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 3 |
| 16 | უნტერჰახინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 17 | კოტბუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | -8 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 18 | ჰანზა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

## მეორე ბუნდესლიგა

III ტური

### ფიურტი 2:0 ოსნაბრუკი

1:0 ფელგენჰაუერი (28), 2:0 შკარაბელა (56)
5 806 მაყურებელი

### კიკერსი 0:3 ალემანია

0:1 ლამერმანი (70), 0:2, 0:3 ინკემანი (77, 82)
4 115 მაყურებელი

### ვალდჰოფი 1:4 ნიურნბერგი

0:1 სტოილასი (9), 0:2 დრილერი (21), 0:3 მიოკელი (61), 1:3 ვატა (81), 1:4 მიოკელი (86)
12 000 მაყურებელი

### ჰანოვერი 1:1 ალენი

0:1 ფაინბერი (10), 1:1 პეტერსი (61პ.კ.)
8 000 მაყურებელი

### ქემნიცი 1:3 ზაარბრიუკენი

0:1 ტიკუ (31), 0:2 ხოჯი (44), 1:2 კრუპნიკოვიჩი (80), 1:3 ბარტოლოვიჩი (88)
3 000 მაყურებელი

### როიტლინგენი 2:0 ზანქტ პაული

1:0 ჰოფმანი (68), 2:0 დიაბა (89)
9 000 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 5:0 ულმი

1:0 კორცინივი (8), 2:0 ვან ლენტი (29), 3:0 ვიტეჩეკი (51), 4:0 ვან ჰუდტი (53), 5:0 ოსტჰოფი (72)
20 000 მაყურებელი

### არმინია 2:0 ობერჰაუზენი

1:0 ვოუკი (24), 2:0 კლიცპერა (42)
10 000 მაყურებელი

### დუისბურგი 0:0 მაინცი

12 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| გლადბახი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ნიურნბერგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ზაარბრიუკენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ზტ. პაული | 3 | 2 | 0 | 1 | 11:5 | 6 |
| ფიურტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ალემანია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| როტლინგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| ჰანოვერი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| კიკერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ობერჰაუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ვალდჰოფი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| ულმი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| მაინცი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| დუისბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ალენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |
| ოსნაბრუკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| ქემნიცი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 5 |
| მპენზა (შალკე) | 4 |
| იანკერი (ბაიერნი) | 4 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 4 |
| აგოსტინო (მიუნხენი) | 4 |

### IV ტური

დღეს
უნტერჰახინგი — ლაუტერნი
9 სექტემბერი
მიუნხენი — შალკე
კიოლნი — ლევერკუზენი
შტუტგარტი — ბაიერნი
ვოლფსბურგი — ჰერტა
ბოხუმი — ჰამბურგი
ვერდერი — დორტმუნდი
10 სექტემბერი
ჰანზა — ფრაიბურგი
კოტბუსი — აინტრახტი

## ბელგია

IV ტური

### ანდერლეხტი 7:2 შარლერუა

1:0 გოორი (2), 2:0 კოლერი (7), 2:1 ნეგრო (19), 3:1 სტალენსი (33პ), 4:1 რაძინსკი (51), 5:1 ვანდერეიკე (65), 5:2 ნეგრო (82), 6:2, 7:2 ვან დიმენი (87, 88)
4 000 მაყურებელი

### ანტვერპენი 2:0 ჰარელბეკე

1:0 ლელუ (52პ), 2:0 და სილვა (73)
4 000 მაყურებელი

### გენტი 2:1 სენტ ტრუიდენი

0:1 ფიერსი (60), 1:1 ჩიპი (74), 2:1 კაკლამანოსი (88)
6 000 მაყურებელი

### ლუვიე 0:5 ბეერსხოტი

0:1 მუტავეჯიჩი (2), 0:2 ვან დე ვეირი (15), 0:3 სვეტლიჩიჩი (19), 0:4 ჰიუსმანსი (85), 0:5 ვან დე ვეირი (87)
5 000 მაყურებელი

### ლიერსი 3:0 ბევერენი

1:0 კავენსი (13), 2:0 კლაესი (83), 3:0 სნოექსი (88)
ლიერსი: ვან დერ სტრატენი, კლაესი, ვან მეირი, დაემსი (ჰოფკენსი 86), ლეენი, ვერეტენნიკოვი (სპიტერი 46), სომერსი, სნოექსი, შოძილაძე (ჰოორტერსი 86), კავენსი
მწვრთნელი: ვალტერ მეესი
5 000 მაყურებელი

### ლოკერენი 3:2 მეხელენი

0:1 კამუსი (29), 0:2 გრევენი (45), 1:2 იანსენსი (48პ), 2:2 მბაიო (50), 3:2 ბანგურა (69)
7 000 მაყურებელი

### მუსკრონი 2:0 აალსტი

1:0 ლავარე (62), 2:0 იესტროვიჩი (75)
აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, დე კოსერი, არტსი, რიგო, ფილიპოვიჩი, კესტენსი (დიმბალა 73), ტემერმანი, ვან დენ ბოში, ტიბო (რეიჯელი 80), დე საედელერი
მწვრთნელი:
6 500 მაყურებელი

### გენკი 1:2 ვესტერლო

1:0 ბანი (28), 1:1 პელიჩი (47), 1:2 მიტროვიჩი (80)
20 127 მაყურებელი

### სტანდარდი 0:4 ბრიუგე

0:1, 0:2 ვერპეინი (19, 62), 0:3 იანსენი (84), 0:4 მარტენსი (86)
15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 4 | 0 | 0 | 15:4 | 12 |
| ანდერლეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:4 | 10 |
| მუსკრონი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 9 |
| ლიერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| შარლერუა | 4 | 3 | 0 | 1 | 10:8 | 9 |
| ვესტერლო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| გენტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:9 | 9 |
| ლოკერენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ბეერსხოტი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| სტანდარდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 |
| გენკი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| ანტვერპენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ბევერენი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| სტ. ტრუიდენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ლუვიე | 4 | 0 | 2 | 2 | 2:10 | 2 |
| მეხელენი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| ჰარელბეკე | 4 | 0 | 1 | 3 | 5:13 | 1 |
| აალსტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

## დანია

მე-7 ტური: ორჰუსი — ლიუნგბიუ 1:4; ბრონდბიუ — ვიბორგი 2:0; ჰერფიოლგე — სილკებორგი 0:0; მიდტიულანდი — ჰადერსლევი 5:1; ოდენსე — ოლბორგი 2:0; კოპენჰაგენი — აკადემისკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიუნგბიუ | 7 | 5 | 0 | 2 | 12:10 | 15 |
| მიდტიულანდი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| სილკებორგი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:12 | 12 |
| ბრონდბიუ | 7 | 3 | 2 | 2 | 18:7 | 11 |
| ვიბორგი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| ოდენსე | 7 | 3 | 1 | 3 | 10:5 | 10 |
| კოპენჰაგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:6 | 10 |
| ოლბორგი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| აკადემისკი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:7 | 9 |
| ორჰუსი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:15 | 9 |
| ჰერფიოლგე | 7 | 2 | 1 | 4 | 9:18 | 7 |
| ჰადერსლევი | 7 | 0 | 1 | 6 | 6:21 | 1 |

## ავსტრია

მე-10 ტური: ადმირა — გრაცერი 0:4; აუსტრია — ბრეგენცი 2:1; რიდი — ლინცერი 1:0; შტურმი — ზალცბურგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 9 | 6 | 3 | 0 | 21:5 | 21 |
| რაპიდი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:9 | 21 |
| ზალცბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 11:8 | 17 |
| გრაცერი | 10 | 4 | 3 | 3 | 18:14 | 15 |
| რიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:14 | 15 |
| შტურმი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:13 | 13 |
| ტიროლი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 12 |
| ბრეგენცი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:18 | 8 |
| ლინცერი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:23 | 5 |
| ადმირა | 10 | 0 | 2 | 8 | 8:28 | 2 |

## საფრანგეთი

VI ტური

**ბასტია 1:0 ლილი**

1:0 ნე (55)
8 000 მაყურებელი

**გენგამი 2:1 ტულუზი**

0:1 ბონილა (32), 1:1, 2:1 კარნო (54, 58)
12 000 მაყურებელი

**ლანსი 1:0 ოსერი**

1:0 მანიე (4 ს.ჯ.)
35 000 მაყურებელი

**მეცი 1:0 სტრასბური**

1:0 ბატიკლი (88 პ)
გაძევება: დეუ (85, სტრასბური), ფიშერი (88, სტრასბური)
12 000 მაყურებელი

**ნანტი 0:5 ბორდო**

0:1, 0:2, 0:3 პაულეტა (24, 43, 60), 0:4 ვილმოტსი (71), 0:5 ლასლანდი (83)
30 000 მაყურებელი

**სენტ ეტიენი 2:2 ლიონი**

0:1 ანდერსონი (10), 1:1 პედრონი (13), 1:2 მარლე (39), 2:2 პანოვი (49)
35 000 მაყურებელი

**ტრუა 5:3 პსჟ**

1:0 ჯუკიჩი (13), 1:1, 1:2 რობერი (23, 34), 2:2 როტენი (49), 3:2 არპინო (58პ), 4:2 რობერი (70ს.ჯ.), 5:2 ჯუკიჩი (72), 5:3 ანელკა (74)
16 000 მაყურებელი

**მონაკო 0:2 მარსელი**

0:1 აბარდონადო (76), 0:2 ბელმადი (88)
გაძევება: კამარა (48, მარსელი)
15 000 მაყურებელი

**სედანი — რენი**

მატჩი შეწყდა 52-ე წუთზე თავსხმა წვიმის გამო. ამ დროს ანგარიში 1:1 იყო.



REUTERS ნანტიდან

ნანტი — ბორდო 0:5. ბორდოელი მარკ ვილმოტსი და ნანტელი მატიე ბერსონი (№13) ბურთისთვის ჰაერში იბრძვიან

# ბომბარდირისთვის ორივე კარი ღიაა

**ტური** სამშაბათს „მონაკოსა" და „მარსელის" დაპირისპირებით დაიწყო. მიუხედავად საშუალო შედეგებისა, რის გამოც მარსელელებს კრიტიკა არ დაჰკლებიათ, მათ მაინც შეძლეს საფრანგეთის ჩემპიონების დამარცხება „ლუი II"-ის სახელობის სტადიონზე. არადა, ზუმანა კამარას გაძევების შემდეგ მატჩის უმეტესი ნაწილი „მარსელმა" უმცირესობაში გაატარა.

პირველი სახიფათო მომენტი მე-4 წუთზე შეიქმნა მარსელინიოს დარტყმისას, რომლის შემდეგაც ბურთი მცირედით ასცდა სტეფან პორატოს კარს. პორატო ყოფილი გუნდის ფეხბურთელებმა მერეც გვარიანად ანერვიულეს.

შეხვედრის დასაწყისში სტუმრები დომინირებდნენ, ოღონდ გოლის გატანას ვერაფრით ახერხებდნენ. მასპინძლებმა ტრავმირებული და კოსტას ნაცვლად შემოსული ჟურიეტის თავურის შემდეგ გლა გამოიღვიძეს. იმ მომენტში ტრევიზანის კარი ბეწვზე გადარჩა. „მონაკოს" თითქმის ყველა შეტევას ექს-მარსელელი ქსავიე გრაველენი წარმართავდა. 21-ე წუთზე ნონდას აკრობატულ ნახტომში დარტყმის შემდეგ ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მას არ გაუმართლა. „მარსელმაც" შეტევას შეტევით უპასუხა და 30-ე წუთზე მარსელინიოს გამოზომილი პასის შემდეგ პორატოსთან პირისპირ დარჩენილმა ბაკაიოკომ ვერ ივარგა.

ტაიმის მიწურულს კი სტუმრები ორჯერ გადარჩნენ. ჯერ ჯეტუს დარტყმული მოიგერია ტრევიზონის კარის მარჯვენა ძელმა, მერე კი თავად მეკარემ იყოჩაღა და ნონდას ძნელი ბურთი აუღო. შესვენების შემდეგაც მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს თამაში და რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს. ამ იერიშთაგან ერთ-ერთი კამარამ ნონდასთან უხეშობით ჩაშალა და წითელი ბარათიც სამართლიანად დაიმსახურა. ამის მერე „მარსელი" გონს მოვიდა და გაცილებით უკეთ ათამაშდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჟერომ ლერუა, რომლის დარტყმის შემდეგაც (72-ე წუთი) მონაკოელები კარის ზედა ძელმა იხსნა. ბოლოს კი შეცვლაზე გამოსულთა დროც დადგა. 78-ე წუთზე პერესის დარტყმას ისევ „მონაკოს" კარის ძელი აღუდგა წინ, მაგრამ აბარდონადომ მოედანზე დაბრუნებულ ბურთს პირველმა მოუსწრო — 0:1. 89-ე წუთზე კი პორატომ ლერუას საჯარიმოს შემდეგ ბურთი ვერ დაიმორჩილა და ბელმადის გაატანინა. ამ ორ გოლს გოლს შორის კი ტრევიზანმაც გაიბრწყინა, რომელმაც სიმონეს თავურის შემდეგ „მკვდარი ბურთი" აიღო.

მშვენიერი მატჩი იყო ტრუაშიც, სადაც „პარი სენ ჟერმენი" ჩავიდა სტუმრად. პირველი გოლი პირველივე წუთზე გავიდა: მასპინძლების განაპირა მცველმა ჰამედმა კასაგრანდესთან პირისპირ გააღწია და პსჟ-ს მეკარესაც მისი წაქცევა დასჭირდა, თუმცა ამან გოლს ვერ გადაარჩინა — ჯუკიჩმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა. ასეთ დასაწყისს პარიზელები არ ელოდნენ, მაგრამ არც გატყდნენ და დიდი ძალითაც შეუტიეს. ანელკას რამდენჯერმე შეეძლო კიდეც ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ერტებისს ვერაფრით აჯობა. „ტრუას" მეკარემ, მიუხედავად სამი გაშვებული გოლისა, იმ დღეს მშვენივრად ითამაშა. საპასუხო გოლი რობერმა 23-ე წუთზე შეაგდო, ათიოდ წუთში კი მეტოქის საჯარიმოში დანიშნული თავისუფალი დარტყმის შემდეგ დედაქალაქელები წინაც გაიყვანა.

მეორე ტაიმში ბუნებრივ წვიმას გოლებისაც მოჰყვა. ისე, ბარემ აქვე გეტყვით, ამ ტურში ბევრ თამაშს წვიმა ახლდა, „სედანი" — „რენი" კი სულაც თავსხმის გამო ვერ დამთავრდა.

გოლების წვიმა კი როტენის ბრწყინვალე საჯარიმოთი დაიწყო. მერე გუსესთან თამაშის წესების დარღვევისთვის „ბარსელონადან" პსჟ-ში ახლახან გადასული ფრედერიკ დეუ პენალტით დაისაჯა. არპინომ მასპინძლები მატჩში მეორედ და საბოლოოდ დააწინაურა. პარიზელებმა ანგარიშის გაქვითვა მოინდომეს და დაცვა მოაშიშვლეს, რამაც „ტრუას" თავდასხმას ხელფეხი გაუხსნა, თუმცა მასპინძლებს გოლის გატანა ისევ რობერმა დაასწრო, ოღონდ ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულმა ფეხბურთელმა ამჯერად საკუთარ კარში გაიტანა. მერე კი ჯუკიჩმა დაახლოებით 30 მეტრიდან იხეირა სველი მინდვრის გამო. ანელკას გოლს კი თამაშის ბედის შეცვლა აღარ შეეძლო. „მთავარი მარტო გამარჯვება არაა. ჩვენ დღეს თამაშის ხარისხითაც დავატკბეთ ქომაგები. პსჟ-სთვის ხუთი გოლის გატანა ხუმრობა საქმე არ არის" — თქვა „ტრუას" მთავარმა მწვრთნელმა ალენ პერენმა.

ხუთი გოლის გატანა ხუმრობა ნამდვილად არაა „ნანტის" კარშიც, მით უმეტეს, მისსავე მოედანზე, მაგრამ „ბორდომ" ეს სრული სერიოზულობით მოახერხა. ნანტელთა ცოდვაში ყველაზე მეტად ჟირონდელთა ახალმა ლეგიონერმა, პაულეტამ ჩადგა ფეხი, რომელიც ფრანგულად ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს. მის ჰეთ თრიქს ვილმოტსმა და ლასლანდმა თითო გოლიც დაუმატეს და „ნანტიც" განადგურდა, თუმცა თამაშით ამას ნამდვილად არ იმსახურებდა.

„ამათ თითქმის ყველა საგოლე მომენტი გამოიყენეს, ჩვენ კი ბედი არ გვწყალობდა" — თქვა მასპინძელთა კაპიტანმა და კარის დარაჯმა მიკაელ ლანდრომ — „თუმცა მარტო ბედსა და იღბალსაც ვერ დავაბრალებთ".

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:4 | 14 |
| ბასტია | 6 | 4 | 0 | 2 | 7:4 | 12 |
| ლილი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| პსჟ | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| მარსელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ნანტი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:12 | 10 |
| სენტ ეტიენი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 9 |
| ოსერი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 9 |
| ტრუა | 6 | 2 | 2 | 2 | 10:10 | 8 |
| მეცი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| მონაკო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:10 | 8 |
| სედანი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ლიონი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:7 | 7 |
| ბორდო | 6 | 1 | 3 | 2 | 9:7 | 6 |
| რენი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:5 | 6 |
| გენგამი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| ტულუზი | 6 | 0 | 3 | 3 | 5:8 | 3 |
| სტრასბური | 6 | 1 | 0 | 5 | 5:16 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლორან რობერი (პსჟ) | 5 |
| ელადიან ჯუკიჩი (ტრუა) | 4 |
| ფრედერიკ ნე (ბასტია) | 4 |

### მეორე დივიზიონი

მე-8 ტური: კრეტეი — ბოვუა 1:1; გენიონი — ლე მანი 0:0; ლავალი — ნიმი 3:1; ლე ავრი — შატორუ 0:0; ლორიანი — მარტიგი 0:1; მონპელიე — ანჟერი 1:1; ნიცა — აიაჩო 1:0; სოშო — კანი 1:0; ვალკუალი — კაენი 3:3; ნანსი — ნიორი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 8 | 6 | 2 | 0 | 14:3 | 20 |
| სოშო | 8 | 5 | 1 | 2 | 16:7 | 16 |
| ლე ავრი | 8 | 4 | 4 | 0 | 11:3 | 16 |
| ნანსი | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 16 |
| ლავალი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 16 |
| ნიცა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:7 | 14 |
| ნიორი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ლორიანი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 12 |
| შატორუ | 8 | 3 | 3 | 2 | 9:11 | 12 |
| კრეტეი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| ლე მანი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:7 | 10 |
| მარტიგი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 10 |
| კანი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:14 | 9 |
| ვასკეალი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| გენიონი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | 7 |
| ნიმი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | 6 |
| აიაჩო | 8 | 1 | 3 | 4 | 5:13 | 6 |
| ბოვუა | 8 | 0 | 4 | 4 | 4:10 | 4 |
| ანჟერი | 8 | 0 | 4 | 4 | 8:15 | 4 |
| კაენი | 8 | 0 | 3 | 5 | 9:18 | 3 |

# ორ წელიწადში, დილაობით

**მსოფლიოს** მორიგი ჩემპიონატი 2002 წლის 31 მაისს დაიწყება და 30 ივნისამდე გასტანს — გამოაცხადა გუშინ ფიფამ. გახსნის მატჩი მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების მონაწილეობით კორეის დედაქალაქ სეულში შედგება, ფინალურ მატჩს კი იაპონური იოკოჰამა უმასპინძლებს.

ფინალური ეტაპის კიდევ ორი უკვე გარკვეული მონაწილე შეჯიბრში 4 ივნისს ჩაებმება: იაპონია მშობლიურ საიტამაში ითამაშებს, კორეა კი — პუსანში. სულ ამ ორი ქვეყნის ოცი ქალაქი (10-10 თითოდან) უმასპინძლებს ჩემპიონატის 32 ფინალისტს.

რაც შეეხება მატჩების დაწყების დროს. 2 ივნისისა და ქვეჯგუფების ბოლო სათამაშო დღეების გარდა ყოველდღე სამი მატჩი გაიმართება: იქაური დროით ოთხის ნახევარზე, ექვსზე და ცხრის ნახევარზე. თუ მანამდე კიდევ სადმე არ გადავხტით (საათის ამბავში), ეს თბილისის დროით დილის ათის ნახევარი, ზუსტად შუადღე და დღის სამის ნახევარი გამოდის. ასე რომ, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველი გულშემატკივრისთვის პირველი იქნება, ღამის ტეხვა რომ არ მოუწევს. ერთი ეგაა, თუ შემთხვევით ვინმე სადმე მუშაობს, 2002 წლის კუთვნილ შვებულებაზე ზრუნვა ახლავე მოუწევს.

# ასპრილიას გასროლა

**სამხრეთ** კოლუმბიაში არის ქალაქი ტულუა. იქ დაიბადა, აღზრდაგანათლება მიიღო და ამჟამად ცხოვრობს ფაუსტინო ასპრილია. ეს ფეხბურთელი „ნიუკასლიდან", „პარმადან", „პალმეირასიდან" და აშშ-სა და საფრანგეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატებიდან გვახსოვს.

ეს ყველაფერი ტულუას პოლიციამაც იცის, მაგრამ იქაურ სამართალდამცავებს სხვა რამეც მოეხსენებათ — როცა ასპრილია თვრება, იარაღის ტრიალი უყვარს ხოლმე. ცნობისთვის: ფაუსტინო ასპრილია ხშირად ილეშება.

ასპრილია პოლიციის თვალთახედვის არეში პირველად ხუთი წლის წინ მოხვდა, როცა კარიბის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ კარტახენას ერთ-ერთ დისკოთეკაზე პისტოლეტი იძრო და სროლა ატეხა.

რამდენიმე დღის წინ სხვა შემთხვევა მოხდა. ტულუელმა პოლიციელმა ოქმში ჩაწერა და მერე კოლუმბიის გენერალური პროკურორის თანაშემწემ ეს ოქმი ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა წაიკითხა: „არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ფაუსტინო ასპრილიამ ქალაქ ტულუაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დაურეგისტრირებელი 38 კალიბრის პისტოლეტიდან ჰაერში ცეცხლი გახსნა. მსხვერპლი არ არის. დამნაშავე შემთხვევის ადგილას დააკავეს". არაპოლიციურ ენაზე ეს ამგვარად ჟღერს: ასპრილია ძმაბიჭებთან ქეიფობდა, ამა და ამ ჭიქის დალევის შემდეგ თანამეინახეებს თვალი შეავლო და ვერც ერთს ვერ შენიშნა აღფრთოვანება იმ ფაქტით, რომ თვით დიდ ფაუსტინო ასპრილიასთან ერთად უსხდნენ სუფრას. მერე ამოიღო იარაღი და დასჭექა. სამართალდამცავებს შემთხვევის ადგილას სამი ცარიელი მასრა უპოვიათ, რაც ადასტურებს, რომ გასროლა სწორედ ამდენჯერ მოხდა.

და სასჯელი? ზუსტად ისეთი, როგორიც დამნაშავეობით განთქმულ კოლუმბიაში ცნობილ პიროვნებას შეეფერება — 450 დოლარი ჯარიმა და იარაღის კონფისკაცია. კოლუმბიაში, სადაც ყოველწლიურად სამი ათასამდე კაცს კლავენ, ჰაერში სროლა, აბა, რა დანაშაულია.

ბოლოს ასპრილიას სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ. 30 წლის კოლუმბიელმა ნაკრებში თამაშს მარტში დაანება თავი, ახლა კი საუდურ „ალ ნასრისკენ" აუღია გეზი. ეს გუნდი გეხსომებათ — მსოფლიოს პირველ საკლუბო ჩემპიონატზეც ითამაშა. არაბები ასპრილიას მშვენიერ პირობებს სთავაზობენ, მაგრამ ფეხბურთელს ვურჩევთ, კარგად დაფიქრდეს — საუდეთში ლოთობას სხვაგვარად უყურებენ, კანონები კი იქ კოლუმბიურზე ბევრად მკაცრია.



დავლევ, აბა, რას ვიზამ! ასპრილიამ თამაშ-თამაშ გაუბერა

## რუსეთი

XXIV ტური

**ჩერნომორეცი 0:3 ლოკომოტივი**

0:1 ჩუგაინოვი (23), 0:2 ჯანაშია (58), 0:3 ხარლაჩევი (90)
13 000 მაყურებელი

**სატურნი 0:0 კრილია**

10 000 მაყურებელი

**დინამო 2:4 სპარტაკი**

0:1 კალინიჩენკო (29), 0:2 ბარდიონოვი (52პ), 1:2 გოგნიევი (61), 2:2 გრიშინი (69), 2:3 ბეზროდნი (70), 2:4 პისარევი (90)
20 000 მაყურებელი

**ნ. ნოვგოროდი 1:0 ფაკელი**

1:0 სკობლიაკოვი (55)
9 500 მაყურებელი

**ანჟი 1:1 როტორი**

0:1 კრივოვი (52), 1:1 რანჯელოვიჩი (86)
15 000 მაყურებელი

**ზენიტი 1:0 ალანია**

1:0 პოპოვიჩი (89)
სამი კვირის წინ მომხდარი ჩხუბის გამო ამ თამაშზე მაყურებლები არ დაუშვეს

**ტორპედო 2:2 ურალანი**

1:0 ვიაზმიკინი (58), 2:0 ზირიანოვი (70), 2:1 მილეკიჩი (76), 2:2 რეჟინელსონი (84)
1 500 მაყურებელი

**როსტსელმაში 1:1 ცსკა**

1:0 კირიჩენკო (15), 1:1 სემაკი (82)
6 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 19 | 1 | 6 | 60:27 | 58 |
| ლოკომოტივი | 24 | 15 | 7 | 2 | 33:12 | 52 |
| ანჟი | 23 | 12 | 5 | 6 | 32:19 | 41 |
| ჩერნომორეცი | 23 | 11 | 7 | 5 | 37:19 | 40 |
| დინამო | 24 | 11 | 7 | 6 | 37:30 | 40 |
| ტორპედო | 25 | 11 | 7 | 7 | 32:27 | 40 |
| ზენიტი | 22 | 10 | 6 | 6 | 27:17 | 36 |
| სატურნი | 25 | 9 | 8 | 8 | 25:25 | 35 |
| ცსკა | 24 | 8 | 5 | 11 | 26:32 | 29 |
| ალანია | 24 | 7 | 7 | 10 | 25:32 | 28 |
| როტორი | 24 | 7 | 7 | 10 | 29:43 | 28 |
| როსტსელმაში | 23 | 4 | 12 | 7 | 18:20 | 24 |
| კრილია | 24 | 6 | 4 | 14 | 22:40 | 22 |
| ფაკელი | 24 | 4 | 9 | 11 | 20:40 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 23 | 3 | 6 | 14 | 12:31 | 15 |
| ურალანი | 24 | 2 | 6 | 16 | 16:37 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეთქმულება შავების წინააღმდეგ

## US OPEN

**ქალები. მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სერენა უილიამსი (5, აშშ) 6:4, 6:2.**

სერენა უილიამსი უმწეოდ, დოინჯშემორტყმული იდგა უკანა ხაზთან, თავს უაზროდ აქეთ-იქეთ იქნევდა და მორიგი გათამაშების დაწყებასაც უფრთხოდა. ერთხელ გამწარებისგან ჩოგანი ისე ძლიერად დაახეთქა კორტზე, ადგილზევე გატეხა, ცრემლებიც კი წამოუვიდა და დახმარებისთვის ტრიბუნებზე ტუჩებისმკვნეტელ მამას, რიჩარდსა და უფროს დაიკო ვინუსს გახედა.

ტურნირის პირველი დღიდან ატეხილ ხმაურს აშშ-ის ღია პირველობის ფინალში დები უილიამსების უცილობელი შეხვედრის შესახებ ასრულება არც ამჯერად ეწერა — შარშან იმავე სერენას მიერ ნახევარფინალში გამწარებულმა ყოფილმა ჩემპიონმა დევენპორტმა ამჯერად შური იძია.

დევენპორტს უმცროს უილიამსთან აქამდე ზედიზედ ხუთი შეხვედრა წაეგო და უკეთესს არც ამ პრინციპული ორთაბრძოლის დასაწყისი უქადდა: თუ სერენა საკუთარ მოწოდებებს სულ იოლად ინარჩუნებდა, ლინდსის იგივეს გასაკეთებლად დიდი ჯაფა ადგებოდა.

მაგრამ მსოფლიოს მეორე ჩოგანი სულ უფრო და უფრო უკეთ ათამაშდა, შეცდომები თითქმის სრულიად აღმოფხვრა და მატჩის წინ მწვრთნელთან ერთად გამომუშავებულმა სტრატეგიამაც თანდათან ნაყოფი გამოიღო. „რობერტმა (ვანტჰოფი) მირჩია, ბურთი რამდენჯერმე კორტის ერთსა და იგივე წერტილში დამერტყა და მხოლოდ მერე, მოსახერხებელ სიტუაციაში შემეცვალა შეტევის მიმართულება. სერენა ძალიან სწრაფია და აქეთ-იქეთ სირბილშიც გაცილებით მჯობნის, ამიტომ მოულოდნელობის ფაქტორით უნდა დამეჯაბნა. თანაც მთავარი იყო, მოწოდება არ დამეკარგა."

მალე დევენპორტმა სრულიად ჩაიგდო ინიციატივა ხელში, 3:4-დან დაწყებული ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, მეტოქეზე გაცილებით მეტ პრობლემებს კი მსაჯის მხრიდან წააწყდა: „რამდენჯერმე სერენას აშკარად აცილებული ბურთი ჩაუთვალეს. ნერვები მომეშალა და გეიმებს შორის შესვენებაზე მსაჯს ვუთხარი, წადი, დახედე ბურთის დატოვებულ კვალს და თუ მეტყვი, რომ აუტი არ ყოფილა, ათას დოლარს მოგცემ-მეთქი. ის არ წავიდა."

მატჩის ბოლოს უმცროსმა უილიამსმა ცოტა გაიბრძოლა, საკუთარ მოწოდებაზე 5 მატჩ-პოინტიც გადაარჩინა, თუმცა შესანიშნავად მოთამაშე მეტოქის შესაჩერებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — ლინდსიმ ნახევარფინალის საგზური საათსა და 24 წუთში გააფორმა.

დევენპორტმა მოგვიანებით ჟურნალისტებს გაანდო, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისთან ერთად მცირე შეთქმულებაში მონაწილეობდა: „მე და მარტინა ხშირად ვხუმრობთ უილიამსების წინააღმდეგ თამაშის შესახებ. შარშან ნახევარფინალში სერენასთან რომ წავაგე, მარტინამ დამიცაცხანა, რა არის, სულ მარტო მტოვებ მათთან საბრძოლველადო. ამჯერადაც მატჩის წინ მითხრა, ბოლოს და ბოლოს, მოიგებ თუ არაო. ჩვენ დიდი ხანია, კარგი ურთიერთობა გვაქვს და უილიამსებთან თამაშის დროს ის სულ ჩემს მხარესაა."

კითხვას, ვინუსთან ნახევარფინალში ჰინგისისკენ იქნებოდა თუ არა, დევენპორტმა სიცილით აარიდა თავი, სამაგიეროდ, სერენამ ზემოხსენებული საუბარი გულთან ერთობ ახლოს მიიტანა და პრესკონფერენციაზე სულ ცოფები ყარა.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენ ბევრს არ მოვწონვართ და უნდათ, უილიამსები დიდი სლემის ტურნირის ფინალში ერთმანეთს არასოდეს შეხვდნენ. მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება, ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს, ამჯერად ვერ მივიყვანე საქმე ბოლომდე, თუმცა მომავალში ყველაფერს ვიღონებ ამისათვის".

**ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ანკე ჰუბერი (11, გერმანია) 6:1, 3:6, 6:3.**

ელენა დემენტიევა 1997 და 98 წლებში თბილისის ღია პირველობასაც სტუმრობდა, მაგრამ ჩვენს დედაქალაქში ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაც ვერ შეძლო. და აი, 18 წლის რუსმა ყველა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი, გააკვირვა და „ოუფენზე", კარიერაში პირველად, „მეიჯორის" ნახევარფინალში გავიდა.

„ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ კომპანიაში მოვხვდი — ლინდსი, მარტინა, ვინუსი. 2 წლის წინ მათ მხოლოდ ტელევიზორში ვუცქერდი და არ მეგონა, თუ ასე კარგად ოდესმე ვითამაშებდი."

გამოცდილმა ანკე ჰუბერმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში უამრავი უნებლიე და ორმაგი შეცდომა დაუშვა, მეტოქეზე მეტად თავად ინერვიულა და საქმეს მატჩის შემდეგ გასახდელში ცრემლების ღვარღვარით რაღას უშველიდა.

„ის მეტად მარტივად თამაშობს, მაგრამ ამავე დროს იშვიათად ცდება. ეს ოქროს შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა, მატჩი უნდა მომეგო" — შეიცხადა გერმანელმა.

დემენტიევას კი, რომელსაც აქამდე პირადი აგენტი და ერთი სპონსორიც არ ჰყავდა, ამ დღეებში კონტრაქტის დადების უამრავი მსურველი დაეხვია თავს და ნიუ იორკიდან უკვე კანონიერ მილიონერადაც დაბრუნდება მშობლიურ მოსკოვში.

**კაცები. მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (4, აშშ) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 4:6, 7:6 (8:6), 6:4, 6:2.**

სრული ორი სეტის მანძილზე შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონი პიტ სამპრასი ვერაფერს უხერხებდა თავის ყველაზე უხერხულ მეტოქე რიჩარდ კრაიჩეკს და როდესაც ტაი-ბრეიკზე 2:6-ით ჩამორჩა, თავადაც ხელი ჩაიქნია.

მაგრამ იღბალი პისტოლ პიტის მხარეს გახლდათ. ამერიკელმა ერთი სეტპოინტი ბადეს გაჭირვებით გადაცილებული შემოკლებულით გადაარჩინა, მეორე — შემთხვევით უკანა ხაზზე დავარდნილი უხერხული მიღებით, მერე რწმენაშემატებულმა თავადაც გაანძრია ხელი და ეშველა კიდეც.

„რიჩარდი აშკარად მჩაგრავდა, მეგონა, რომ ველარაფერი მიშველიდა, მართლა მეგონა. ძალიან გამიმართლა, ახლაც კი არ ვიცი, ის ტაი-ბრეიკი როგორ მოვიგე. ამან მატჩში გარდატეხა შეიტანა" — აღიარა ამერიკელმა.

**ლეიტონ ჰიუიტი (9, ავსტრალია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 6:3.**

19 წლის ავსტრალიელმა 18 ეისით კარიერის რეკორდი დაამყარა და პისტოლ პიტს დიდი გამოცდის მოწყობასაც შეჰპირდა.

**ავთანდილ სვანიძე**



პიტ სამპრასი

REUTERS ნიუ იორკიდან



სერენა უილიამსი

## სხვადასხვა



გუსტავო კუერტენი

**მსოფლიოს** მეორე ჩოგანი გუსტავო კუერტენი სიდნეის ოლიმპიადაზე არ იასპარეზებს. მიზეზი მეტად ბანალურია — ჩოგბურთელის სპონსორები და ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტი (COB) ვერ შეთანხმდნენ, თუ რას ჩაიცვამდა გუგა სიდნეიში.

კუერტენის შემმოსველი კომპანია „დიადორა" და COB თვეების მანძილზე კინკლაობდნენ, მოლაპარაკებით კი ვერაფერზე მოილაპარაკეს. სწორედ ამიტომ ATP ტურზე ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური, ნაირფერადი წულამაისურების მოყვარული ბრაზილიელი ოლიმპიადას დააკლდება.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ოლიმპიადაზე არ ვიქნები, დიდხანს ვოცნებობდი, ჩემი ქვეყნის სახელით გამოვსულიყავი. მაგრამ მე არ მსურს ურთიერთობის გაფუჭება ჩემს სპონსორ „დიადორასთან", რომელიც კარიერის დასაწყისიდან მიჭერდა მხარს და მაშინაც სჯეროდა ჩემი, როდესაც არავინ მიცნობდა და როლან გაროსის ტიტულებიც არსად ჩანდა" — განაცხადა გუგამ.

COB ითხოვდა, რომ კუერტენს გუნდის სპონსორის, „ოლიმპიკუსის" შორტები და მაისურები ჩაეცვა და მხოლოდ „დიადორას" წულები და „ჰედის" ჩოგანი დაეტოვებინა. პრეზიდენტმა კარლოს არტურ ნუზმანმა ერთხელ რომ ბრძანა, ქვეყნის ყველაზე პოპულარული სპორტსმენისთვის გამონაკლისს არ დავუშვებო, აღარ გადათქვა, არადა, ზოგიერთ მძლეოსანსა და ფეხბურთელს მანამდე ასეთი უფლებები მისცეს.

კუერტენი და მისი წარმომადგენლები თანახმა იყვნენ, ჩოგბურთელი ბრაზილიის ნაკრების მაისურაში გამოწყობილიყო. ოღონდ „ოლიმპიკუსის" ემბლემის გარეშე, რაზეც ბრაზილიის ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა.

„დიადორამ" კუერტენთან კონტრაქტი ჯერ კიდევ 1995-ში გააფორმა და ძალიანაც გაუმართლა.

გრძელთმიანმა, ყველასთვის უცნობმა ბრაზილიელმა 1997-ში საფრანგეთის ღია პირველობაზე იმარჯვა, ეს წლეულსაც გაიმეორა და შესანიშნავი შანსიც აქვს, წლის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდეს.

„სიდნეის ბილეთები უკვე დაკვეთილი გვქონდა და ბოლო დღეებში ოლიმპიადისთვის დიდი მონდომებით ვვარჯიშობდით" — ეს გუგას განუყრელი მწვრთნელის, ლარი პასოსის სიტყვებია.

* * *

**რუსეთის** ოლიმპიურ გუნდში კი მცირედი გაუგებრობების გამო სულ მალე შეიძლება სერიოზული პრობლემები წარმოიქმნას. სკანდალში, რაღა თქმა უნდა, ევგენი კაფელნიკოვი გაეხვია.

სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან წაგებული მატჩის მერე პრესკონფერენციაზე სოჭელმა ჟენიამ ცხელ გულზე განაცხადა: „თუ ოლიმპიურ ტურნირზე სარეიტინგო ქულებს არ დაარიგებენ (რისი საშიშროებაც ATP-ის ბოიკოტის გამო არსებობდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა), ეგებ არც წავიდე სიდნეიში. რეალისტი უნდა იყო, ამ წუთისთვის საშინელ ფორმაში ვარ და მედლის მოპოვების შანსი მაინც არ მაქვს".

მოკლედ, კაფელნიკოვს გადაჭრით არაფერი უთქვამს, მაგრამ რუსულ პრესაში მაინც გავრცელდა ხმები, სოჭელი ოლიმპიადაზე აღარ მიდისო და ბევრის აღშფოთება გამოიწვია. ჟენიას უცებ უამრავი ცოდვა გაუხსენეს და ლანძღვა-გინებაც არ დააკლეს.

„ჩვენ კაფელნიკოვს კარიერის დასაწყისში დიდი დახმარება გავუწიეთ, უფასოდ ვაკარჯიშებდით, აღჭურვილობას ვაძლევდით და მოგზაურობაში ხელს ვუწყობდით. მის ოჯახსაც დავეხმარეთ, მთავრობა დავარწმუნეთ, შავი ზღვის პირას მიწები მიეცათ, ბევრი სხვა რამეც. მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაივიწყეს — ცხარობს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი — ისეთ არაპატრიოტებზე საუბარი, კაფელნიკოვი და ანა კურნიკოვა რომ არიან (ამ უკანასკნელმა ოლიმპიადას დიდი ხანია, ბოიკოტი გამოუცხადა) საერთოდ არ მსურს".

საქმე კი ისაა, რომ სინამდვილეში სოჭელი ჟენია მზად იყო სიდნეიში გასამგზავრებლად, მასზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ კი შეიძლება განაწყენებულმა მართლა უარი თქვას.

ასეთ შემთხვევაში რუსეთს კაცებში ოლიმპიადაზე მხოლოდ მარატ საფინი წარადგენს, წყვილებში კი საერთოდ არავინ ეყოლება.

* * *

**დომინიკ ჰრბატი** აშშ-ის ღია პირველობაზე განთესილიც არ ყოფილა და მერვედფინალში რიჩარდ კრაიჩეკმაც უცერემონიოდ დაჩაგრა, მაგრამ მშობლიურ სლოვაკეთში ჩოგბურთელს უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს — ის ხომ თვით პრეზიდენტის დაახლოებული პირია.

ამ ზაფხულს, როლან გაროსის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჰრბატიმ სლოვაკეთის ბომონდისთვის მოწყობილ საჩვენებელ ტურნირზე ქვეყნის თავკაც რუდოლფ შუსტერთან ერთად ითამაშა.

„ჩვენ წყვილებში ერთად ვიყავით და ჩემპიონებიც გავხდით. ერთ დღეში სამი ერთსეტიანი მატჩი გავმართეთ. ჩვენი პრეზიდენტი 65 წლისაა, წარმოიდგინეთ, როგორ გაუჭირდებოდა. საშინლად დაიღალა, მაგრამ მაინც ბოლომდე ითამაშა. ის ჩოგბურთის დიდი მოყვარულია".

ჰრბატის საჩოგბურთო შესაძლებლობებში ეჭვი რა შესატანია, მაგრამ ამ დუეტის გაჩემპიონებას ალბათ სხვა მიზეზებიც შეუწყობდა ხელს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მსგავს ტურნირზე ჩვენი პრეზიდენტი ირაკლი ლაბაძის გარეშეც გაიმარჯვებდა.

# პრეზიდენტი გააძევეს

## ქართულ კალათბურთში შეთამაშებას შელაპარაკება ურჩევნიათ

**გუშინ** ცეკავშირის შენობაში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომი შეთხელებული შემადგენლობით შეიკრიბა. აღმასკომის თხუთმეტ წევრთაგან თითქმის ნახევარი არ დაესწრო სხდომას, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტისა და ამავდროულად ცეკავშირის თავმჯდომარის, გოგი ქათამაძის სამუშაო ოთახში ათი წუთის დაგვიანებით, ოთხის ათ წუთზე, საკმაოდ საქმიანად დაიწყო და ზუსტად ორ საათში დაძაბულ ვითარებაში დამთავრდა. — დუდუ, გააგრძელე — მიმართა ქათამაძემ თავის თანაშემწეს, ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ დუდუ დადიანს, ზუსტად ხუთ საათზე სავარძლიდან წამოდგა, საჭირო ნივთები სახელდახელოდ მოკრიფა და აშკარად განაწყენებული სახით დატოვა საკუთარი კაბინეტი და იქ შეკრებილი საზოგადოება. პრეზიდენტის განრისხების მიზეზზე ქვემოთ შეიტყობთ, სჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ.

აკი გითხარით, სხდომა საქმიანად დაიწყო და ისეთი პირი უჩანდა, აღმასკომის მიერ ოთხი საკითხის განხილვა დიდი-დიდი საათს თუ გასტანდა. მით უფრო, რომ ქათამაძემ თავიდანვე გააფრთხილა საფიხვნო, ბევრი დრო არ მაქვს, პარლამენტში მელიანო.

პირველი საკითხის არსი როლანდ ხომერიკმა ამცნო აღმასკომს. მან თქვა, რომ ახალ სეზონში ვაჟთა და ქალთა ეროვნულ ნაკრებებს, ასევე ქვეყნის ახალგაზრდულ და ჭაბუკთა გუნდებს ევროპის პირველობებზე თამაში უწევთ. — ფიბა ჩვენ პასუხს ელის, თუ ხსენებულ ტურნირებში მონაწილეობას გადავწყვეტთ, ახლავე უნდა გავაგზავნოთ თამხმობა, თუმც წინ გახედვაც გვმართებს, დღესვე განვჭვრიტოთ, ძალგვიძს თუ არა გასამგზავრებელი თანხების შოვნა, თუ დავთანხმდით, მერე უკან ვეღარ დავიხევთ, ფიბა მკაცრ სანქციებს დაგვაკისრებს — ასე დაასრულა ხომერიკმა მოხსენება.

მცირე პაუზის შემდეგ სიტყვა ქათამაძემ ითხოვა: მიმაჩნია, რომ ქალთა კალათბურთი სადღეისოდ იმ დონისა არ გვაქვს, ევროპის პირველობებზე მივიღოთ მონაწილეობა, ვაჟთა გუნდებმა კი აუცილებლად, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ითამაშონ ფიბა-ს ეგიდით გამართულ ნებისმიერ ტურნირში. ისეთი თაობები მოდის, ბევრ ქვეყანას შეშურდება, ამიტომ ჩვენებურები არც ერთ ასპარეზობას არ უნდა გამოაკლდნენ. ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალეთ, ფულს მე ვიშოვი, მთავარია, საკადრისად მოვამზადოთ როგორც ეროვნული, ასევე უმცროს ასაკთა ნაკრებები.

ამ თემაზე საუბარი ბათუმის „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტ მერაბ ემირიძის გამოსვლით დასრულდა. მან განუცხადა აღმასკომს, რომ აჭარა მზადაა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სამასპინძლოდ და იქნებ ეს იდეა ფიბა-ს ყურამდეც მიაწვდინოთო. ემირიძის აზრი დამსწრეთაგან უკლებლივ ყველამ მოიწონა და ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოსულ „ბასკოს“ წარმომადგენელს უმაღლეს საკალათბურთო ორგანოსთან შუამდგომლობასაც დაჰპირდნენ.

მეორე საკითხიც, პირველისა არ იყოს, უმტკივნეულოდ გადაწყდა. ანტონ კაზანჯიანის მოკლე გამოსვლას თბილისში გასამართ მწვრთნელთა სემინარის თაობაზე, მოკლედვე და, რაც მთავარია, საქმიანად გამოეხმაურა ქათამაძე: პრობლემას ვერ ვხედავ, უნგრელი და იტალიელი სპეციალისტები შარშანაც ჩამოვიდნენ და უკმაყოფილონი არ გაგვიშვია, ასე იქნებ ახლაც, მათი კვება იქნება, დაბინავება, თუ კიდევ სხვა რამ, ყველაფერს მოევლება, ჩემ თავზე ვიღებ.

ამის შემდეგ გაკვრით მსაჯთა პრობლემებზე და ლიცენზიანტ ქართველ მწვრთნელებზე ითქვა, დადიანმა აღნიშნა, რომ ულიცენზიო მწვრთნელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ვერც ერთ პირველობაზე ვერ გამოიყვანს გუნდს, რასაც პირადად გააკონტროლებს. ქათამაძის მცირე რეპლიკა კი მსაჯთა კორპუსის მხარდასაჭერი იყო: მსაჯები ძალიან გვიჭირს, ამიტომ დავავალდებულოთ ყველა კლუბი, რომ ამ მხრივაც იზრუნონ, თითო არბიტრს მაინც შეუწყონ ხელი დაოსტატებაში. გარდა ამისა, კიდევ უფრო უნდა გავამკაცროთ კანონები, მსაჯები დაცულები უნდა იყვნენ უსაქციელო სპორტსმენებისგან.

მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც მეათე ეროვნულ ჩემპიონატში სამოქმედო დებულების განხილვასა და დამტკიცებაზე მიდგა საქმე. აღმასკომმა კარგა ხანს ვერ გადაწყვიტა, მიეცათ თუ არა ფედერაციის გენერალურ მდივან აკაკი მეგრელაძისთვის დებულების წაკკითხვის საშუალება. ამას ქაოსი მოჰყვა, რაც დროთა განავლობაში მწვავე კამათში გადაიზარდა. ყოველივეს კი საფუძვლად ის დაედო, რომ ჩემპიონატში მონაწილე გუნდთა რაოდენობა არ გახლდათ დაზუსტებული.

***მერაბ ემირიძე:*** „ბასკოს“ სერიოზული მიზნები აქვს, სულ მალე უცხოელების ჩამოყვანას ვაპირებთ, ისინი მეკითხებიან, რამდენი თამაშის გამართვა მოგვიწევს და პრემიები რა სახით დაგვირიგდებაო. რა ვუთხრა, რა პასუხი გავცე, არ ვიცი-მეთქი? ელემენტარულად ის მაინც ხომ უნდა ვიცოდე, რამდენგუნდა ჩემპიონატი გვექნება, რა სისტემით ვითამაშებთ და რომელ გუნდებთან მოგვიწევს საქმის დაჭერა.

***როლანდ ხომერიკი:*** დავთქვათ საბოლოო რიცხვი, როცა შევწყვეტთ განაცხადების მიღებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოეფინება ნათელი ამ საკითხს და მერე დებულებისა და ჩემპიონატის ჩატარების ფორმულის დამტკიცებასაც შევძლებთ.

***გოგი ქათამაძე:*** ჩამოთვალეთ გუნდები და აღნიშნეთ, რომლის მონაწილეობაა საეჭვო.

პრეზიდენტის ეს სიტყვების აკაკი მეგრელაძის მისამართით იყო ნათქვამი და ისიც ჩამოთვლას შეუდგა. გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ წინა ჩემპიონატის დებულების მიხედვით, მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილოსნები — „გორი“ და ასკ უმაღლესლიგელებად აღარ ითვლებიანო და ის ათი კლუბი დაასახელა, რომელთაც იმავე დებულების გათვალისწინებით ელიტაში თამაშის უფლება აქვთ. აღმოჩნდა, რომ ახალ ჩემპიონატში მხოლოდ სდასუ-სა და „ვითას“ მონაწილეობა ყოფილა სათუო.

***აკაკი მეგრელაძე:*** სდასუ-ს პრეზიდენტს, თემურ ქორიძეს ვესაუბრე და დამპირდა, რომ 12 სექტემბრამდე საბოლოო პასუხს იტყვის.

***დუდუ დადიანი:*** დამირეკა „ვითას“ მფლობელმა თემურ დათიკაშვილმა და განაცხადა, რომ მისი გუნდი მეათე ეროვნულში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

„ვითას“ ხსენება იყო და გოგი ქათამაძემ ამ კლუბის ძველი „ცოდვები“ გაიხსენა, ხომ არ გავიწყდებათ, ფედერაციისა 20 ათასი მარკა და 800 ლარი რომ მართებსო. ახლა იმაზე გაჩაღდა ბჭობა, დართონ თუ არა „ვითას“ თაშის უფლება ადრინდელი ვალების გადაუხდელობის შემთხვევაში. რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა, მავანთ არც ამ კლუბის ქართული კალათბურთის წინაშე დამსახურების აღნიშვნა დავიწყებიათ, თუმც ქათამაძის მკაცრმა ტონმა ყველა დაადუმა: „ვითას“ დამსახურებას არც არავინ უკარგავს და უარყოფს, მაგრამ ამის გულისთვის ყოველთვის ვერ ვცემთ პატივს. შემოიტანს დათიკაშვილი ფულს? ითამაშოს მისმა გუნდმა, თუ არა და... ბოლოს და ბოლოს ნახეთ, „დინამო“ რა დღეშია. მიმაჩნია, რომ მსგავს სიტუაციებში არავინ არ უნდა შევიცოდოთ, ასე შორს ვერ წავალთ.

ამ დავა-კამათში ერთი ისეთი საკითხიც განიხილა და დამტკიცდა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, აღმასკომის სხდომის რეგლამენტით იყო გათვალისწინებული. საუბარი ეხებოდა ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის მდგომარეობას და ახალი სეზონისთვის მზადყოფნას. ამ დარბაზის წარმომადგენლებმა, ამაზე ნუ იდარდებთ, „ჯეოსელთან“ შეთანხმება უკვე მიღწეულია და ჩემპიონატის დაწყებამდე ეს კომპანია ყველაფერს მოაწესრიგებსო.

ამის შემდეგ შეკრებილნი კვლავაც დებულების განხილვას მიუბრუნდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ საკითხს გადაწყვეტა არ ეწერა. ეს, ალბათ, თავადაც იგუმანეს და ახლა კადეტებს გადასწვდნენ. თექვსმეტწლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა მერაბ ცირიკიძემ აღმასკომს ამცნო, რომ სურს, ისინი ცალკე გუნდად გამოვიდნენ. თავისი მოსაზრება გამოთქვა ქათამაძემ და გაირკვა, რომ იზიარებდა ამ იდეას, მაგრამ კლუბთა წარმომადგენლებმა, რომელთაც ეს ბიჭები ჰყავთ დანაწილებული, ისეთი ვაი-უშველებელი ატეხეს, პრეზიდენტმა ხელი აიღო თავდაპირველ განზრახვაზე. — მორჩა ლაპარაკი, ყველა თავის კლუბში ითამაშებს! — მოკლედ მოჭრა ქართული კალათბურთის საჭეთმპყრობელმა.

გოგი ქათამაძის ამ ბრძანებამ შეკრებილი საზოგადოების ვნებათაღელვა ოდნავადაც ვერ ჩააცხრო. პირიქით, იმატა დაძაბულობამ, კონფლიქტებმა, რასაც ერთხანს შეძლებისდაგვარად მშვიდი გამომეტყველებით შესცქეროდა ქათამაძე, მაგრამ...

იღვთქა პრეზიდენტმა, მსწრაფლ წამოდგა, კარისკენ დაიძრა და ყოველივე ამას ის ორად ორი სიტყვაც დაურთო, რაც რეპორტაჟის დასაწყისშიც ვთქვით — დუდუ გააგრძელე.

ქათამაძის ამ საქციელმა ყველა დაამუნჯა. როდის-როდის დადიანმა დაარღვია მდუმარება, რისი დაბოლოებაც ის გახლდათ, რომ ოთახი იმ ერთადერთმა ჟურნალისტმაც დატოვა, რომელიც აღმასკომის სხდომას მისივე ნებართვით ესწრებოდა.

ათი წუთიც არ გასულა, ყველა აიშალა, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. აკაკი მეგრელაძისგან ისიღა შევიტყვეთ, რომ მეათე ჩემპიონატის დებულების დამტკიცება ორშაბათისთვის გადადეს...

**გიორგი ბიძიშვილი**



## ყურადღება!

2000 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან იხსნება კურსები რუსული ენის შესწავლისთვის.

სწავლება ითვალისწინებს რამდენიმე პროგრამას:

- დამწყებთათვის;
- დაჩქარებული სწავლებისთვის;
- მართლწერის დახვეწისა და სრულყოფისთვის;
- უცხოელთათვის, რომლებსაც სურთ რუსული ენის შესწავლა.

ცნობებისათვის, 1-დან 30 სექტემბრამდე,

მიმართეთ მისამართზე:

მ. კოსტავას ქ. 77, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი, VI კორპუსი, VI სართული, რუსული ენის, ლიტერატურისა

და ჟურნალისტიკის კათედრა. ტ: 36-63-58


ევროპული კალათბურთი

ესპანეთი

# ჯაჭვური და ჩანაცვლების რეაქცია

## კარნიშოვასი — ბარსელონაში, გუროვიჩი — არისში

**ლიტველი** ფორვარდი არტურას კარნიშოვასი ოფიციალურად გახდა ესპანეთის „ბარსელონას“ წევრი. იგი ამერიკიდან ჩავიდა ბარსელონაში, სადაც კლუბის ექიმებმა სრული სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს. დასტაქრებმა დაადგინეს, რომ კარნიშოვასი ჯანმრთელი და „ბარსელონაში“ თამაშისთვის ვარგისია. შეგახსენებთ, რომ ლიტველმა კალათბურთელმა სამი თვის წინ ამერიკაში გაიკეთა მუხლის ოპერაცია და იქვე მკურნალობდა.

„ბარსელონამ“ ბოლონიის „ფორტიტუდოსგან“ გამოისყიდა კარნიშოვასის კონტრაქტი და თავად ერთწლიანი ხელშეკრულება დაუდო. მოლაპარაკების მიხედვით, ერთი სეზონის შემდეგ კლუბი და მოთამაშე კონტრაქტის პირობებს ახლიდან გადახედავენ, და, თუ შეთანხმებას მიაღწევენ, კიდევ ერთწლიანი თანამშრომლობის დოკუმენტს გააფორმებენ. უცნობია, რა თანხას მიიღებს ლიტველი კალათბურთელი.

29 წლის კორნიშოვასი 1995-1997 წლებში თამაშობდა „ბარსელონაში“. იგი ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ორჯერ გავიდა ევროლიგის ფინალში, სადაც ორჯერვე ბერძნულ გუნდებთან დამარცხდა — ჯერ „პანათინაიკოსთან“, მერე — „ოლიმპიაკოსთან“. კარნიშოვასი „ბარსელონას“ მესამე შენაძენია სეზონთაშორის პერიოდში — კატალონიურმა კლუბმა კიდევ ერთი ლიტველი, უკანახაზელი შარუნას იასიკევიჩუსი და ლიბანელი ცენტრი რონი საიკლი აიყვანა. ლიტვის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ნაოპერაციევმა მუხლმა ამის საშუალება არ მისცა.

კარნიშოვასის „ბარსელონაში“ მოსვლაზე დიდად იყო დამოკიდებული კატალონიური კლუბის იუგოსლაველი ფორვარდის მილან გუროვიჩის ბედი. ამ მოთამაშეს აღარ სურდა „ბარსაში“ დარჩენა და გუნდიც არ იყო წინააღმდეგი იგი დაეთხოვა. „ბარსელონა“ ორი პირობის შესრულების შემთხვევაში შეელეოდა გუროვიჩს: მის ამპლუაში, ფრთაზე, სხვა ძლიერი მოთამაშე უნდა აეყვანა და კალათბურთელის კონტრაქტის დარჩენილი ნაწილი სარფიანად უნდა გაეყიდა. იუგოსლაველის დასაკუთრება სალონიკის „არისმა“ მოინდომა და ფული არ დაინანა, ხოლო კარნიშოვასი ამპლუით ფრთაა და იქნებ გუროვიჩზე უკეთესიც.

სალონიკის “არისის“ პრეზიდენტმა იანის კარაკიციოსმა განაცხადა, რომ კლუბმა და გუროვიჩმა შეათანხმეს კონტრაქტის პირობები. იუგოსლაველი ორ სეზონს დაჰყოფს „არისში“ და წელიწადში 800 ათას დოლარს მიიღებს. კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმება ოქტომბრის დასაწყისში იგე-



მილან გუროვიჩი (უკან)

გმებოდა, რადგან გუროვიჩი იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა. ახლა კი ეს პროცესი დაჩქარდება, რადგან ნაკრების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა არ შეიყვანა მილანი საოლიმპიადო შემადგენლობაში.

გუროვიჩი ადრე ოთხი წლის განმავლობაში თამაშობდა საბერძნეთში და ათენის „პერისტერის“ ღირსებას იცავდა. მაშინ მისი მწვრთნელი იყო ხორვატი დრაგან საკოტა, რომელიც ორიოდ თვის წინ ჩაუდგა სათავეში „არისს“. გუროვიჩი კალათბურთელად სწორედ საკოტას ხელში ჩამოყალიბდა, ენდობა და პატივს სცემს და „სულიერ მამას“ უწოდებს. იუგოსლაველის „არისში“ გადაყვანა ხორვატის ინიციატივით მოხდა.

24 წლის გუროვიჩს, იუგოსლავიურთან ერთად, ბერძნული პასპორტიც აქვს და ამის გამო ქვეყნის ჩემპიონატში თამაშისას უცხოელად არ ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ სეზონთაშორის პერიოდში „არისმა“ თერთმეტი ახალი კალათბურთელი აიყვანა: ამერიკელები ენტონი ბოუი, ჯოშ გრანტი, ჯეიმს ფორესტი; იტალიური პასპორტის მქონე ამერიკელები დანტე კალაბრია და მაიკ იუზოლინო (ვერონის „როლოს“ შემადგენლობაში უთამაშია თბილისში, „ვითას“ წინააღმდეგ); ბერძნები ნიკოს პაპანიკოლოპულოსი და იანის ლაპასი; იუგოსლაველები საშა მარკოვიჩი, გორან რაიჩევიჩი და მილან გუროვიჩი; გერმანელი ტიმ ნეესი.



## ბავშვთა კალათბურთის აკადემია

**11 სექტემბრიდან აცხადებს 1993 წელს დაბადებულთა მიღებას.**

*მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 49 (სპორტის აკადემიის შენობაში)*

*ტელ: 23-20-05*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიური ამბები

ამერიკა

# ვიღას ახსოვდა სამშობლო

## ამერიკამ იაპონიას დაპირებული შოუ დაუდგა

**იაპონია 49:105 აშშ**

**იაპონია: კიტა (13), საკო (4), შოჯი (4), ფურუტა (4), აონო (2); ჰასეგავა (7), იშიზაკა (4), ვეისი (3), ნაია (3), მიანოკოში (3), ორიმო (2)**

**აშშ: კიდი (4), ჰიუსტონი (8), კარტერი (18), აბდულ-რაჰიმი (14), ბეიკერი (17); ალენი (2), სმიტი (11), პეიტონი (10), მურნინგი (7), ჰარდევეი (4)**

იაპონიაში, ქალაქ საიტამაში გამართულ „სუპეროცნების თამაშების" ტურნირის ბოლო მატჩის სანახავად 21 ათასი კაცი მივიდა. დასკვნით შეხვედრაში ერთმანეთს მასპინძელი იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები ხვდებოდნენ, მაგრამ ვეჭვობთ, გულშემატკივართა ამხელა აუდიტორია იქ იაპონელთა თამაშს მიეზიდოს. ვინს კარტერის, კევინ გარნეტის თუ სხვა ამერიკელი ვარსკვლავების მაისურებში გამოწყობილმა ათასობით იაპონელმა დაივიწყა, თუ ვისი გორისაა, აშკარად და გამოკვეთილად უქომაგა მშობლიური ქვეყნის ნაკრების დამაქცევარ მეტოქეს და შედეგითაც ერთობ კმაყოფილი დარჩა. ისე, შეიძლება მათ გავუგოთ. იაპონელ გულშემატკივართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოედანზე პირველად იხილა პლანეტის უძლიერესი კალათბურთელები და რაღა გასაკვირია, რომ მათ რამდენიმე საათით დაივიწყეს ამომავალი მზის ქვეყანა.

ამერიკელებმა ორი მოთამაშე მოისაკლისეს მცირე ტრავმების გამო. ანტონიო მაკდაიესს ზურგი აწუხებს, კევინ გარნეტმა კი ამავე ტურნირში ესპანელებთან შეხვედრაში ხელის თითი დაიშავა. ამ უკანასკნელის ტრავმა უფრო სერიოზულია, თუმც არც იმდენად, რომ მას ოლიმპიადის გამოტოვების საფრთხე დაემუქროს. ისე, ამ ორი ტანმაღალი კალათბურთელის არყოფნა რომ გუნდს სულ არ დასტყობია, ანგარიშიდანაც მშვენივრად ჩანს. საინტერესოა, ამერიკელებს მარტო უკანახაზელებით რომ ეთამაშათ, მოახერხებდნენ თუ არა მასპინძლები, თუნდაც ოცქულიანი სხვაობით დამარცხებულიყვნენ?

ამერიკელები ოლიმპიადაზე მხოლოდ ოქროს უმიზნებენ და სიდნეისთვის სერიოზულად ემზადებიან. თუმც რა ქნან, იაპონია მათთვის ყველაზე უხეირო სპარინგ-პარტნიორი გამოდგა. ამერიკელებმა ისინი პირწმინდად, აბსოლუტურად ყველა სათამაშო კომპონენტში დაჩაგრეს დააგროვეს მეტოქეზე 56 ქულით მეტი, 23-ით მეტი მოხსნა, 14-ით მეტი პასი, ოთხით მეტი ჩაჭრა და ხუთით მეტი დაფარება. ჩააგდეს თამაშიდან სროლების 62,5 პროცენტი მაშინ, როცა იაპონელებს ანალოგიური მაჩვენებელი სავალალო 23,9 პროცენტი, თუმც არა, მასპინძლებმაც მოახერხეს, რაღაცით ეჯობნათ ზემძლავრი მეტოქისთვის. მათ ჩააგდეს ნასროლი საჯარიმოების 66,7 პროცენტი, მეტოქემ კი — მხოლოდ 60. გარდა ამისა, იაპონელებმა უფრო მეტი ჯარიმა მიიღეს და ბურთსაც უფრო ხშირად ჰკარგავდნენ. ასე გამოიყურება მატჩის სტატისტიკა ზედაპირულად, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ იაპონელები იმ დღეს მეზობელ კორეას კი არ ეთამაშებოდნენ, არამედ იმ გუნდს, რომელმაც კალათბურთი შეიძლება უფრო უკეთ იცის, ვიდრე იაპონელებმა სუმო.






ხელმტკივანმა კევინ გარნეტმა ბურთის ნაცვლად ვიდეოკამერა აიღო და ალონზო მურნინგის და კაზუჰირო შოჯის (№11) ორთაბრძოლა გადაიღო

მატჩზე მოსათხრობი ბევრიც არაფერია. ამერიკელებმა უფრო თავიდან თუ მოიდინეს ოფლი და ტაიმი 35 ქულის სხვაობით მოიგეს. რაღა გასაკვირია, რომ მათ კვლავაც ბევრი იფრინეს და ქულების თითქმის ნახევარი ჩატენვებით მიითვალეს. სტუმრები მხოლოდ მეორე ნახევარში გადავიდნენ შორ და საშუალო მანძილიდან სროლებზე, როცა ოდნავ მოიღალნენ და ფარქვეშ შესვლა და ჩასატენად ახტომა ეზარებოდათ. ჯეისონ კიდმა და სტივ სმიტმა ხომ მთლად დააბეჩავეს მასპინძლები მეჯიქ ჯონსონისეული მოულოდნელი პასებით. სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი და ეფექტური კვლავ ვინს კარტერი გახლდათ.

ამერიკელები კი კვლავ დაცვაზე ლაპარაკობდნენ: „თამაშის წინ მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი სტანდარტებით გვეთამაშა და თავისთვის მოშვების უფლება არ მოგვეცა. ამ გუნდს აქვს პრეტენზია, საუკეთესო ოლიმპიური გუნდის სახელი დაიგდოს. ბიჭებს არ ეზარებათ დაცვაში თამაში, ამიტომაც ვიგებთ ყველა შეხვედრას ასე იოლად" — ამბობს გამარჯვებულთა მწვრთნელი ძუდი ტომიანოვიჩი.

ამერიკელები რიგით მეხუთე და უკანასკნელ საგამოფენო თამაშს 9 სექტემბერს გამართავენ ავსტრალიაში ადელაიდაზე ავსტრალიის ნაკრებთან. ავსტრალია იაპონიაზე ბევრად უფრო სერიოზული მეტოქეა, ამიტომ ოლიმპიური ჩემპიონები მაინც ფრთხილობენ, ემანდ მასპინძლებმა სირცხვილი არ გვაჭამონო და ათასჯერ დამუშავებულ დაცვით კომბინაციებს ათასმეერთედ ამუშავებენ.

**ირაკლი ფირცხვილი**

იუგოსლავია

# საოლიმპიადო იუგოსლავია

„ბრილიანტის ბურთის" ტურნირის დასრულებისთანავე იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი თავის თანაშემწეს და მრჩეველს, დუშან ივკოვიჩს ეთათბირა და საოლიმპიადო შემადგენლობა გამოაცხადა. შეგახსენებთ, რომ იუგოსლავია ჰონკონგში თოთხმეტი კალათბურთელით იყო ჩასული, ორი მათგანი კი სიდნეის ნაცვლად სამშობლოში უნდა გამგზავრებულიყო.

ობრადოვიჩმა ერთობ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ნაკრებიდან დაითხოვა ნიკოლა ლონჩარი და მილან გუროვიჩი. მწვრთნელს არ აკმაყოფილებს მათი მომზადების დონე. ჰონკონგში გამგზავრებამდე ობრადოვიჩმა ნაკრებს მილმა კიდევ ორი მოთამაშე — მარკო იარიჩი და დეიან მილოევიჩი დატოვა. მანამდე კი ოლიმპიადაზე თამაში იუარეს ვლადე დივაცმა და ალექსანდრ ჯორჯევიჩმა.



დეიან ბოდიროგა (მარცხნივ) და პრედრაგ დანილოვიჩი (№5) სიდნეიში მიდიან, ნიკოლა ლონჩარი (№7) კი შინ ბრუნდება

### იუგოსლავიის ნაკრები სიდნეის ოლიმპიადაზე

| № | მოთამაშე | ამპლუა | კლუბი |
|---|---|---|---|
| 4 | დეიან ბოდიროგა | უკანა ხაზი/ფორვარდი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| 5 | პრედრაგ დანილოვიჩი | უკანა ხაზი/ფორვარდი | კინდერი, იტალია |
| 6 | საშა ობრადოვიჩი | უკანა ხაზი | ბუდუჩნოსტი |
| 7 | იგორ რაკოჩევიჩი | უკანა ხაზი | მინესოტა ტიმბერვულვზი, აშშ |
| 8 | პრედრაგ სტოიაკოვიჩი | ფორვარდი | საკრამენტო კინგზი, აშშ |
| 9 | ვლადო შჩეპანოვიჩი | უკანა ხაზი | ეფესი, თურქეთი |
| 10 | დრაგან ლუკოვსკი | უკანა ხაზი | ფენერბაჰჩე, თურქეთი |
| 11 | ჟელკო რებრაჩა | ცენტრი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| 12 | პრედრაგ დრობნიაკი | ფორვარდი/ცენტრი | ეფესი, თურქეთი |
| 13 | დრაგან ტარლაჩი | ცენტრი | ჩიკაგო ბულზი, აშშ |
| 14 | დეიან ტომაშევიჩი | ფორვარდი | ბუდუჩნოსტი |
| 15 | ნიკოლა იესტრატიევიჩი | ცენტრი | კინდერი, იტალია |

„ბრილიანტის ბურთის" ტურნირი
ჰონკონგი. 2-6 სექტემბერი

# დამალული სიდნეიში გაცხადდება

6 სექტემბერი

ფინალი

**ავსტრალია 78:71 იუგოსლავია**

**ავსტრალია: ბრადტკე (11), გეიზი (7), გრეისი (16), ლონგლი (15), მაკკინონი (13), მაჰერი (2), როუჯერსი (12), სმიტი, ვლაჰოვი (2)**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (11), დანილოვიჩი (7), დრობნიაკი (7), ლუკოვსკი (4), ობრადოვიჩი (7), რაკოჩევიჩი, რებრაჩა (9), შჩეპანოვიჩი (2), სტოიაკოვიჩი (4), ტარლაჩი (7), ტომაშევიჩი (13)**

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩს ამ მატჩის შემდეგ უნდა დაესახელებინა საოლიმპიადო, თორმეტკაციანი შემადგენლობა. ჰონკონგში ჩასული თოთხმეტი იუგოსლაველი კალათბურთელიდან ორი სიდნეიში ვერ მოხვდებოდა. ოფიციალურად ჯერ არაფერი იყო თქმული, მაგრამ ცხადი გახდა, რომ უიღბლოები ნიკოლა ლონჩარი და მილან გუროვიჩი იყვნენ — ობრადოვიჩმა არ შეიყვანა ისინი „ბრილიანტის ბურთის" ფინალის განაცხადში.

ამ ტურნირის უპირველესი მიზანი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაა. ამიტომაც, ფინალისტებმა თავი არ მოიკლეს და მატჩიც უფრო ვარჯიშს დაემსგავსა. იუგოსლავიამ პირველი ტაიმი შვიდი ქულით მოიგო (44:37), მაგრამ მეორე ტაიმში ინიციატივა დათმო და ავსტრალიას შეხვედრის და ტურნირის მოგება დაანება. აშკარად ჩანდა, რომ გუნდებმა დამალეს თავ-თავიანთი კოზირები, განსაკუთრებით დაცვაში თამაშისას. იუგოსლაველთა ცენტრმა და ლიდერმა ჟელკო რებრაჩამ ზედიზედ მეორე მატჩში დატოვა მოედანი ხუთი პერსონალური გამო.

ნამატჩევს არც ერთი გუნდის წარმომადგენელს უშუალოდ თამაშის შესახებ კონკრეტული არაფერი უთქვამს. იუგოსლაველთა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და მერე ძირითადად მაყურებელზე ილაპარაკა — რა კარგი ხალხი ყოფილა, შესანიშნავი ატმოსფერო შეგვიქმნესო. მას არც ავსტრალიელი კალათბურთელი ენდრიუ ვლაჰოვი ჩამორჩა: ჰონკონგელი ხალხის მასპინძლობით აღფრთოვანებული დავრჩიო. ავსტრალიელთა მწვრთნელმა ბერი ბარნსმა იუგოსლავიის ნაკრები აქო და ადიდა — უძლიერესი გუნდია და მისი დამარცხება ჩვენთვის საამაყოაო. ერთადერთმა დეიან ბოდიროგამ, იუგოსლავიის ნაკრების მოთამაშემ, ამოღერღა ორიოდ სიტყვა თამაშის შესახებ: ავსტრალიამ იმიტომ მოგვიგო, რომ დაცვაში უკეთ გაისარჯაო.

**მესამე ადგილისთვის**

**იტალია 82:74 კანადა**

**იტალია: ლი ვეკი (2), სამბუგარო (2), ბაზილე (7), გალანდა (10), ფუჩკა (8), ტონოლი, მენეგინი (13), აბიო (18), მიანი (11), კამატა (2), დამიაო (9)**

**კანადა: დანიელსი, ჰამილტონი (7), მევესი (8), ნეში (26), ბარეტი (5), ფრენსისი (3), მაკკალოფი (3), გუარასკი (10), მიქსი (8), ნიუტონი (4).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 სექტემბერი | | | |
| 001 | უნტერჰახინგი-კაიზერსლაუტ. | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | 09 სექტემბერი | | | |
| 002 | მიუნხენ 1860-შალკე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 003 | კიოლნი-ლევერკუზენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 004 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 005 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 006 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 007 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 008 | ჰანზა-ფრაიბურგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 009 | კოტბუსი-აინტრახტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 სექტემბერი | | | |
| 010 | მაინცი-არმინია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 011 | საარბრიუკენი-ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | 09 სექტემბერი | | | |
| 012 | ნიურნბერგი-როიტლინგენი 18.00 | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 013 | ნიურნბერგი-როიტლინგენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 014 | ალენი-ვალდჰოფი 18.00 | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 015 | ობერჰაუზენი-მ.გლადბახი 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 016 | ულმი-ფიურტი 18.00 | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 017 | ოსნაბრიუკი-ქემნიცი 18.00 | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 018 | ზტ.პაული-კიკერსი 18.00 | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 019 | ალემანია-დუისბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-5 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 020 | ბრედფორდი-არსენალი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 021 | ქოვენთრი-ლიდსი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 022 | იფსვიჩი-ასტონ ვილა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 023 | ლესტერი-საუთჰემპტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 024 | ლივერპული-სიტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 025 | ლივერპული-სიტი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 026 | მანჩესტერი-სანდერლენდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 027 | მანჩესტერი-სანდერლენდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 028 | მიდლსბრო-ევერტონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 029 | ნიუკასლი-ჩელსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 030 | დერბი-ჩარლტონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 031 | ტოტენჰემი-ვსტ ჰემი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-6 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 032 | ბირმინგემი-შეფილდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 033 | ბლექბერნი-ნოტინგემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 034 | ქრიუ-ნორვიჩი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 035 | კრისტალ პალასი-ბარნლი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 036 | გრიმსბი-ჯილინგემი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 037 | ჰადერსფილდი-ბოლტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 038 | პორტსმუთი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 039 | ქუინზ პარკი-პრესტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 040 | უენსდი-უიმბლდონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 041 | სტოკპორტი-ვესტ ბრომვიჩი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 042 | ვულვერჰემპტონი-ტრანმერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 043 | ფულემი-ბარნსლი 17.00 | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-6 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 სექტემბერი | | | |
| 044 | უიკომბი-ოქსფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | 09 სექტემბერი | | | |
| 045 | ბორნმუთი-პორტ ვეილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 046 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 047 | ბერი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 048 | კემბრიჯი-როტერჰემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 049 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 050 | მილუოლი-სუონსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 051 | ნოტსი-როვერსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 052 | რედინგი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 053 | სტოკი-პიტერბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 054 | უიგანი-კოლჩესტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 055 | რექსემი-ოლდემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-6 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 056 | ბარნეტი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 057 | ბლეკპული-ჰართლპული | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 058 | კარდიფი-ბრაიტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 059 | კარლაისლი-როჩდეილი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 060 | ჩელტენემი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 061 | ლეიტონი-ჰალი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 062 | მაკლსფილდი-ექსეტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 063 | მენსფილდი-ჰალიფაქსი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 064 | შრიუსბერი-დარლინგტონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 065 | საუთენდი-პლიმუთი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 066 | ტორკი-ლინკოლნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 067 | იორკი-სკანთორპი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-7 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 068 | სედანი-მონაკო 18.00 | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 069 | პსჟ-სენტ ეტიენი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 070 | ოსერი-ნანტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 071 | ბორდო-გენგამი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 072 | ბორდო-გენგამი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 073 | ლილი-ტრუა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 074 | ლიონი-ლანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 075 | რენი-მეცი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 076 | სტრასბური-ბასტია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 077 | ტულუზი-მარსელი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-8 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 078 | აიაჩო-გენიონი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 079 | ანჟე-სოშო | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 080 | ბოვუა-ნიცა | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 081 | კაენი-ლე ავრი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 082 | კანი-ნანსი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 083 | შატორუ-მონპელიე | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 084 | ლე მანი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 085 | მარტიგი-ვასკეალი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 086 | ნიმი-კრეტეი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 087 | ნიორი-ლორიანი | 2,2 | 2,7 | 3,2 |

### იტალია. სერია ბ . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 088 | ანკონა-მონცა 18.00 | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 089 | კროტონე-რავენა 18.00 | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 090 | ჯენოა-სიენა 18.00 | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 091 | პესკარა-ემპოლი 18.00 | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 092 | პიაჩენცა-კოზენცა | 1,4 | 3,5 | 8,0 |
| 093 | პიაჩენცა-კოზენცა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 094 | პისტოიეზე-ტორინო 18.00 | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 095 | ტერნანა-კიევო 18.00 | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 096 | ტრევიზო-კალიარი 18.00 | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 097 | ვენეცია-ჩიტადელა 18.00 | 1,25 | 4,7 | 10,0 |
| 098 | ვენეცია-ჩიტადელა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 289 | სალერნიტანა-სამპდორია | 2,3 | 2,5 | 3,4 |

### იტალია. სერია ც1/ა . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 099 | ალძანო-ალესანდრია | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 100 | ალძანო-ალესანდრია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 101 | არეცო-მოდენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 102 | ჩეზენა-ლეკო | 1,3 | 3,8 | 9,0 |
| 103 | ჩეზენა-ლეკო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,6 |
| 104 | კომო-ლუმეცანე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 105 | ლივორნო-ვარეზე | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 106 | ლუკეზე-კარარეზე | 1,45 | 3,1 | 7,5 |
| 107 | ლუკეზე-კარარეზე 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,1 |
| 108 | რეჯანა-ალბინოლეფე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 109 | სპალ-პიზა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 110 | სპეცია-ბრეშელო | 2,4 | 2,5 | 3,2 |

### იტალია. სერია ც1/ბ . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 111 | ასკოლი-ვიტერბეზე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 112 | აველინო-ლოდიჯანი | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 113 | ბენევენტო-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 114 | კატანია-ფერმანა | 2,2 | 2,4 | 3,5 |
| 115 | ფ.ანდრია-ნოჩერინა | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 116 | მესინა-პეზარო | 1,9 | 2,4 | 4,7 |
| 117 | პალერმო-ჯულიანოვა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 118 | ტორესი-ატლეტიკო | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 119 | სავოია-აკილა | 1,5 | 3,0 | 7,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 120 | ბარსელონა-მალაგა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 121 | ბარსელონა-მალაგა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 123 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 128 | რეალი-ვალენსია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 129 | დეპორტივო-ბილბაო | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 130 | სოსიედადი-რასინგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 122 | ოსასუნა-სელტა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 126 | ნუმანსია-ოვიედო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 127 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 124 | ვილიარეალი-რაიო ვალეკანო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 125 | ლას პალმასი-ალავესი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 09 სექტემბერი | | | |
| 131 | ატლეტიკო-უელვა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 132 | ატლეტიკო-უელვა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 133 | უნივერსიდადი-ხეტაფე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 134 | ბეტისი-ელჩე 15.00 | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 135 | ბეტისი-ელჩე 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 136 | ტენერიფე-სპორტინგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 137 | ფეროლი-კომპოსტელა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 138 | ეიბარი-ლეგანესი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 139 | სალამანკა-სევილია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 140 | ბადახოსი-ხაენი | 1,65 | 3,0 | 5,3 |
| 141 | კორდობა-ლევანტე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 142 | ესტრემადურა-ალბასეტე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 143 | მურსია-ლეიდა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 08 სექტემბერი | | | |
| 144 | ბრაგა-სპორტინგი | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| | 09 სექტემბერი | | | |
| 145 | პორტუ-ფერეირა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 146 | პორტუ-ფერეირა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 147 | ლეირია-ბენფიკა | 4,4 | 3,0 | 1,75 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 148 | ბეირა მარი-ბელენენსეში | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 149 | ავეში-კამპომაიორენსე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 150 | სალგეირუში-მარიტიმუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 151 | ჟილ ვისენტე-ფარენსე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 152 | ამადორა-ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,1 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | ალვერკა-გიმარაეში | 2,3 | 2,9 | 3,0 |

პორტუგალია. II ლიგა. მე-3 ტური
10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | მაია-შავეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 155 | ნავალი-რიუ `ავე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 156 | ესპინიუ-სანტა კლარა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 157 | პენაფიელი-ნასიონალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 158 | მარკუ-ფელგეირაში | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 159 | აკადემიკა-ლეცა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 160 | ფრეამუნდე-იმორტალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 161 | სეტუბალი-ვარზიმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-4 ტური
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | სიტარდი-პსვ | 5,6 | 3,6 | 1,5 |

09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | აიაქსი-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 164 | აიაქსი-გრონინგენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 165 | ტილბურგი-ვიტესი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 166 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 167 | ჰერენვენი-ბრედა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 168 | ჰერენვენი-ბრედა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 169 | როდა-ტვენტე | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 170 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 171 | ფეიენოორდი-ვალვაიკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 172 | სპარტა-როზენდალი 17.30 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 173 | ნაიმეგენი-უტრეხტი 17.30 | 1,9 | 3,2 | 3,5 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-4 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ემენი-დენ ჰააგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 175 | დორდრეხტი-ვენლო | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 176 | დორდრეხტი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 177 | ჰელმონდი-ვეენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 178 | კამბური-მაასტრიხტი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 179 | ოსი-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ჰაარლემი-ტელსტარი 17.30 | 2,4 | 3,2 | 2,5 |

ბელგია. I დივიზიონი. მე-5 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | ბევერენი-გენკი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 182 | შარლერუა-ლიერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 183 | ანტვერპენი-ანდერლეხტი | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 184 | მეხელენი-სტანდარდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 185 | სენტ ტრუიდენი-მუსკრონი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 186 | ვესტერლო-გენტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | ბრიუგე-ლუვიე 18.00 | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 188 | ბრიუგე-ლუვიე 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 189 | აალსტი-ლოკერენი 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 190 | ჰარელბეკე-ბეერსხოტი 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ბელგია. II დივიზიონი. მე-4 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 191 | გეელი-დაინცე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 192 | გეელი-დაინცე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 193 | ჰეკელგემი-დესელი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 194 | სერკლი-მონსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 195 | სერკლი-მონსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 196 | ინგელმუნსტერი-ლიეჟი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 197 | ინგელმუნსტერი-ლიეჟი | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 198 | ოსტენდე-მაასლანდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 199 | ოსტენდე-მაასლანდი 0:1 | 1,4 | 3,8 | 7,0 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 200 | ტინენი-ტურნჰაუტი 18.00 | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 201 | რუზელარე-ჰეუსდენი 18.00 | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 202 | სტრომბეკი-ლომელი 18.00 | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 203 | დენდერლეუ-მოლენბეკი 18.00 | 2,3 | 3,1 | 2,8 |

საბერძნეთი. 1-ლი ტური
10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი 18.00 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 205 | ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 206 | ოფი-არისი 18.00 | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 207 | იონიკოსი-ათინაიკოსი 18.00 | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 208 | პანილიაკოსი-პანიონიოსი 18.00 | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 209 | აეკ-ირაკლისი 18.00 | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 210 | პანათინაიკოსი-იანინა 18.00 | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 211 | პანათინაიკოსი-იანინა 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 212 | პანაჰაიკი-ქსანთი 18.00 | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 213 | კალამატა-პაოკ 18.00 | 3,4 | 2,9 | 2,1 |

ჩეხეთი. მე-6 ტური
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | სინოტი-ლიბერეცი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 218 | დრნოვიცე-ბანიკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ჟიჟკოვი-პრჟიბრამი 13.15 | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 216 | პლზენი-ბოჰემიანსი 18.00 | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 217 | იაბლონეცი-სიგმა 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

პოლონეთი. მე-7 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 225 | ზაგლებე-პოგონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 227 | გროცლინი-ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 226 | რაძიონკოვი-გურნიკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 219 | შლიონსკი-ამიცა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 220 | რუხი-კატოვიცე | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 221 | პლოცკი-სტომილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 223 | ლეგია-ოდრა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 224 | ლეგია-ოდრა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | ვისლა-პოლონია | 2,1 | 2,9 | 3,6 |

თურქეთი. მე-4 ტური
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 228 | ადანა-ბეშიქთაში | 4,4 | 3,2 | 1,7 |

09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | ანკარაგიუჯიუ-გენჩლერბირლ. | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 230 | ანთალია-დენიზლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 231 | ტრაბზონი-ქოჯაელი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 232 | ტრაბზონი-ქოჯაელი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 233 | გალათასარაი-სამსუნი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 234 | გალათასარაი-სამსუნი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | იოზგათი-რიზე 18.00 | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 236 | ერზურუმი-ბურსა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 237 | გაზიანთეფი-ისთანბული | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 238 | გაზიანთეფი-ისთანბული 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 239 | ფენერბაჩე-იეთფა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 240 | ფენერბაჩე-იეთფა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

შოტლანდია. მე-7 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | აბერდინი-სენტ ჯონსტონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 242 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 243 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 244 | დანდი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 245 | ჰართსი-დანფერმლაინი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 246 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 247 | სენტ მირენი-მოზერუელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

ავსტრია. გადადებული მატჩები
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 248 | ტიროლი-რაპიდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 249 | აუსტრია-ზალცბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 250 | ბრეგენცი-შტურმი | 3,8 | 3,0 | 1,9 |

შვეიცარია. ა ჯგუფი. მე-10 ტური
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | ბაზელი-ციურიხი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 252 | ქსამაქსი-ლოზანა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 253 | სერვეტი-ლუგანო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 254 | ივერდონი-სენტ გალენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 255 | გრასჰოპერი-აარაუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 256 | გრასჰოპერი-აარაუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 257 | ლუცერნი-სიონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

შვეიცარია. ბ ჯგუფი. მე-12 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 258 | ვანგენი-იანგ ბოისი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 259 | ვილი-კარუჟი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 260 | ვინტერთური-კრინსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 261 | ვინტერთური-კრინსი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 262 | ბადენი-ბელინცონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 263 | ლოკარნო-სოლოთურნი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 264 | თუნი-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

დანია. მე-8 ტური
10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 265 | აკადემისკი-ჰერფიოლგე 18.00 | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 266 | ჰადერსლევი-ოდენსე 18.00 | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 267 | ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ 18.00 | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 268 | ვიბორგი-მიდტიულანდი 18.00 | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 269 | სილკებორგი-ორჰუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 270 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

რუსეთი. გადადებული მატჩი
10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 271 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

შვედეთი. მე-19 ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 272 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი 17.00 | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 278 | ნორჩიოპინგი-გიოტებორგი 18.00 | 2,6 | 3,1 | 2,4 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 273 | აიკ-გაის | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 274 | აიკ-გაის 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 275 | იორებრო-ჰალმსტადი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 276 | ჰეკენი-ფრიოლუნდა | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 277 | ჰამარბი-ტრელებორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

ნორვეგია. 22-ე ტური
09 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 281 | მოსი-ბრანი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 285 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 279 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 280 | ბრინი-ლილესტრიომი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 282 | სტაბეკი-ჰაუგესუნდი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 283 | სტაბეკი-ჰაუგესუნდი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 284 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 286 | ვოლერენგა-მოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 |

იტალიის სუპერთასი
08 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 287 | ლაციო-ინტერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩი
11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბოჰემიანსი-კაიზერსლაუტ. | 6,0 | 3,5 | 1,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალუქვაძის ნასროლმა ოლიმპიური მედალი უნდა ჩამოაგდოს

**ოლიმპიური** ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე უკვე სიდნეიშია. იგი ამ ოლიმპიადისთვის შარშან შემუშავებული საგანგებო გეგმით ემზადებოდა. ოღონდ ეგ იყო, ამ გეგმაში უფულობა დროდადრო რაღაც-რაღაცეებს ცვლიდა, თუმცა ბოლოს მდგომარეობა მაინც გამოსწორდა. ყოველ შემთხვევაში, ნინო კმაყოფილია. „ოლიმპიადისთვის მზადება ზამთრის მიწურულს შეკრებით დავიწყე, გაზაფხულზე კი მილანსა და მიუნხენში მსოფლიოს თასის ეტაპებზე გამოველი. მერე ტურნირებზე არსად ვყოფილვარ. მნიშვნელოვანი შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში არც იყო ატლანტის დიდი პრიზის გარდა, მაგრამ იქ ჩასვლა მე და ჩემმა მწვრთნელმა — მამაჩემმა, შარშანვე, მოსამზადებელი გეგმის შედგენისას ვიუარეთ სიდნეის სასაათო სარტყელთან დიდი სხვაობის გამო და მთელი ყურადღება შეკრებებს დავუთმეთ. ივლისში ორკვირიანი შეკრება გავიარეთ გერმანიაში, პატარა ქალაქ ბასუმში, რომელსაც აგვისტოში კვლავ ვესტუმრეთ იმავე მიზნით, ოღონდ სამი კვირით. იქ ერთი სომეხი მწვრთნელი ცხოვრობს, რომელიც ადრე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მუშაობისას მეხმარებოდა და მამაჩემთანაც მეგობრობდა. ეს კაცი თავს გვევლებოდა და იდეალური პირობები შეგვიქმნა. იმდენად კარგი, რომ სოხუმის მერე, სადაც ბოლო შეკრება 1988 წელს გავიარე, მსგავსი არ მქონია. ორჯერადი ვარჯიშის საშუალებაც მხოლოდ იქ მომეცა. ამიტომ მომზადებით კმაყოფილი ვარ. გერმანიის მერე ვისვენებ. იარაღს საერთოდ არ გავკარებივარ, რომ არ „გადავიწვა“.

თუმცა ყოველთვის ასე არ იყო. მაგალითად, წლის დამლევს უფულობის გამო ნინო დორტმუნდში დაგეგმილ შეკრებაზე ვერ გაუშვეს. ამან ისე გააბრაზა, იმუქრებოდა, თუ არ დამაფინანსებენ, აღარც სიდნეიში წავალო. ნინო იმ პერიოდს ახლა მშვიდად იგონებს. „მაშინ მართლაც დიდი ფინანსური პრობლემები იყო. ერთი შეკრება ჩამეშალა, მეორეზე მხოლოდ ბოლო წუთს წავედი. ძალიან მეხმარებოდნენ ახლობლები, ნაცნობები. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ... დახმარება ყველას უნდოდა — სპორტის დეპარტამენტსაც, ოლიმპიურ კომიტეტსაც, ქალაქის მერიასაც, მაგრამ ხელისუფლება არც მათ აძლევდა ფულს. მოგვიანებით მერიამ მაინც გამონახა სახსრები და ზემოთ ჩამოთვლილ შეკრება-ტურნირებზე გამიშვა, გარდა ბოლო შეკრებისა, რომელზეც დეპარტამენტმა გამამგზავრა.“

სალუქვაძე საქართველოს ოლიმპიურ გუნდში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია. ამავდროულად, ყველაზე გამოცდილიც — ეს მისთვის მეოთხე ოლიმპიადაა. ცხადია, მედალსაც უპირველესად მისგან ელიან. „ოლიმპიადა ყველაზე დიდი დღესასწაულია სპორტსმენისთვის. გუნდში რომ ყველას



ნინო სალუქვაძე

ჩემი ეიმედება, ეს სეულის ოლიმპიადაზე გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. უეჭველია, სიდნეიში განცდაც იქნება, ნერვიულობაც, მაგრამ ამ ყველაფერს უნდა ვძლიო.“

თუმცა ნინო იმასაც აღიარებს, რომ „ოლიმპიური თამაშებისთვის ორ თვეში სპორტსმენის მომზადება შეუძლებელია. წლევანდელი დავალიანება სიდნეიში წასვლის წინა დღეს გამისტუმრეს. შარშანდელი ხელფას-პრემიები გაიყინა. არც მსოფლიოს თასის მოგებისთვის მოუციათ რამე. როცა ვიკითხე, მითხრეს, არ არისო. სიმართლე გითხრათ, იმ ფულის მიღების იმედი არ მაქვს და დიდად არც დავინტერესებულვარ. მარტო ოლიმპიადა ხომ არ შველის საქმეს. რუსეთის გუნდის წევრი რომ მედალს იგებს, მას პრემიას იქვე გადასცემენ. ისინი აკლიმატიზაციის მიზნით შორეულ აღმოსავლეთში ემზადებიან, მე კი ავსტრალიაში საააკლიმატიზაციოდ ცოტა დრო მრჩება. ისე არ გამიგოთ, ვწუწუნებდე. მესმის, რომ დეპარტამენტმა ჩვენთვის მაქსიმუმი გააკეთა. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩემი მეტოქეები ასეთ პირობებში არ ემზადებიან.“

მეტოქეები კი მართლაც ძლიერები იქნებიან. ავსტრალიაში ყველა საუკეთესო მსროლელი გამოვა. „ოლიმპიადაზე ყველა კონკურენტია და მედლისთვის იბრძვის. სუსტები იქ არ არიან. ასეთი შეიძლება ერთი-ორი გამოერიოს რომელიმე ნაკლებად განვითარებული რეგიონიდან, რომლებმაც ლიცენზიები თავიანთ კონფედერაციებში მიიღეს. ოლიმპიადაზე ტიტულები არაფერში გარგია. იქ ნაჩვენები შედეგია მთავარი.

როგორც ყოველთვის, არც ახლა დამიგეგმავს რაიმე. სავსებით საკმარისია, თუ ჩემს საუკეთესო შედეგს ვაჩვენებ. მომზადებით კარგად მოვემზადე, ოღონდ ტექნიკური შეცდომა არ უნდა დავუშვა და იარაღმა არ უნდა მიმტყუნოს.“

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ტყვიის მსროლელი ქალები ცეცხლის ხაზზე 17 სექტემბერს დადგებიან.

**ირაკლი თავაძე**

# სიკვდილი სიდნეიში

**გუშინ სიდნეიში** ავტოავარიაში მოჰყვა და გარდაიცვალა [illegible] ოლიმპიური დელეგაციის წევრი. ეს ტრაგიკული შემთხვევა [illegible] სეფტონში მოხდა. ახალი სამხრეთ უელსის პოლიციის [illegible] ცხადა, რომ გარდაცვლილის სრული იდენტიფიცირება ჯერ არ დასრულებულა და მისი ვინაობის დასახელებისგან თავი იმ მოტივით შეიკავა, რომ გამოძიება გრძელდება.

# სადოპინგო ეპო-პეა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა და სამედიცინო საქმეთა მმართველმა, ბელგიელმა დოქტორმა, ჟაკ როგმა სააგენტო „ფრანს-პრესთან“ საუბარში განაცხადა, რომ სიდნეის ოლიმპიადისთვის დაგეგმილი ფართო დოპინგსაწინააღმდეგო კამპანია დაიწყო. მთავარი პრობლემა ერიტროპროტეინია, იგივე ეპო, სუპერდოპინგი, რომლის დაფიქსირებასაც დღემდე არსებული მეთოდებით ამაოდ ცდილობდნენ. წლის დასაწყისში მეცნიერებმა მოახერხეს და ოლიმპიადის კვირაძალს მათი დაძაბული შრომის შედეგად შეიქმნა ტესტების სისტემა, რომელიც ეპო-ს ფაქტობრივად უტყუარი აღმოჩენის საშუალებას იძლევა. შემოწმებები დაწყებულია და ჯერ კიდევ ოლიმპიადის გახსნამდე (15 სექტემბერს) 400 სპორტსმენს მაინც გასინჯავენ. ვაი მას, ვისაც გადახრას უპოვნიან, მაგრამ ამანაც ვერ შეაკავა მავანი უზბეკი, რომელსაც აკრძალული ჰორმონალური პრეპარატი (სადოპინგე) სიდნეის აეროპორტის მებაჟეებმა აღმოუჩინეს. უზბეკი დაკავებულია და როგორც საბაჟოს წარმომადგენელი, ლეონ ბედინგტონი ამბობს, გამოძიებასთანაც თანამშრომლობს, ანუ საჭირო სათქმელს ფქვავს. დაკავებულის ვინაობა ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი უზბეკთა ერთ-ერთი მწვრთნელია.

# ჩინეთში ხალხის და სისხლის წმენდაა

**ამ დღეებში** საინფორმაციო საშუალებებმა ჩინურ ოლიმპიზმში მომხდარი ძვრების შესახებ ბევრი თქვეს. 27 სპორტსმენი, მწვრთნელი, ექიმი და ოფიციოზის წევრი ოლიმპიური დელეგაციიდან მოკვეთეს, თუმცა არსადაა გამჭვირვალობის ნასახიც, დემოკრატიულ მსოფლიოში მომხდარ თითოეულ ამგვარ მოვლენას თან რომ ახლავს. არავითარი კონკრეტული მიზეზები, სინჰუას სააგენტომ უბრალოდ განაცხადა, ტრავმების, ცუდი ფორმისა და სისხლის ტესტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ტოვებენ იმ 27 კაცსო. მთავარი ყურადღება ერთ მწვრთნელსა და ექვს მძლეოსანს მივაპყროთ. მწვრთნელს მა იუნრენი ჰქვია, ხოლო მძლეოსნებს — დონგ იანმეი, საინგ ლიქინგი, ინ ლილი, ლი ინანი, ლან ლიქსინი და დაი იანიანი. ესენი სულ ეგრეთ წოდებულ „მას ოჯახური არმიის“ წევრები არიან, მორბენლები ჩრდილოაღმოსავლეთჩინური პროვინცია ლიაინინგიდან, რომლებმაც 7 წლის წინ შტუტგარტის მსოფლიოს პირველობაზე სამძლეოსნო სამყარო გააოგნეს, როცა 5000 მეტრზე სამივე სინჯის მედალი მიითვალეს და 10000-ზე კიდევ — ოქროსი და ვერცხლისა. ერთი თვის შემდეგ ჩინეთის პირველობაზე იმავე „არმიის“ წევრმა ვანგ იუნგქსიამ 10000 მეტრის მსოფლიოს რეკორდს 42 (!) წამი ჩამოაკლო და 3 ათასისას — 16,5 (!). მერე ჩინელებს ბევრი არაფრით უსახელებიათ თავი, გრძელ დისტანციებზე კვლავ შავი სამყაროს (აფრიკა) შვილები გაბატონდნენ. ახლა კი „არმია“, ფაქტობრივად, აღარც არსებობს, მხოლოდ მისი ერთი წევრი, ლი ჯი შეძლებს სიდნეიში გამოსვლას. არადა, იუნრენის ხალხი ძლიერ გულმოდგინედ ვარჯიშობდა ტიბეტის პლატოზე და მწვრთნელიც, 5 და 10-ათასიან დისტანციებზე ოქროსთვის ბრძოლის დიდი შნო გვაქვსო, არწმუნებდა უფროსობას. ამასთან, მამ სასტიკად უარყო იმის შესაძლებლობაც კი, რომ მისი გოგო-ბიჭები რაგინდარა დოპინგის საზეობას ოდესმე გაჰკარებიან. თუ ასეა, სიდნეის ოლიმპიადის მოწინავე ჩინელებით გალარიბების ცოდვა ვილაც ამა სოფლის ჩინელ ძლიერთა კისერზეა.

**დავით გულუა**

# აქ ვიღაცა შეიჭმება

## მოდი, ვნახოთ კენგურუ, ზვიგენი და გიტარა

**აშშ-ს** ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელი სანდი ბოლდუინი იმედოვნებს, რომ მისი თანამემამულენი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე სხვადასხვა ხარისხის 90 მედალს მოიპოვებენ.

ეტყობა, ამერიკელებს ატლანტის ოლიმპიადაზე მიღწეულის გამეორებაზე ხელი აუღიათ. არადა, ოთხი წლის წინათ მათ 101, მათ შორის 44 ოქროს მედლის მოპოვებით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს. თუმცა ნუ დავივიწყებთ შინაური კედლების ფაქტორსაც.

— შინაური უპირატესობა ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, უმთავრესი ბრძოლები ცურვაში გაჩაღდება. ოლიმპიადის მასპინძლებთან დიდი ბატალიები გველის. ერთადერთნი, ვისაც შეუძლია ჩაერიოს ტიტანთა ამ ბრძოლაში, იქნებიან 50 და 100-მეტრიან დისტანციებზე თავისუფალი სტილით მოცურავე რუსი ალექსანდრ პოპოვი და ჰოლანდიელი სპრინტერი ბატერფლაიში ინგე დე ბრუინი — გვამცნობს საკუთარ პროგნოზს ბოლდუინი.

ისე გამოდის, იანკებს და ოზებს ყველაფერი გადაუწყვეტიათ, თუმცა, თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი იქადნებიან, სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკელ ზვიგენთა ბატონობას დავამხობთო.

ამერიკელები საწყლოსნო სახეობებში, კერძოდ, ცურვაში, ოლიმპიადებზე ტრადიციულად სჯობნიან ავსტრალიელებს, თუმცა ოზებიც დარწმუნებულნი არიან, რომ პირველობისთვის დავაში მათ ვერავინ შეეცილება, მითუმეტეს, რომ ამაში მშობლიური კედლებიც დაეხმარებათ.

იანკებსა და ოზებს შორის მეტოქეობა არახალია. ერთი თვის წინ ამერიკელებმა სამახსოვრო მაისურებიც კი გამოუშვეს წარწერით: „კენგურუ — აი, ის, რაც სადილად გვექნება.“ ამ დღეებში ამერიკელმა სპრინტერმა გარი ჰოლმა განაცხადა, რომ აშშ ავსტრალიელებს ისე დაამსხვრევს, „როგორც გიტარას“.

გარი ჰოლს არ ჩამორჩა ავსტრალიელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კიერენ პერკინსი, რომელმაც მას „დოპინგიანი თაღლითი“ უწოდა.

ამერიკელ კაცთა ნაკრების მწვრთნელი მარკ შუბერტი აღაშფოთა ჰოლის სიტყვებმა, თუმც ამავე დროს თავისიანებს მოუწოდა, თავი შეიკავეთ ულირსი საქციელისგანო: „ავსტრალიელებს დიდ პატივს ვცემთ, ასეთი კომენტარები კი მხოლოდ ხელს გვიშლის. ბილწსიტყვაობა საჭირო არაა.“

ამერიკელ ქალთა ნაკრების მწვრთნელის, რიჩარდ ქუიკის განცხადებით, ორივე გუნდი თავს საფრთხეში იგდებს, როდესაც ოლიმპიადის მზადების პერიოდში ერთმანეთს კბენენ.

— დარწმუნებული ვარ, ორივე ქვეყანა დიდად ცდება, როდესაც ერთმანეთზე ამახვილებს ყურადღებას — ამბობს ქუიკი.

— კიდევ ბევრი მშვენიერი გუნდია და ჩვენ მათ ისეთი პატივი უნდა ვცეთ, როგორსაც იმსახურებენ — აცხადებს ბოლდუინი და იქვე დასძენს: „ვიცით, რომ ავსტრალიელებს დიდებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ ეს მარტო ჩვენ და მათ არ გვეხება.“

ამერიკელთა და ავსტრალიელთა კინკლაობა უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სხვა ცნობილ მოცურავეებსაც.

ინგე დე ბრუინის აზრით, ავსტრალიელები და ამერიკელები თავს საფრთხეში იგდებენ, როდესაც არად აგდებენ ევროპელთა ცურვის დონეს.

მართლაც, ჰოლანდიელებს სულ ცოტა ორი ისეთი მოცურავე ჰყავთ, რომლებიც ოქროს მედლის პრეტენდენტები არიან. პირველი მათგანი მსოფლიოს რვაგზის რეკორდსმენი ინგე დე ბრუინია, რომელიც არც ამერიკელებს ავიწყდებათ. მაგრამ რატომღაც არ ახსენებენ შარშან ევროპის ჩემპიონატზე ექვსი ოქროს მედლის მომპოვებელ პიტერ ვან დენ ჰოოგენბანდს.

იაკო ვერჰერენის თქმით, რომელიც დე ბრუინსა და ჰოოგენბანდს ავარჯიშებს, ოლიმპიადაზე ხალხი სიურპრიზის მოწმე გახდება.

— თუ ავსტრალიელები და ამერიკელები ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათ აქვთ ოქროს მედლების მოპოვების შანსი, ფრთხილად იყვნენ, თორემ შოკს ვერ გადაურჩებიან — დაიმედებული აცხადებს ვერჰერენი.

**გიგა გურასაშვილი**

# მე თუ არა, შენ, მარიონ!

**სი ჯეი ჰანტერი** ერთხანს „სარბიელის“ არასაფეხბურთო გვერდთა ერთ-ერთი გმირი იყო, ბირთვის კვრაში მსოფლიოს ჩემპიონი და რაც მთავარია, მარიონ ჯონსის პირველი ნახევარი. სი ჯეიმ მრავალი შეჯიბრი მოიგო და მხოლოდ ივლისში, ამერიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე ადამ ნელსონმა დატოვა მეორე ადგილზე. ამის შემდეგ ჰანტერის გვარი სატურნირო ქრონიკების სათავეებში, ფაქტობრივად, არც გვინახავს. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე სიდნეის ოლიმპიადაზე გამარჯვების ერთ-ერთი კანდიდატი იყო, მაგრამ ამას იქით შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს. მიზეზი ბანალურია — ტრავმა. ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში ჰანტერი შტანგას შესჭიდებია (ლონდონში) და მარცხენა მუხლი უტკენია. მაშინ არაფერი, ახლა კი ქირურგიულ ჩარევაზეა ლაპარაკი, საქმე უფრო გართულებულა.

„ნეტავ, ოლიმპიადა თვენახევარში იწყებოდეს! — სულით და გულით ინატრა ბედშავმა ჰანტერმა მასმედიასთან საუბრისას და დასძინა — თუ სიდნეიში გამოვალ, მხოლოდ სრული მზადყოფნისას. ნახევარი ძალით ბირთვის ტყორცნას არ ვაპირებ.“

დოქტორი ტიმ ტაფტი, ვისაც ჰანტერის მუხლის გაჭრა უკისრია, ოპტიმიზმს გამოთქვამს. „22 სექტემბრამდე — ამბობს იგი და განვმარტავთ, რომ სიდნეიში ბირთვის კვრას სწორედ ეს დღე დაეთმო — ჰანტერს სავარაუდოდ ფეხზე დავაყენებთ. ცუდია



სი ჯეი ჰანტერი

მხოლოდ, ვარჯიშის ძვირფას დღეებს რომ დაკარგავს.“ და კიდევ, თუ მოვლენები ცუდი სცენარით განვითარდა, ჰანტერი სიდნეიში მაინც წავა, იქ მისთვის ძვირფასი არსება ფანტასტიკური გეგმის განხორციელებას შეეცდება და გვერდში ხომ უნდა დაუდგეს.

**დავით გულუა**

# თქვენ ოლიმპიზმის დედოფლობა დაგმშვენდებოდათ

## თუ სამარანჩის ფავორიტმა გაიმარჯვა, ოლიმპიზმი ფემინისტურიც გახდება

ამერიკელმა ევერი ბრენდეჯმა, ...რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური ...კომიტეტის პრეზიდენტი იყო 1952-1972 ...წლებში, თავის მემკვიდრედ დაასახე... ესპანელი ხუან ანტონიო სამარა... იგი მართლაც გახდა სოკ-ის პრე...ზიდენტი, თუმცა მოგვიანებით, 1980 ...წელს. მანამდე, ბრენდეჯის სურვილის ...საწინააღმდეგოდ, სოკ-ის პრეზიდენტის ...პოსტი არჩეულ ირლანდიელ ლორდ კილა...ნინს ჩააბარეს.

...ყოვლისშემძლე ხუან ანტონიო სამა...რანჩს შევახსენეთ 1994 წელს თბილი...სში ყოფნისას, როდესაც ინტერვიუ ჩა...ვწერეთ. სწორედ მაშინ ვკითხეთ, ...სოკ-ის მომავალი პრეზიდენტის პო...სტზე თქვენ ვის ხედავთო.

— სოკ-ის წევრებს შორის ბევრი ...კომპეტენტური და შესაფერისი კან...დიდატურაა. თუმცა, საბოლოო გადაწ...ყვეტილებას თავად სოკ-ის წევრები ...მიიღებენ სესიაზე. დარწმუნებული ვარ, ...კანდიდატთაგან არჩეული სოკ-ის ლი...დერი ღირსეული ხელმძღვანელი იქნება.

...ამ ინტერვიუდან ექვს წელიწადზე ...მეტი გავიდა. და აი, როგორც ვიუწყე...ბით, სამარანჩმა გერმანული „დი ვე...ლტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პი...რველად განაცხადა, რომ თავის მემკ...ვიდრედ ქალი სურს, ამერიკელი ანი...ტა დეფრანცი.

...რატომ მაინცდამაინც დეფრანცი?

„იგი აკმაყოფილებს ყველანაირ წი...ნაპირობას: მას ადგილი უკავია სოკ-ის ...აღმასრულებელ საბჭოში, მოპოვებული ...აქვს ოლიმპიური მედალი, ამასთან იგი ...ქალია“ — განმარტა სამარანჩმა.

...ანიტა დეფრანცი აკადემიურ ნიჩბოს...ნობაში ამერიკელთა გუნდის კაპიტანი, ...მონრეალის ოლიმპიური თამაშების ...(1976) ბრინჯაოსა და მსოფლიოს ჩემ...პიონატის (1978) ვერცხლის პრიზიორი ...იყო. იგი 1986 წლიდან სოკ-ის წევრი, ...1997 წლიდან კი ვიცე-პრეზიდენტია.





ანიტა დეფრანცს, ოლიმპიადის მედალოსან ნიჩბოსან ქალს, შანსი აქვს, ოლიმპიური მოძრაობის ლიდერი გახდეს

აღსანიშნავია, რომ სოკ-ის წევრად მდედრი პირველად 1981 წელს აირჩიეს, როცა სამარანჩმა ქალებს ფართო გზა მისცა ოლიმპიურ მოძრაობაში.

ანიტა დეფრანცი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტთან შეთავსებით, როგორც იურისტი (ადვოკატი), სპორტული კანონმდებლობის ერთ-ერთი შემოქმედია, სოკ-ის „ქალები და სპორტის“ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. იგი, ჩვეულებისამებრ, ხელმძღვანელობს სოკ-ის მიერ ჩატარებულ სემინარებს „ქალები და სპორტი“. ერთ-ერთი ასეთი სემინარის მუშაობაში, ორი წლის წინ, მონაწილეობდა საქართველოს ეოკ-ის წარმომადგენელი, ეოკ-ებთან ურთიერთობის კოორდინატორი რუსუდან აფციაური. მაშინ მან გაიხსენა რამდენიმე ფრაგმენტი ანიტა დეფრანცის მოხსენებიდან, მათ შორის ესეც: „ისტორია ნათლად გვიჩვენებს ოლიმპიურ მოძრაობაში ქალთა მონაწილეობის ევოლუციას. მას მერე, რაც ისინი 1900 წელს პირველად გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებში, ქალთა სპორტი ძალზე განვითარდა, განსაკუთრებით ბოლო 30 წლის განმავლობაში.

მართალია, თანამედროვე ეპოქის პირველი ოლიმპიური თამაშები ქალებისთვის მთლიანად შეზღუდული იყო, რადგან მისი აღმორძინებელი ბარონი პიერ დე კუბერტენი მიიჩნევდა, რომ თამაშები ტრადიციულად მამაკაცების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო, მაგრამ 4 წლის დაგვიანებით მეორე ოლიმპიურ თამაშებზე პარიზში ქალები გამოვიდნენ ჩოგბურთსა და გოლფში პარიზოდ“...

ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ანიტა დეფრანცის მეხსიერებაში, როგორც ოთხი წლის წინათ ჟურნალ „ოლიმპიკ რევიუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, ყველაზე ღრმად აღბეჭდილა მონრეალის თამაშები. უფრო ზუსტად, მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალი.

„სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში, როცა ალლუმზე გამოსულთ ტაშს გვიკრავდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც არაფერი მოგვეგო და არც არაფერი წაგვეგო“. — თქვა ანიტა დეფრანცმა, რომლის მამაც თურმე ოცნებობდა, რომ მისი შვილი გამხდარიყო პირველი ცნობილი აფრო-ამერიკელი მოცურავე. ანიტა მართლაც გახდა ცნობილი სპორტსმენი, ოღონდ ნიჩბოსანი. იგი უფრო შორსაც წავიდა და გახდა პირველი აფრო-ამერიკელი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი. თუ სამარანჩის სურვილიც ასრულდება, იგი გახდება სოკ-ის მერვე და პირველი ქალი პრეზიდენტი, ამასთან, ამ ორგანიზაციის პირველი აფრო-ამერიკელი პრეზიდენტიც.

„ქალები დიდად გამოცდილები არიან — ამბობს ანიტა დეფრანცი — ქალებისა და მათი სიბრძნის გარეშე ცხოვრება გაჭირდებოდა. ჩვენ გვაქვს იმის უნარი და საშუალება, რომ სამყარო უკეთესობისკენ შევცვალოთ. მთავარია, ქალებმა ვიცოდეთ საკუთარი თავის ფასი და ვირწმუნოთ, რომ ჩვენც ბევრის გაკეთება შეგვიძლია სპორტისთვის როგორც გონებითა და სულით, ისე ფიზიკურად, რათა ჯანსაღი თაობები აღვზარდოთ“.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# სამხრეთი უნდა დაინგრეს

## ლაპორტის იდუმალი გეგმები

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი ახალ-ახალი გეგმების განხორციელებას ცდილობს. მისი საბოლოო მიზანი მსოფლიო რაგბიში სამხრეთელი გუნდების ბატონობის დამხობაა. ამისთვის ლაპორტი თავის ყველაზე „დაუძინებელ მეტოქე“ ინგლისსაც კი შეეკრა და იქაურთა თავკაც კლაივ ვუდვორდთან ერთად თანამშრომლობის გზები დასახა. შედეგად საფრანგეთი და ინგლისი წელიწადში ორჯერ მაინც ერთობლივ შეკრებას ჩაატარებენ, რომელთაგან ერთი ზედ ექვსი ერის პირველობის დაწყების წინ მოეწყობა, რაც ამდენად უცნაურია, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტურნირის ფინალში სწორედ ეს ორი ნაკრები შებრძოლება ერთმანეთს.

„შეიძლება ინგლისელებთან თანამშრომლობა პოზიტიური იყოს. ჩვენ მათ თამაშის ხედვას უკეთ გავიგებთ. ისე, უკვე კარგა ხანია დრო იყო რაღაც ზომების მისაღებად, რათა სამხრეთელებს ტოლ-სწორად ვეპაექროთ. ბევრი კითხულობს, ჩვენი და ინგლისელების ალიანსი მსოფლიოს თასის (2003 წელს) მოგების საშუალებას თუ მოგვცემს რომელიმეს. ამ თასის დასაუფლებლად კიდევ ბევრი რამის შეცვლაა საჭირო. მაგალითად ჩვენი კალენდრის. შიდა ჩემპიონატში ამდენი თამაში არ უნდა გვიწევდეს და „მამლებიც“ უკეთეს ფორმაში შეხვდებიან ხოლმე საერთაშორისო მატჩებს“ — თქვა ფრანგთა კაპიტანმა ფაბიენ პელუმ ლაპორტის გეგმის შესახებ აზრი რომ ჰკითხეს. აი, თავისი მთავარი მწვრთნელის მეორე იდეაზე კი ვერაფერი თქვა, რადგან ლაპორტი საკმაოდ საიდუმლოდ მოქმედებს. თუმცა, როცა საიდუმლო ერთ კაცზე მეტმა იცის, იგი ძალიან ძნელი დასაფარი ხდება ხოლმე და ახლაც ასე მოხდა. ფრანგმა ჟურნალისტებმა ბევრი იწვალეს და ლაპორტის ახალ გეგმას მცირედით მაინც ახადეს ფარდა.

„მამლების“ თავკაცმა ამასწინათ „ბურგუენის“, „ტულუზისა“ და „პოს“ მთავარ მწვრთნელებთან ერთად ისადილა



ფაბიენ პელუ

ბურგუენის ერთ-ერთ რესტორანში. სხვადასხვა კერძებითა და ღვინოებით ტკბობის გარდა მათ ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც უსაუბრიათ. თურმე ლაპორტს მთელს საფრანგეთში რეგიონალური აგენტების ყოლა გადაუწყვეტია, რომლებიც მას „მამლებში“ მოხვედრის კანდიდატთა ფორმაზე პერმანენტულად მიაწვდიან ამომწურავ ინფორმაციას. ეს აგენტები საფრანგეთის ნაკრების შეკრებებსაც დაესწრებიან ხოლმე და ლაპორტს თავის რჩევა-დარიგებებს არ მოაკლებენ.

რა შედეგს მოიტანს ლაპორტის წამოწყება, გაისად ვნახავთ, ჯერ ექვსი ერის პირველობაზე, მერე კი ფრანგთა სამხრეთულ ტურნეში, რომლის დროსაც „მამლები“ 16 და 23 ივნისს სამხრეთაფრიკელებს გაუმართავენ ტესტებს, 30 ივნისს კი ახალზელანდიელებს გაეჯიბრებიან.

მანამდე, საფრანგეთის ნაკრები ამ შემოდგომაზეც შინ რამდენიმე ტესტს გამართავს, მაგრამ ლაპორტის სიახლეების გავლენა იმ თამაშებისთვის ფრანგებს ალბათ არ დაემჩნევათ.

**გაიოზ თალაკვაძე**

*საფრანგეთის ნაკრების წლევანდელი მატჩები:*

**1 ნოემბერი, ლილი („სტადიუმ ნორი“): საფრანგეთი — იაპონია**
**4 ნოემბერი, სენ დენი („სტად დე ფრანსი“): საფრანგეთი — ავსტრალია**
**11 ნოემბერი, სენ დენი („სტად დე ფრანსი“): საფრანგეთი — ახალი ზელანდია**
**18 ნოემბერი, მარსელი („ველოდრომი“): საფრანგეთი — ახალი ზელანდია**

# ბორჯღალოსნებმა შავები დაჩაგრეს

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ისრაელში მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის რეპეტიციას გადის. აღთქმულ მიწაზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი შვიდკაცა რაგბიში, რომელშიც რვა ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს. გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. „ა“ ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად აშშ-ის, ახალი ზელანდიის და ბელგიის ნაკრებები მოხვდნენ, ხოლო „ბ“ ჯგუფში ფიჯის, სამხრეთ აფრიკის, ჰოლანდიისა და ტურნირის მასპინძელი ისრაელის გუნდებმა მოიყარეს თავი. ფავორიტებად სამხრეთაფრიკელებს და ახალზელანდიელებს ასახელებდნენ. მართალია, „ქურციკთა“ შემადგენლობაში საქვეყნოდ ცნობილთა სახელების ძებნა უშედეგოა, მაგრამ აფრიკელები საკმაოდ ძლიერი პროვინციელი მორაგბეებით ეწვივნენ იერუსალიმს. ფიჯის ნაკრებიც ძირითადად ახალგაზრდულ გუნდში თავგამოჩენილთა იმედით ჩაება გათამაშებაში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ პროგნოზები არ გამართლდა, ფავორიტებიდან მხოლოდ ფიჯის ნაკრებმა უწია ნახევარფინალს, სადაც ჩვენი ჯგუფის გამარჯვებულს, აშშ-ის ნაკრებს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალში კი საქართველო-ჰოლანდიის დუელი შედგება.

ტურნირის სტარტი ჩვენს მორაგბეებს კარგს არაფერს უქადდა. პირველ მატჩში ქართველები აშშ-ის ნაკრებთან უშელავათო ბრძოლაში დამარცხდნენ — 10:14. ამერიკელებმა ზუსტად შესრულებული გარდასახვების წყალობით დაჯაბნეს „ბორჯღალოსნები“. საერთოდ, მათ ჯგუფის ყველა მატჩში გაიმარჯვეს და ახალზელანდიელებს სენსაციური მარცხიც აგემეს. „ა“ ჯგუფიდან მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა საქართველო — ახალი ზელანდიის ნაკრებთა თამაშს უნდა გაერკვია. ჩვენი მორაგბეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მეტად დაძაბულ და პრინციპულ მატჩში „შავები“ პირწმინდად დაჯაბნეს და გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვეს — 19:0. ბოლო მატჩში კი ბელგიის უსახური გუნდი 32:10 გაანადგურეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები იქნება, „ნარინჯისფერთა“ ასეთი შედეგიან თამაშს რაგბის სპეციალისტები ნაკლებად ელოდნენ, მაგრამ ევროპელებმა ტურნირის ფავორიტი სამხრეთ აფრიკა უკან მოიტოვეს და დამსახურებულად გააღწიეს ნახევარფინალში.

**ბაჩო სვანიძე**

„55-ე სკოლა“

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო“

# რა გახდა ეს ურო?!

## კიდევ ერთი მსხვერპლი

უროს ტყორცნა მძლეოსნობაში ყველაზე სახიფათო დისციპლინაა, ამიტომ უსაფრთხოების ზომების გულმოდგინე დაცვას მოითხოვს. თითქოს ევროპაში ამგვარი პრობლემა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ფაქტები, ფაქტებია... გაზაფხულზე ჩეხი გოგონას დაღუპვა გაუწყეთ, ტრიბუნაზე მძლეოსნობის ცქერისას ავბედითად ნატყორცნმაურომ რომ შეიწირა. ამჯერად კი ტრაგიკული ამბავი დიდი ბრიტანეთიდან მოვიდა. ბრიტანელ იუნიორთა ჩემპიონატზე ერთ-ერთი სპორტსმენის (გვარს არ ასახელებენ) ნატყორცნი ურო ნორმან სტრენგს თავში მოხვდა. ეს ამბავი 26 აგვისტოს მოხდა და აგერ, აქამდე ექიმები სტრენგის სიცოცხლისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ბრიტანეთის სამეფო ჰოსპიტლის მედიკოსთა მცდელობა ამაო გამოდგა — ორი დღის წინ სტრენგი გარდაიცვალა.

მომხდარის გამო დიდი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ მურკროფტმა მწუხარება გამოთქვა და სტრენგის ოჯახს სამძიმარი გამოუცხადა. უნებლიე ახალგაზრდა მკვლელის შემდგომ ბედსა და ყოფაზე კი ჯერ არავინ არაფერს ამბობს.

# ნარსულის, ანმყოს და მომავლის პრეზიდენტები





ღვაწლმოსილი ნელსონ მანდელა აღარ არის სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი კარგახანია, ის მხოლოდ ნელსონ მანდელად მუშაობს, რაც სხვანაირად საზოგადო მოღვაწეობას გულისხმობს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მხცოვანი მოღვაწე ახლა სიდნეის ოლიმპიადის გახსნას ელოდებს, რომლის დროსაც საპატიო ლოჟაში დაიჭერს ადგილს.

ორიოდ დღეა, რაც მექსიკის პრეზიდენტი შეიქნა ერნესტო სედილიო, რომელიც ჯერ ხეირიანად არც მოშინაურებულა ლოს პინოსის სასახლეში. ამის მიუხედავად, მისი ერთ-ერთი პირველი სტუმარი მექსიკაში უპოპულარულესი კაცი, მანუელ ლაპუენტე გახლდათ. მეოთხე წელიწადია, ლაპუენტე ქვეყნის ფეხბურთელია ეროვნულ ნაკრებს წვრთნის და ახლა გამოუცხადებია, 15 ნოემბერს თანამდებობას ვტოვებო.

## იტალია

ტასის მეორე ეტაპი
ნაპოლი 0:0 სამპდორია (0:1)



ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი ელ გორი კი საარჩევნო კამპანიის ამბავში ბეისბოლისტებთან დაიარება: ბურთს გაისვრის, გაიცინებს, ნორჩებს ავტოგრაფებს ჩამოურიგებს და ასე. პრეზიდენტები და სპორტი — დიახაც, თვალში საცემი ამბავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბოსფორზე

ბოსფორის სრუტეში, სტამბოლის ულამაზეს კიდეებზე მოტორიანი ნავები ეპაექრებიან ერთმანეთს. მსოფლიო ჩემპიონი წინმცურავი „ვიქტორია" ხდება, რომელსაც საამიროების ეკიპაჟი ჰყავს, ნორვეგიული „სპირიტი" კი მხოლოდ მეორეა. ეს ლამაზი სასახლე კი მეთვრამეტე საუკუნეში აგებული ყულელის სამხედრო სკოლა გახლავთ.



# კევინ გარნეტი იაპონიაში

ამერიკის საკალათბურთო ნაკრები თამაშ-თამაშით უახლოვდება სიდნეის, საიდანაც, რა დასამალია და, ოქროს მედლებს წაიღებს სამშობლოში. იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს გარეუბან საიტამაში ამერიკელები ამ ქვეყნის ნაკრებს წაეთამაშნენ. ამ შეხვედრაში მინესოტელი კევინ გარნეტი მცირე ტრავმის გამო არ თამაშობდა — წინა დღით, იაპონელ მოზარდებთან მასტერკლასის ჩატარებისას ის ხელი დაიშავა, მარჯვენა ფოტოზე რომ ალუმართავს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge